პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

23 დეკემბერი **პარასკევი** 2011

№ 302 (13 599) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ მოვა, ისევ ის თუ ახალი?



## დინამო გუნდი უნდა იყოს გულადი! ისტორიული ბრენდის პატრონი ისტორიულ პასუხისმგებლობას გრძნობს: ფიფია ფიქრობს...



3

## ზესტაფონი თბილად გამოიზამთრებს

### გუშინ იმერლებმა მეგრული ნავსი გატეხეს



2

## 2 ქართველის 22

### კანტუმ ფენერბაჰჩეს ბალჩაში ვერ ისროლა...

ევროლიგაზე **მანუჩარ მარკოიშვილისა** და **გიორგი შერმადინის** "კანტუმ" თურქულ "ფენერბაჰჩეს" უმასპინძლა და ბოლო წუთებზე 76:83 დამარცხდა. ქართველმა კალათბურთელებმა მეოთხე პერიოდი შეუცვლელად ჩაატარეს, სამქულიანებითაც დაგვამახსოვრეს თავი, ჩატენვითაც და ზუსტი ჯარიმებითაც. მოკლედ, მარკოიშვილმა 21 წუთში 9 ქულა (7-დან 3 სამქულიანი), 3 პასი, 2 ჩაჭრა და 1 მოხსნა მოაგროვა. შერმადინი "კანტუს" ბომბარდირი გახდა: 22 წუთი, 13 ქულა, 5 მოხსნა.

გუშინვე **თორნიკე შენგელიას** "შარლერუა" შინ ისრაელის "მაქაბისთან" დამარცხდა (69:86). ქართველ ფორვარდს ტერფის ტრავმის გამო არ უთამაშია.

შარლერუელები მომდევნო ეტაპზე ვერ გავიდნენ, ხოლო "კანტუ" ბრძოლას ტოპ-16-ში განაგრძობს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



## ელინების ძლევით რუსებს გავასწარით

11

### ჭადრაკი. მსოფლიოს ჩემპიონატი ქალთა შორის

## მალეზანიმ ქუდი დაიხურა და...

### კალაძეს მწვრთნელი შეუცვალეს



სერია A-ს გამოტოვებული ტურის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შეხვედრა ნეაპოლში გაიმართა, სადაც "ნაპოლიმ" "ჯენოას" უმასპინძლა და მეტოქე გამანადგურებელი ანგარიშით, 6:1 დაამარცხა. ამ მატჩის და მთლიანად ტურის მიმოხილვას მეცხრე გვერდზე წაიკითხავთ, აქ კი იმის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რაც გენუელთა ასეთმა კატასტროფულმა მარცხმა გამოიწვია – გუშინ გვიან გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "ჯენოას" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან **ალბერტო მალეზანი** გაათავისუფლეს. მის ადგილს კი 49 წლის სპეციალისტი **პასკუალე მარინო** დაიკავებს. ამრიგად, ახალი წლიდან **კახა კალაძეს** ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება, რომელიც თავის დროზე მეტ-ნაკლები წარმატებით წვრთნიდა "კატანიას", "უდინეზეს", "პარმას" და ქვედა ლიგების რამდენიმე გუნდს.

გუშინვე, პრესასთან სასაუბროდ "ჯენოას" პრეზიდენტმა **ენრიკო პრეციოზიმ** მოიცალა და შემდეგი განაცხადა: "*ნეაპოლურ მატჩს იქამდე ვუყურე, სანამ ანგარიში 3:0 გახდებოდა, შემდეგ კი უბრალოდ ველარ გავუძელი დამცირებას და ტრიბუნები დავტოვე. დიდი იმედი მქონდა, რომ მალეზანისთან ერთად წლების განმავლობაში ვიმუშავებდი, მაგრამ ასე არ მოხდა. არასდროს ვყოფილვარ ისეთი შერცხვენილი, როგორიც "ნაპოლისთან" მატჩის მსვლელობისას და რადიკალური ზომებიც ამად მივიღე. იმედია, პასკუალე მარინო მალე გაერკვევა ვითარებაში და ახალი წლიდან უკეთ ავთამაშდებით*".

**ლაშა ნიკლაური**



22.12. მარტვილი. ცენტრალური. 200 მაყურებელი

| | |
|---|---|
| მერანი | 0 |
| ზესტაფონი | 2 |

0:1 ფიფია (53), 0:2 ბაბუნაშვილი (71)

| მერანი 4-4-2 | ზესტაფონი 4-4-2 |
|---|---|
| შეროზია | კვასხვაძე |
| კაკუშაძე | საჯაია |
| ჟვანია | კობახიძე |
| იოსაშვილი | ლონდაძე |
| სუხიაშვილი | ელიავა |
| დიდავა | ძარია |
| მანწკავა | ბაბუნაშვილი |
| ე.გრიგალაშვილი | აფციაური |
| ჩალაძე | ფიფია |
| ამბროლაძე | დვალი |
| ტაპე | ლომია |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| მ. ჟვანია | გ. ჭიაბრიშვილი |

**მერანი**

63. ამბროლაძე - **ტორაძე**
77. ჩალაძე - **წოწორია**

*სათადარიგოები: ქამუშაძე, შალიკაშვილი, ჭაფოძე, მელიავა, შენგელია*

**ზესტაფონი**

57. ფიფია - **კიკნაველიძე**
82. ლომია - **თ. გრიგალაშვილი**
87. აფციაური - **სარდალიშვილი**

*სათადარიგოები: მამალაძე, გაგოშიძე, გაჩეჩილაძე, შარვაძე*

გაფრთხილება: ელიავა (14), სუხიაშვილი (43).

არბიტრი: მ. ბეჟქლიშვილი

# ზესტაფონმა მარტვილური ნავსი გატეხა

წლის ამ ბოლო, დიდთოვლობის გამო გადადებულ 4 დეკემბრის შეხვედრას ადგილობრივებთან ერთად 50-მდე ზესტაფონელი ქომაგიც დაესწრო. შეგახსენებთ, მეტოქეებმა წინა ტურში უმძიმესი მატჩები ჩაატარეს — „მერანმა" შინ „დინამო" დაამარცხა, „ზესტაფონი" კი რუსთავში „მეტალურგს" დაუზავდა.

შეხვედრა საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. **მალხაზ ჟვანიას** შეგირდები თავიდანვე გააქტიურდნენ და დასაწყისშივე რამდენიმე მომენტი შექმნეს: **გიორგი მანწკავას** გამჭოლი გადაცემის შემდეგ „ზესტაფონის" კარს ჯერ **ტაპე მუნინი** დაემუქრა, შემდეგ კი **როინ კვასხვაძემ ანზორ სუხიაშვილის** მიერ მახვილი კუთხიდან დარტყმული ბურთი მოიგერია. გატანა შეეძლო **ლაშა ჩალაძესაც**, 31-ე წუთზე კი **ელგუჯა გრიგალაშვილის** შორიდან დარტყმული ვერ გამოდგა ზუსტი.

მარტვილელთა უპირატესობის მიუხედავად, ყველაზე რეალური მომენტი მაინც სტუმრებმა შექმნეს — ტაიმის მიწურულს **ჯაბა დვალის** დარტყმას **ჯონი შეროზია** დახვდა მარჯვედ, შემდეგ კი, კუთხურისას, **ედიკ საჯაიამ** ააცილა ახლოდან.

მეორე ტაიმი „ზესტაფონის" უპირატესობით დაიწყო და სტუმართა აქტიურობას მალე გოლიც მოჰყვა: 53-ე წუთზე **გოგა ფიფიამ** რამდენიმე მცველს აუარა გვერდი და დარტყმაც ძლიერი და ზუსტი გამოუვიდა - 0:1.

ანგარიშის გათანაბრების ყველაზე რეალური შანსი მასპინძლებს 66-ე წუთზე მიეცათ: **კაკუშაძის** ჩაწოდებას **ტორაძე** გამოეხმაურა, თუმცა ბურთმა სანტიმეტრებით ჩაუქროლა კარს. მალევე ზესტაფონელი მცველები საჯარიმოს სიახლოვეს ჩალაძესთან ორთაბრძოლისას დაჯარიმდნენ, სტანდარტული მანწკავამ შეასრულა, იმერლები კი ძელმა იხსნა.

„ზესტაფონის" კლასმა და გამოცდილებამ თავისი თქვა და სტუმრებმა მეორე გოლიც გაიტანეს: **შოთა ბაბუნაშვილმა** დაახლოებით 30-35 მეტრიდან დარტყა და - 0:2.

ამ გამარჯვებით „ზესტაფონმა" ლიდერობა უფრო გაიმყარა, „მერანმა" კი პირველი მარცხი იწვნია საკუთარ მოედანზე.

**მატჩის შემდეგ:**

**მალხაზ ჟვანია** (მერანი): „ტაიმებს შორის განსხვავება აშკარა იყო. პირველ ნახევარში ძირითადად ჩვენ ვაკონტროლებდით ბურთს, მეორეში კი მდგომარეობა შეიცვალა. ალბათ, წინა ტურში „დინამოსთან" დამღლელმა თამაშმაც განაპირობა დღევანდელი მარცხი. ვულოცავ ჩემპიონებს გამარჯვებას, მათ ეს დაიმსახურეს".

**გიორგი ჭიაბრიშვილი** (ზესტაფონი): *„თამაშითაც და შედეგითაც კმაყოფილი ვარ. ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და მოპოვებული უპირატესობა შეინარჩუნეს. „მერანი" ძლიერი გუნდია, რაც მალხაზ ჟვანიას დამსახურებაა. ბედნიერი ვარ, რადგან სწორედ ჩვენ გავტეხეთ ნავსი და ამ არენაზე პირველებმა გავიმარჯვეთ".*

**ბესიკ გვაზავა**
მარტვილიდან

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 18 | 13 | 3 | 2 | 37 | 15 | 42 |
| 2 | ტორპედო | 18 | 12 | 2 | 4 | 26 | 13 | 38 |
| 3 | დინამო | 18 | 10 | 3 | 5 | 34 | 22 | 33 |
| 4 | მეტალურგი | 18 | 8 | 6 | 4 | 21 | 18 | 30 |
| 5 | მერანი | 18 | 9 | 2 | 7 | 22 | 21 | 29 |
| 6 | ბაია | 18 | 7 | 3 | 8 | 19 | 20 | 24 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 18 | 6 | 5 | 7 | 21 | 22 | 23 |
| 8 | გაგრა | 18 | 6 | 3 | 9 | 18 | 23 | 21 |
| 9 | სპარტაკი | 18 | 5 | 4 | 9 | 16 | 25 | 19 |
| 10 | დილა | 18 | 5 | 3 | 10 | 23 | 25 | 18 |
| 11 | კოლხეთი | 18 | 4 | 6 | 8 | 15 | 24 | 18 |
| 12 | სიონი | 18 | 1 | 4 | 13 | 11 | 35 | 7 |

**ვირტუალური მდგომარეობა 23 დეკემბრისთვის**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 11 | 8 | 2 | 1 | 24 | 8 | 26 |
| 2 | მეტალურგი | 12 | 6 | 3 | 3 | 14 | 12 | 21 |
| 3 | ტორპედო | 12 | 6 | 2 | 4 | 12 | 10 | 20 |
| 4 | მერანი | 12 | 5 | 1 | 6 | 12 | 15 | 16 |
| 5 | დინამო | 11 | 4 | 2 | 5 | 19 | 19 | 14 |
| 6 | ვიტ ჯორჯია | 12 | 3 | 3 | 6 | 8 | 13 | 12 |
| 7 | ბაია | 11 | 3 | 2 | 6 | 9 | 14 | 11 |
| 8 | გაგრა | 11 | 3 | 1 | 7 | 8 | 15 | 10 |



„ზესტაფონში" ბოლო მატჩის ჩამტარებელი ძარია ქომაგებმა ასე გააცილეს - ირაკლი გუნდიდან მიდის

ინტერვიუ

## ზურაბ ბერიძე

# ბირთვი უცვლელია, ამბიციაც გაიზრდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

**"ვიტ ჯორჯიამ" სეზონის პირველი ნახევარი მეშვიდე ადგილზე დაასრულა და, მართალია, მეცხრეადგილოსან "სპარტაკს" ოთხი ქულით უსწრებს, მაგრამ უმაღლესი ლიგის რვა საუკეთესო გუნდში მოსახვედრად მაინც დიდი ბრძოლა დასჭირდება.**

**გუნდის მთავარ მწვრთნელ ზურაბ ბერიძესთან ინტერვიუში "ვიტ ჯორჯიას" გზაც შევაფასეთ და ვეტერინართა სამომავლო გეგმებზეც ვისაუბრეთ.**

**- გასაგებია, რომ "ვიტ ჯორჯიას" ამოცანა რვა საუკეთესოში მოხვედრა იყო, მაგრამ თუ ელოდით, რომ ამ დროისთვის ეს განაღდებული არ გექნებოდათ?**

- დიდი იმედი გვქონდა, რომ ამ პრობლემას ახალ წლამდე გადავჭრიდით, მაგრამ მიზეზთა გამო ეს არ გამოგვივიდა. ნამდვილად შეგვეძლო უკეთესი შედეგის ჩვენება, თუმცა საგანგაშო მაინც არაფერია, რადგან ცხრილში ნორმალური პოზიცია გვიკავია და მჯერა, მიზანს მივაღწევთ - იმის მიუხედავად, რომ პირველი ეტაპის ბოლო ოთხ ტურში რთული მატჩები გველის.

**- "გაგრასთან" განცდილმა მარცხმა საქმე საგრძნობლად გაგირთულათ.**

- ნამდვილად არ იყო წასაგები მატჩი, ფრე ყველაზე სამართლიანი შედეგი იქნებოდა, მაგრამ რას ვიზამთ, ყოველთვის ვერ ილებ იმას, რაც გეკუთვნის, ასეთია ფეხბურთი.

**- სეზონის პირველ ნახევარში თქვენმა გუნდმა თამაშის დამაკმაყოფილებელი ხარისხი აჩვენა?**

- ბოლომდე კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელები ვითარდებიან. "ვიტ ჯორჯიას" მუშაობის სპეციფიკა ყველამ კარგად იცის და ტრადიციებს ვაგრძელებთ. ჩვენთან ყოველთვის იზრდებიან ნიჭიერი მოთამაშეები და გამონაკლისი არც ეს სეზონია.

**- როგორ მოერგო ჩემპიონატის ახალ სისტემას "ვიტ ჯორჯია"?**

- ახალი სისტემა, მეტი რომ არ ვთქვათ, იდეალური არ არის – ჩემი აზრით, არა მხოლოდ "ვიტ ჯორჯიასთვის", არამედ უმაღლესი ლიგის ნებისმიერი გუნდისთვის. თუკი ადრე თითქმის ყველა ქულა ფასეული იყო, ახლა იცი, რომ ამა თუ იმ მატჩის მოგება საერთოდ არაფერს მოგიტანს, რაც გუნდის განწყობაზეც უარყოფითად მოქმედებს და არც ფეხბურთელთა ზრდას უწყობს ხელს. ზედა რვა გუნდში რომ მოვხვდებით, ლიდერებთან წარმატება პრაქტიკული თვალსაზრისით არაფერს მოგვიტანს. ჩვენთვის ნებისმიერ მატჩს მაინც დიდი მნიშვნელობა ექნება, მაგრამ მეშინია, სეზონის დასკვნით ნაწილში უაზრო შეხვედრების რაოდენობა კატასტროფულად არ გაიზარდოს. მით უფრო, ამის ტენდენცია ახლავე შეინიშნება.

**- ყველაზე მეტად რომელი ფეხბურთელების პროგრესს გამოარჩევთ?**

- ცალკეული ფეხბურთელების შექებისგან ყოველთვის თავს ვიკავებ, მაგრამ აუცილებლად უნდა ვახსენო გიორგი ჯანელიძე – მან ყველას დაანახვა, რომ დიდი მომავალი აქვს და, მისი პიროვნული და საფეხბურთო თვისებებიდან გამომდინარე, შემიძლია ვივარაუდო, რომ ძალიან ბევრს მიაღწევს. მოხარული ვარ, რომ მან წლეულსვე მოასწრო საქართველოს ეროვნულ ნაკრებში სადებიუტო მატჩის ჩატარება, სადაც საკუთარი შესაძლებლობები კარგად წარმოაჩინა.

**- არსებობს იმის ალბათობა, რომ ჯანელიძე "ვიტ ჯორჯიადან" ამ ზამთარსვე წავიდეს?**

- ჯერჯერობით მის თაობაზე კლუბს კონკრეტული წინადადება არ მიუღია. თუ რომელიმე ძლიერმა კლუბმა ჯანელიძის შეძენა ამ ზამთარსვე მოინდომა და "ვიტ ჯორჯიას" ხელსაყრელი წინადადებით მიმართა, ტრანსფერის განხორციელება გამორიცხული ნამდვილად არ იქნება.

**- ბოლო დღეებში "ვიტ ჯორჯიას" შემადგენლობაში რაიმე ცვლილებები ხომ არ მომხდარა?**

- დაგვტოვა ორმა ფეხბურთელმა – გიორგი ხუმარაშვილმა და ირაკლი სიხარულიძემ. ახალწვეულებზე ჯერ ვერაფერს გეტყვით, რადგან კონკრეტული შეთანხმებისთვის ჯერ არავისთან მიგვიღწევია. ვგულისხმობ უმაღლეს ლიგაში თამაშის გამოცდილების მქონე ფეხბურთელებს, თორემ ჩვენს ახალგაზრდა კადრებს ძირითად გუნდში დამკვიდრების შანსი ყოველთვის აქვთ. "ვიტ ჯორჯიას" საკადრო პოლიტიკა არ იცვლება, მაგრამ არც იმ ფეხბურთელებზე ვიტყვით უარს, რომლებსაც საკუთარი შესაძლებლობები სხვაგან დაუმტკიცებიათ. მოხარული ვარ, რომ გუნდის ბირთვი შენარჩუნებულია, რაც იმის საფუძვლიან იმედს მაძლევს, რომ სეზონის მეორე ნახევარში შედეგებს გავაუმჯობესებთ.

**- როგორია "ვიტ ჯორჯიას" ზამთრის სამზადისის გეგმა?**



ზურაბ ბერიძე

- 28 დეკემბერს შევიკრიბებით და სამი დღის განმავლობაში ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე ვიმუშავებთ. რამდენიმედღიანი საახალწლო არდადეგების შემდეგ კი მზადებას 8 იანვრიდან განვაახლებთ. კლუბის ხელმძღვანელობა ანთალიის ვარიანტზე მუშაობს. წესით, თურქულ შეკრებაზე უნდა წავიდეთ, სადაც ნაყოფიერ სპარინგებს ჩავატარებთ. თუ ეს არ გამოვიდა, მაშინ სეზონის მეორე ნახევრისთვის თბილისში მოვემზადებით.

**- რა კომენტარს გააკეთებთ გავრცელებულ ხმებზე, რომელთა თანახმად, "ვიტ ჯორჯიას" ფინანსური პრობლემები გაუჩნდა?**

- ამას გამოვრიცხავ, რადგან კლუბის ხელმძღვანელობა "ვიტ ჯორჯიას" მართვას ძველებურად ეფექტურად განაგრძობს და მწვრთნელებიც და ფეხბურთელებიც თავს კომფორტულად ვგრძნობთ – ხელფასები და პრემიები ჩვეულებრივად, შეუფერხებლად რიგდება და სავარჯიშოდაც კარგი პირობები გვაქვს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com*

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სიტუაცია. დინამო

# გარსია: ჰო თუ არა?



"ზესტაფონთან" (1:5) და მარტვილის "მერანთან" მწარე წაგებების (1:2) შემდეგ დაირხა ხმები, კლუბისთვის შეუფერებელი შედეგების გამო თბილისის "დინამოს" მფლობელმა **რომან ფიფიამ** ესპანელ მწვრთნელ **ალექს გარსიას** გაშვება გადაწყვიტა, მაგრამ ამის თაობაზე განცხადების გაკეთებას ჯერ არ ჩქარობენო. იმასაც ამბობენ, რომ უკვე შეარჩიეს გარსიას შემცვლელთა კანდიდატურები (**კახა ცხადაძე** და **გიორგი დევდარიანი**) და მათ შორის არჩევანი მალე გაკეთდებაო.

ამ ყოველივეზე თბილისის "დინამოს" ასეთი პასუხი აქვს – *"ჯერ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ მალე ყველაფერს შეიტყობთ"* ან *"ეს რა სისულელეა"*. ამიტომ, იძულებულები ვართ, "დინამოში" მიმდინარე მოვლენებზე მოპოვებულ ინფორმაციებს დავჯერდეთ. აქვე ვიტყვით, რომ ეს ცნობები გადამოწმებულია და ჰაერიდან მოტანილი ნამდვილად არ არის.

ამ ცნობებით, ფიფიამ გარსიას გაშვებაზე გადაწყვეტილება მართლაც მიიღო, მაგრამ ეს, ბუნებრივია, ემოციურ ფონზე მოხდა და განცხადების გაკეთებას ამიტომაც არ ჩქარობს, მალე კი საკითხს უფრო მშვიდ გარემოში განიხილავსო.

გარკვეულ ტენდენციას ასახავს და ამატომ საყურადღებოდ გვეჩვენა "დინამოს" ოფიციალური ფანკლუბის რეაქცია, რომელშიც აშკარად იკითხება, რომ მწვრთნელის მოხსნაზე რეალურად ფიქრობდნენ: *"საქართველოს ჩემპიონატში ჩატარებულმა რამდენიმე მატჩმა, მათ შორის, ქუთაისის "ტორპედოსთან", ევროასპარეზზე დამაჯერებელმა გამოსვლამ და გუნდში შექმნილმა ატმოსფერომ დაგვარწმუნა ალექს გარსიას, როგორც პიროვნებისა და მწვრთნელის სათავეში ყოფნის საჭიროებაში. ჩვენ ვაცნობიერებთ შექმნილ ვითარებას. ბუნებრივია, რეალობას მოწყვეტილ, ვირტუალურ სატურნირო ცხრილში ჩახედვისას ვერ ვიქნებით კმაყოფილნი, თუმცა კარგად გვესმის, რომ სასურველი შედეგის მიღწევას უდიდესი მოთმინება სჭირდება".*

განცხადებაში სხვა საინტერესო მინიშნებაც იყო – *"ესპანელ სპეციალისტს არ ჩაუტარებია სელექცია, ფეხბურთელთა 80% მას ადგილზე დახვდა. ვფიქრობთ, მას აუცილებლად უნდა მიეცეს შანსი, ჩაატაროს სელექცია, წაიყვანოს გუნდი შეკრებაზე და მხოლოდ ამის შემდეგ მოვითხოვოთ შედეგი".*

მნიშვნელოვნად გვეჩვენა "დინამოს" სპორტულ დირექტორ **გიორგი ნემსაძის** კომენტარი, გარსიას გაშვებაზე არავითარი გადაწყვეტილება არ მიღებულაო. ვფიქრობთ, ესეც უნებლიე მინიშნებაა.

აქვე შეგვიძლია გამცნოთ, რომ ერთ-ერთმა მენეჯერმა თადარიგი უკვე დაიჭირა და აპირებს, თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელობას შესთავაზოს ბრაზილიისა და პორტუგალიის ნაკრებების, აგრეთვე "ჩელსის" ყოფილი მთავარი მწვრთნელის, **ლუიშ ფელიპე სკოლარის** კანდიდატურა, თუმცა მას ის აფიქრებს, შეუძლია კი კლუბს მისი პირობების დაკმაყოფილება? ვფიქრობთ, ეს არარეალურია – ამჟამად ბრაზილიური "პალმეირასის" თავკაცი "ჩელსიდან" წასვლის შემდეგ ორი წელი უზბეკურ "ბუნიოდკორში" მუშაობდა და წელიწადში 6 მილიონ ევროს იღებდა, ეს კი "დინამოს" ბიუჯეტს აღემატება.

ტრანსფერებზეც ვთქვათ: უკვე გაცნობეთ, რომ გუნდში გვითხრეს, **გოგიტა გოგუას** სამწლიან კონტრაქტზე შევუთანხმდითო. აქვე, ბარემ, ერთიც ვთქვათ: "დინამოს" სტილია – ერთ მშვენიერ დილას რედაქციებში დარეკავენ, ორ-სამ საათში პრესკონფერენცია იმართებაო და ახალწვეულ(ებ)ს წარმოგვიდგენენ, თუმცა, გოგუასნაირი გემრიელი "ლუკმის" პრეზენტაციისას ტელეპიარს ამჯობინებენ ხოლმე. საუბარი თავად გოგუამაც არ ისურვა, მოლაპარაკება მაქვს, მაგრამ ჯერ არაფერს გეტყვითო.

ცხადია, "დინამოს" მეპატრონეებს სხვა ფეხბურთელებიც აინტერესებთ. ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" მცველ **ლაშა სალუქვაძის** ჩამოყვანა გამოირიცხა, სამაგიეროდ, ამბობენ, რომ რეალურია ბერძნული "პანიონიოსის" მცველ **დავით კვირკველიასა** და უკრაინის პირველი ლიგის "სევასტოპოლის" მცველ **მათე ღვინიანიძის** ტრასნფერი.

ბუნებრივია, ახლების მოსვლა ძველების წასვლასაც გულისხმობს და, ცხადია, ჩნდება კითხვა — ვის შეელევიან? შესაძლოა თუ არა ამ კონტექსტში განვიხილოთ გუნდის კაპიტან **ალეკო კოშკაძის** ბოლოდროინდელი უთამაშებლობა? ამ კითხვაზე "დინამოს" რეაქცია მძაფრი იყო — რა სისულელეა!

უთამაშებლობის გამო "დინამოს" დატოვება სურს **გიორგი თექთურმანიძეს**, რომელსაც **კობა ჟორჟიკაშვილი** რუსთავის "მეტალურგში" იწვევს. შესაძლოა, კლუბის ძებნა დასჭირდეს **რობერტო ანგინეტისაც**.

ეს ყველაფერი სამუშაო პროცესია, ახლა ფიქრისა და აქტუალურ საკითხთა განხილვის დროა, ასე რომ, ჯერ არაფერი გადაწყვეტილა. რა და როგორ იქნება საბოლოოდ, მალე გაირკვევა — "დინამო" იანვარში შეიკრიბება, მერე კი მოსამზადებლად ესპანეთში გაემგზავრება.

**მერაბ მამულაშვილი**

● დაჯილდოება

# დინამო: საქართველოს ისტორიული ბრენდი



გუშინ "შერატონ მეტეხი პალასში" საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილმა" ქართული ბრენდების დაჯილდოების მეცხრე ცერემონიალი – "ქართული ბრენდის დღე 2011" გამართა.

"დინამოს" პრესატაშე **გიგა გვენცაძის** ცნობით, თბილისური კლუბი ისტორიული ბრენდის ნომინაციის გამარჯვებული გახდა. აღსანიშნავია, რომ ამ დაჯილდოების ისტორიაში პირველად დასახელდა ისტორიული ბრენდი. ცერემონიას დაესწრნენ ვეტერანი დინამოელები - **ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, ოთარ გაბელია, ვაჟა ჟვანია**, გუნდის სპორტული დირექტორი **გიორგი ნემსაძე** და ფეხბურთელი **გიორგი ლორია.**

საპატიო ჯილდო ალექსანდრე ჩივაძემ და გიორგი ნემსაძემ ჩაიბარეს.

**მერაბ მამულაშვილი**

## 1 კვირის 1000 წერილი

**დავით თავართქილაძე**

# COMANDANTE

## დაბრუნება საბჭოთა კავშირში

**ალექს გარსია** თბილისიდან წავიდა და, წავიდა თუ არა "დინამოდანაც"? როგორც წესი, ასეთ კითხვებზე ოფიციალურ პასუხს უცბად არ იძლევიან, რადგან მავანის წასვლის შემდეგ დგება ჟამი მოლოდინისა – ვინ იქნება შემცვლელი? რა თქმა უნდა, კულუარებში ამაზეც ალაპარაკდნენ და თქვეს, "დინამოს" ის ქართველი განვრთნის, ვინც ადრე უკვე იყო ამ გუნდის თავკაცი.

მოკლედ, აბლაბუდას ჰგავს ეს ყველაფერი, მაგრამ, რადგან საქმე საქართველოს ყველაზე ტიტულოვან გუნდზე მიმდგარა, კულუარულ ინფორმაციებსაც ოქროს ფასი ადევს. როგორ ფიქრობთ, ამ ეგრეთ წოდებულ კულუარულ ისტორიებს მავანი მოცლილი თხზავს? მე ასეთ მეზღაპრეებს არ ვიცნობ, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მეზღაპრეები არ არსებობენ.

"დინამო" ყოველთვის განსაკუთრებული კლუბი იყო, ბოლო ორ ათწლეულში არაერთხელ გამოიცვალა პატრონი და არაერთხელ კლუბში შიდა ბრძოლებიც მომხდარა. ასე იყო ახლაც, ანუ მანამდე, სანამ გარსია ოფიციალურ არდადეგებზე წავიდოდა. გარსია და სხვა ესპანელები პროექტი იყო, რომელმაც სეზონის პირველ ეტაპზე არ გაამართლა. ამ პროექტს თავისი ავტორი ჰყავს და, რა გასაკვირია, რომ ალტერნატიულ პროექტსაც გამოუჩნდნენ მხარდამჭერები. ალტერნატივა კი ქართველი მწვრთნელია, ოღონდაც მისი მოსვლა იოლი ვერ არის, მასაც სჭირდება ძლიერთა მხარდაჭერა და ამიტომაც ვართ ასე – გარსია არდადეგებზეა და მორჩა.

"დინამოში" ახალი მეპატრონისა და მმართველის მოსვლაც სახელმწიფო პროექტს ჰგავს. **რომან ფიფია** რუსეთში მოფულიანებული ბიზნესმენია, **ზურაბ პოლოლიკაშვილი** კი სახელისუფლებო სტრუქტურებში ნამუშევარი კადრი. "დინამოში" სხვანაირად ვერავინ მოვიდოდა, თუ ვინმე მომსვლელი იყო, მანამდეც გამოჩნდებოდა, როცა **ბადრი პატარკაციშვილი** გარდაიცვალა და "დინამო" მყარი ფინანსური ზურგის გარეშე დარჩა.

სახელმწიფო პროექტი იქოქება გორის "დილაშიც" – კლუბს შინაგან საქმეთა სამინისტრო გაუძღვება. ეს ოხერი კულუარისტები იმასაც ამბობენ, მალე არმიაც უშეფებს ერთ-ერთ საფეხბურთო გუნდსო, რისი პრეცედენტი უკვე არის კალათბურთსა და რაგბიში, ასე რომ, კულუარისტებს მეზღაპრეობას ძნელად თუ დავწამებთ.



ყველაფერ ამას დავუმატოთ ცხინვალის "სპარტაკი" და რეგიონების ის გუნდები, გამგეობები რომ აფინანსებენ.

მოკლედ, დინამიკა ნამდვილად არის და, ზოგადად, ეს კარგია. გამალებით გვიტრიალებენ მსუყე სიუჟეტებს რუსეთსა და **პუტინზე**, იქ საბჭოთა კავშირის აღდგენაზე ოცნებობენ, აქ კი ქვეყანა წინ მიდისო, მაგრამ რაღაც ვერ ემთხვევა ყველაფერი ერთმანეთს.

აკი გეუბნებოდით, ვერ დავიჩემებ, რომ მეზღაპრეები არ არსებობენ-მეთქი. ეს ძველთაძველი ხელობაა.

■ ■ ■

მჭექი ამბავი გამოდგა **კახა კალაძის** ნაკრებიდან წასვცლაც. მან საქართველოს გორმახებიდან დაიწყო გზა და "მილანამდე" მივიდა, ჩემპიონთა ლიგა ორჯერ მოიგო. კალაძე სამაგალითო ფენომენია. სხვა საქმეა, რამდენად სწორი იყო მისი მოქმედების ფორმა, როცა ნაკრებიდან წასვლის თაობაზე განაცხადა. ცხადია, ამ ყველაფერს პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა და ეს იყო ერთგვარი პროტესტი კალაძის მხრიდან. იგი მხარს უჭერს პოლიტიკაში მოსულ **ბიძინა ივანიშვილს** და ეს მისი უფლებაა.

**მარადონას** სულაც **ფიდელ კასტრო** და **ერნესტო ჩე გევარა** უყვარს, ოღონდაც ნაკრებიდან ისე წავიდა, ფიდელის გვერდზე არ დამდგარა.

ფეხბურთელი მარადონა გენიოსი იყო და დიდად აქტუალური აღარ არის მისი პოლიტიკური შეხედულებები. ბუმბერაზებს ბევრი რამე ეპატიებათ.

არც კალაძე დარჩენილა ნაგებული ნაკრებიდან წასვლით, თუნდაც იმიტომ, რომ სხვას დააშვებინა შეცდომა – კალაძე რუს ფეხბურთელ **შევჩენკოსთან** ერთად იყო "ქართული ოცნების" პრეზენტაციაზეო – დაახლოებით ასეთი რამ მოვისმინეთ ერთ-ერთ სახელისუფლებო ტელეარხზე.

ქართული ფეხბურთი უაღრესად პოლიტიზებული და ხელისუფლებაზე ძალიან დამოკიდებული რომ გახდა, ეს სავალალო უნდა იყოს. ამას კარგი არაფერი მოჰყვება და კალაძეც, ალბათ, ამას აპროტესტებდა ნაკრებიდან წასვლით.

მარადონას და ფიდელის ამბავი კი სულ სხვაა, ის არ ჰგავს ქართულ სინამდვილეს თუნდაც იმიტომ, რომ კასტრო ძალიან თავისებური დიქტატორია და კიდევ იმიტომ, რომ „თავისუფლების კუნძულზე" ამერიკულ თუ რუსულ ფილმებს ესპანური სუბტიტრებით არ აჩვენებენ.

ამერიკელმა რეჟისორმა **ოლივერ სტოუნმა** დაახლოებით ათიოდე წლის წინათ ფილმიც კი გადაიღო ფიდელზე და კუბაზე – COMANDANTE. უდავოდ საინტერესო ნამუშევარია, სტოუნი ფიდელს ლამის ყველაფერზე ესაუბრება, ვიაგრაზეც კი. ფილმი დოკუმენტურია და სინამდვილის ხარისხიც მასში დიდია. რა თქმა უნდა, ფილმი ამერიკულად მთავრდება, **ბენჯამენ ფრანკლინის** სიტყვებით: "ის, ვინც თავისუფლებას უსაფრთხოების გამო თმობს, ის არც თავისუფლების ღირსია და არც უსაფრთხოების".

ამის თქმას საქართველოში სულ სხვა ავტორიტეტი, სულ სხვა წარსული უნდა, თორემ, ვინ არ იცის, როგორ ტარდება ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები, როგორ ინიშნება ნაკრების მთავარი მწვრთნელი, როგორ ინაწილებენ საფეხბურთო სტრუქტურები კლუბებს და როგორ გვატყუებენ.

## ქართული ფეხბურთი

● ლეგიონერები



ვოლგაში მარცვალაძე დღესაც ახსოვთ

# მარცვალაძე პერსონაა

"ჩემპიონატ.რუ"-მ სეზონი **ალექსანდრ ტარხანოვს** შეაჯამებინა. რუსმა მწვრთნელმა ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგაში" ქართველები გამოარჩია.

*"ფეხბურთელებიდან გამოვყოფდი მარცვალაძეს და ხოჯავას. პირველმა სეზონი ძალიან კარგად დაიწყო. მომეწონა ტურსუნოვიც. ამ ფეხბურთელებმა საკმაოდ კარგად გამოავლინეს თავი"* – თქვა ტარხანოვმა.

"ჩემპიონატ.რუ"-მ **გოჩა ხოჯავა** ასე დაახასიათა: *"მან სეზონში მხოლოდ 11 შეხვედრა ჩაატარა, მაგრამ ქართველი პლეიმეიკერი "ვოლგას" ყველაზე ეფექტური მოთამაშე იყო. მთავარმა მწვრთნელმა დმიტრი ჩერიშევმა კი მის სამსახურზე უარი თქვა"*.

მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულში **ოთარ მარცვალაძემ** გუნდი დატოვა, საქართველოს ნაკრების 26 წლის თავდამსხმელი 5 გოლით მაინც ნიჟნინოვგოროდელთა საუკეთესო ბომბარდირია. "სოკერ.რუ"-მ ოთარის წასვლა "ვოლგას" გულშემატკივართა წლის იმედგაცრუებად მონათლა.

*"მარცვალაძის წასვლა წლის იმედგაცრუებაა. ზოგიერთისთვის ასეთი მოვლენა თეთრაძის გაშვება იყო. ფაქტია, რომ "ვოლგაში" უსიამოვნებები სწორედ მათი წასვლის შემდეგ დაიწყო"* – წერს გაზეთი.

ამ მიზეზთა გამო "სოკერ.რუ"-მ "ვოლგას" წლის პერსონებად სწორედ მარცვალაძე, **ომარ თეთრაძე** და მისი შემცვლელი **დმიტრი ჩერიშევი** დაასახელა: *"მარცვალაძე და თეთრაძე გუნდის წარმატებულ სტარტს განასახიერებდნენ. მაშინ ნიჟნი ნოვგოროდის კლუბს ყველა აქებდა, ბევრი კი ევროპის ლიგაზე გასვლასაც უწინასწარმეტყველებდა. მაგრამ გუნდში დაიწყო სკანდალები, წავიდა მარცვალაძე, რომლის გამტყუნებაც ძნელია, გაუშვეს თეთრაძე, რამაც არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. მის ნაცვლად კი დაინიშნა დმიტრი ჩერიშევი, რომელსაც მთავარ მწვრთნელად მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდა"*.

"სოკერ.რუ"-მ ნიჟნელთა წლის აღმოჩენად დაასახელა **შოთა ბიბილოვი**, რომელზეც ახლახანაც ვწერდით — საქართველოში დაბადებული და ვლადიკავკაზში გაზრდილი ფეხბურთელი ქართველ თანაგუნდელებს დღემდე ქართულად ელაპარაკება.

"ვოლგაში" ყველაზე მეტი ყვითელი ბარათი ქართველის ანგარიშზეა - საქართველოს ნაკრების მცველმა **გია გრიგალავამ** 21 შეხვედრაში 9 ყვითელი და 2 წითელი ბარათი დაიმსახურა. გიას ბოლოს წითელი ბარათი პერმის "ამკართან" აუფრიალეს, რაზეც მამამისმა, ძველმა მორაგბემ **ალეკო გრიგალავამ** სიმწრისგან იხუმრა, ვენაცვალე, კიდევ ერთხელ "მასახელაო".

სეზონი "სპორტ-ექსპრესმაც" შეაჯამა და "ვოლგას" დასუსტების მთავარ მიზეზად ქართველების სათადარიგოებში გადაყვანა და მარცვალაძის გაყიდვა დაასახელა: *"რუსეთის საფეხბურთო კავშირის გადაწყვეტილება, მიეცა გუნდებისთვის განაცხადში ხუთი ფეხბურთელის დამატების უფლება, ყველაზე მეტად ნიჟნინოვგოროდელებს წაადგებათ, რადგან მათ ლიმიტი ჯერ კიდევ ზაფხულში ამოწურეს. "ვოლგამ" ვერ მოახერხა მარცვალაძის სრულფასოვანი შემცვლელის მოძებნა. სამწვრთნელო შტაბთან ქართველთა სამეულის (ხოჯავას, სალუქვაძისა და გოგუას) კონფლიქტის შემდეგ მოედნის ცენტრში ვაკუუმი წარმოიქმნა, ამიტომ ამ რგოლში გუნდს აუცილებლად სჭირდება გაძლიერება. ეს სამეული კლუბს ამ ზამთარში დატოვებს"*.

აქვე გეტყვით, რომ რამდენიმე ხელსაყრელი წინადადების მიუხედავად, გრიგალავა, ალბათ, 2012 წელსაც "ვოლგაში" დაიწყებს – ამით თავად ჩერიშევია დაინტერესებული. თუმცა 22 წლის ქართველი მცველის ტრანსფერზე მოლაპარაკებები ჯერ არ დასრულებულა.

**მერაბ მამულაშვილი**



# ქაისერი ადის

შუა კვირაში ევროპის არაერთ ქვეყანაში საჩემპიონატო და სათასო მატჩები გაიმართა და თქვენს ყურადღებას იმ კლუბებზე შევაჩერებთ, სადაც ქართველები თამაშობენ.

თურქულ სუპერლიგაში მორიგი მატჩი მოიგო "ქაისერისფორმა" – **შოთა არველაძის** გუნდმა "ანკარაგიუჯუ" 3:0 გაანადგურა და მე-6 პოზიციაზე გადაინაცვლა, რაც მძიმედ დაწყებული სეზონის შემდეგ არცთუ ურიგო შედეგია. **ზურაბ ხიზანიშვილმა** "ქაისერის" შემადგენლობაში მხოლოდ პირველი 45 წუთი ითამაშა.

**აკაკი ხუბუტიას** "სამსუნსფორი" სტუმრად დაძაბულ ბრძოლაში 2:3 დამარცხდა "სივასფორთან" და კვლავ ბოლოსწინა, მე-17 ადგილზეა. ქართველმა მცველმა მოედანზე 90 წუთი გაატარა.

იტალიური და გერმანული ამბების შესახებ "ლელოს" გუშინდელ ნომერში წაიკითხავდით, მაგრამ შეგახსენებთ, რომ **კახა კალაძის** "ჯენოა" სერია A-ში სტუმრად 1:6 განადგურდა „ნაპოლისთან" და საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი 58-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო **ლევან კობიაშვილის** "ჰერტამ" გერმანიის თასის მერვედფინალში შინ "კაიზერსლაუტერნს" 3:1 სძლია. ლევანმა შეუცვლელად ითამაშა.

აზერბაიჯანში "გაბალასა" და "ყარაბახის" დაპირისპირება უგოლოდ დასრულდა. აგდამელთა რიგებში **გიორგი ადამია** მე-80 წუთიდან გამოჩნდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● საქართველოს ჩემპიონატი

**II ლიგა. აღმოსავლეთი ზონა**

### გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| ლიახვი (აჩაბეთი) – ივერია (ხაშური) | 0:2 |
| ალგეთი (მარნეული) – 35-ე სკოლა (თბილისი) | 5:2 |
| სასკო (თბილისი) – ლაგოდეხი | 5:0 |
| იუსი ბესტი (თბილისი) – დუშეთი | 3:2 |
| იბერია (თბილისი) – აბული (ახალქალაქი) | 6:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სასკო | 12 | 9 | 2 | 1 | 36-6 | 29 |
| 2. იუსი ბესტი | 13 | 8 | 4 | 1 | 27-13 | 28 |
| 3. ივერია | 12 | 7 | 2 | 3 | 33-15 | 23 |
| 4. 35-ე სკოლა | 13 | 6 | 1 | 6 | 26-29 | 19 |
| 5. აბული | 13 | 5 | 3 | 5 | 17-23 | 18 |
| 6. ლიახვი | 13 | 5 | 2 | 6 | 25-27 | 17 |
| 7. დუშეთი | 13 | 4 | 4 | 5 | 22-25 | 16 |
| 8. ლაგოდეხი | 13 | 3 | 2 | 8 | 3-28 | 11 |
| 9. იბერია | 13 | 3 | 1 | 9 | 24-34 | 10 |
| 10. ალგეთი | 13 | 3 | 1 | 9 | 9-27 | 10 |

### საქართველოს 2011-12 წლების ეროვნული ჩემპიონატი მესამე („იმედის") ლიგა
X ტური

| | |
|---|---|
| საქართველოს უნივერსიტ. (თბ.) – ელიტ-ჯორჯია (თბილისი) | 3:2 |
| დიოსკურია (აფხაზეთი) – ალგეთი-XXI (თბილისი) | 1:0 |
| თ.ს.ა (თბილისი) – აეტი -2 (სოხუმი) | 2:4 |
| ამირანი (აფხაზეთი) ფორვარდი (რუსთავი) | 4:0 |
| დინამო (სოხუმი) – რ.ძ.ა.-ერთობა (თბილისი) | 1:6 |
| რუსთავი – გარეჯი (საგარეჯო) | 1:2 |

**გამოტოვებული მატჩი**

| | |
|---|---|
| ელიტ-ჯორჯია –ამირანი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქ. უნივერს. | 10 | 8 | 0 | 2 | 31-13 | 24 |
| 2. ამირანი | 10 | 7 | 2 | 1 | 28-10 | 23 |
| 3. ელიტ-ჯორჯია | 10 | 6 | 2 | 2 | 17-11 | 20 |
| 4. დიოსკურია | 10 | 5 | 1 | 4 | 17-20 | 16 |
| 5. აეტი-2 | 10 | 5 | 1 | 4 | 26-22 | 16 |
| 6. გარეჯი | 10 | 5 | 1 | 4 | 16-15 | 16 |
| 7. თ.ს.ა. | 10 | 4 | 3 | 3 | 23-14 | 15 |
| 8. რ.ძ.ა.-ერთობა | 10 | 4 | 1 | 5 | 26-18 | 13 |
| 9. ფორვარდი | 10 | 4 | 1 | 5 | 13-21 | 13 |
| 10. ალგეთი-XXI | 10 | 1 | 5 | 4 | 9-12 | 8 |
| 11. დინამო | 10 | 1 | 1 | 8 | 8-31 | 4 |
| 12. რუსთავი | 10 | 0 | 2 | 8 | 8-35 | 2 |

### საქართველო ს 2011-12 წლების ეროვნული ჩემპიონატი U-17 XIII ტური

| | |
|---|---|
| ძიზიყი (სიღნაღი) – ოლიმპიკი (თბილისი) | 0:1 |
| იბერია 2 (თბილისი) – მცხეთა | 1:1 |
| საქართველოს უნივერსიტ. (თბ) – ტორპედო-ავაზა (თბილისი) | 7:1 |
| ნ. დინამო 2 (თბილისი) – საქართ. უნივერსიტეტი-2 (თბ.) | 3:2 |
| თ.ს.ა. (თბილისი) – ნ. დინამო 95 (თბილისი) | 0:1 |
| მერანი (თბილისი) – ოლიმპი-2 (თბილისი) | 1:0 |
| ლიახვი (აჩაბეთი) – მთვარის გლობუსი (თბილისი) | 3:1 |
| ლოკომოტივი (თბილისი) – ნ. დინამო-94 (თბილისი) | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნ. დინამო-95 | 12 | 11 | 1 | 0 | 51-14 | 34 |
| 2. ოლიმპი | 12 | 9 | 1 | 2 | 31-9 | 28 |
| 3. ლიახვი | 12 | 9 | 1 | 2 | 28-20 | 28 |
| 4. მერანი | 12 | 8 | 1 | 3 | 26-15 | 25 |
| 5. ოლიმპიკი | 11 | 8 | 0 | 3 | 25-12 | 24 |
| 6. თ.ს.ა. | 11 | 7 | 0 | 4 | 17-13 | 21 |
| 7. ნ. დინამო-94 | 11 | 6 | 1 | 4 | 31-30 | 19 |
| 8. საქ. უნივერ.-2 | 12 | 6 | 0 | 6 | 28-25 | 18 |
| 9. ტორპედო-ავაზა | 12 | 5 | 2 | 5 | 23-28 | 17 |
| 10. ლოკომოტივი | 11 | 5 | 1 | 5 | 33-16 | 16 |
| 11. მცხეთა | 12 | 4 | 2 | 6 | 22-22 | 14 |
| 12. საქ. უნივერ. | 11 | 4 | 1 | 6 | 24-28 | 13 |
| 13. ნ. დინამო-2 | 12 | 3 | 3 | 6 | 22-27 | 12 |
| 14. გურჯაანი | 12 | 3 | 2 | 7 | 18-22 | 11 |
| 15. ოლიმპი-2 | 12 | 3 | 1 | 8 | 12-30 | 10 |
| 16. მთ. გლობუსი | 11 | 2 | 1 | 8 | 19-35 | 7 |
| 17. იბერია-2 | 12 | 1 | 2 | 9 | 15-34 | 5 |
| 18. ძიზიყი | 12 | 1 | 0 | 11 | 13-48 | 3 |

● ბომბარდირთა რეიტინგი

# ნიკოლოზ გელაშვილი 65

სწორედ ეს პოზიცია უჭირავს **ნიკა გელაშვილს** ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის (IFFHS) მიერ გამოქვეყნებულ ბომბარდირთა რეიტინგში, რომელსაც ასეთი პრინციპით ადგენენ: ფედერაციამ შეარჩია მსოფლიოს საუკეთესო 60 ლიგა (რომელშიც ჩვენი ეროვნული ჩემპიონატიც შედის) და 2011 წელს გატანილი გოლების მიხედვით გოლეადორთა სია შეადგინა.

"ზესტაფონის" თავდამსხმელმა წლეულს საქართველოს ჩემპიონატებში (წინას მეორე და ახლანდელის პირველი ეტაპები) 18 გოლი გაიტანა, რაც მსოფლიოში 65-ე შედეგია.

რეიტინგს კი ესტონელი **ალექსანდრს ჩეკულაევსი** ლიდერობს, რომელიც თვით **კრიშტიანუ რონალდუსაც** კი უსწრებს. მართალია, მადრიდის "რეალის" პორტუგალიელმა ვარსკვლავმა "ოქროს ბუცი" მოიგო, მაგრამ ეს იმის წყალობით, რომ ამ ჯილდოს მფლობელის გამოსავლენ კონკურსში ესპანურ პრიმერას ესტონეთის ჩემპიონატზე უკეთესი კოეფიციენტი აქვს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

რეიტინგის საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 1. **ალექსანდრს ჩეკულაევსი** (ნარვა, ესტონეთი) | 46 გოლი |
| 2. **კრიშტიანუ რონალდუ** (რეალი, პორტუგალია) | 40 |
| 3. **ლიონელ მესი** (ბარსელონა, არგენტინა) | 31 |
| 4. **მარიო გომესი** (ბაიერნი, გერმანია) | 28* |
| 5. **ალექსი** (ფენერბაჰჩე, ბრაზილია) | 28 |
| 6. **ანტონიო დი ნატალე** (უდინეზე, იტალია) | 28 |
| 7. **მარკიზო მინა** (ინდეპენდიენტე, ეკვადორი) | 28 |
| 8. **ალექსანდრ ფრაი** (ბაზელი, შვეიცარია) | 27 |
| 9. **გარა დემბელე** (ლევსკი, მალი) | 26 |
| 10. **გეორგე ბოგიუ** (მილსამი, მოლდოვა) | 26 |

*გოლების თანაბრობისას უპირატესობა ენიჭება მას, ვინც ნაკლები მატჩი ჩაატარა



● სტუმრები

# ვალენსიამ შეგვათვალიერა

თბილისს ცნობილი ესპანური კლუბის, „ვალენსიას" წარმომადგენლები **ფერნანდო გომეს კოლომერი** და **ხავიერ კაბელო რუბიო** ესტუმრნენ - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, ეს ვიზიტი სამინისტროსა და ფეხბურთის ფედერაციის მოწვევით შედგა.

სტუმრებმა მინისტრ **ლადო ვარძელაშვილთან** და ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავასთან** ერთად 21 დეკემბერს მცხეთაში "მცხეთა პარკი" დაათვალიერეს და საქართველოს 14-წლამდელთა ნაკრების ვარჯიშს დაესწრნენ.

*"ესპანელები აქტიურად ჩაერთვებიან ბავშვთა ფეხბურთის განვითარების პროგრამაში, რომელიც 2012 წლიდან ამოქმედდება. ესპანელი ექსპერტები შეისწავლიან ბავშვთა ფეხბურთში არსებულ მდგომარეობას, დააკვირდებიან ამ მიმართულებით ფეხბურთის ფედერაციის მუშაობას. გარდა ამისა, ისინი იზრუნებენ ქართველი მწვრთნელების გადამზადებაზე, განხორციელდება ქართულ-ესპანური გაცვლითი პროგრამები. გომესმა და რუბიომ უკვე მოინახულეს საფეხბურთო სკოლა „საბურთალო" და ესტუმრნენ ფეხბურთის ფედერაციას"* – იუწყება სამინისტროს პრესსამსახური.



ფოტო: msy.gov.ge

**მერაბ მამულაშვილი**

● გულშემატკივარი

# ვიკამათოთ, რათა გავიმარჯვოთ

**მაშასადამე, ალბათ უკვე დროა ცივ გონებაზე შევაფასოთ ქართული საკლუბო გუნდების და ნაკრებების გამოსვლა საერთაშორისო ასპარეზზე. ვფიქრობ, საკლუბო გუნდების გამოსვლა დადებითად უნდა შეფასდეს. თუნდაც იქედან გამომდინარე, რომ დავძლიეთ სომხურ-ყაზახურ-მოლდოვური ბარიერები, რაც წინა წლებში პრობლემური იყო. თბილისის „დინამოც" აშკარა ფავორიტად გამოიყურებოდა საწყის ეტაპებზე. ერთი სიტყვით, წინსვლა არის. გულშემატკივარს გაუჩნდა იმედი, რომ გაისად პლეი ოფის ეტაპსაც დავძლევთ, მერმისად შეიძლება ჯგუფური ეტაპის რომელიმე თამაშიც მოვიგოთ, მომდევნო წელს მეორეც და ასე შემდეგ. თუ ასე ნაბიჯ-ნაბიჯ წავიწიეთ წინ, სამ-ოთხ წელიწადში საშუალო ევროპული დონის რამდენიმე კლუბი გვეყოლება, ისეთები, რომლებიც კონკურენციას გაუწევენ ავსტრიის, შვეიცარიის, შვედეთის, ჩეხეთის, ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნების გუნდებს. უახლოესი პერსპექტივისათვის, ვფიქრობ, ეს დამაკმაყოფილებელი პროგრესია. რაც შეეხება „ბარსელონას", „რეალის", „მილანის", „მანჩესტერ იუნაიტედის" დონეს, ამ ეტაპზე მხოლოდ ოცნება თუ შეგვიძლია. თუმცა, რატომ მხოლოდ ფუჭი ოცნება - განა, სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევრის და ოთხმოციანი წლების დასაწყისის თბილისის „დინამო" არ იყო ცნობილი ევროპელი ექსპერტების შეფასებით, ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი?**

მავანი კვლავ იტყვის — რა გადაგვაყოლეთ ერთ, რამდენიმეწლიან პერიოდს, ახლა რანი ვართ?

შეიძლება ასეთი თვითკრიტიკული მიდგომაც სწორი იყოს, ობიექტურობის და რეალობის ნიადაგს რომ არ მოვწყდეთ და ილუზიების ტყვეობაში არ აღმოვჩნდეთ, მაგრამ ჩემო ძვირფასო ოპონენტებო, ჩვენც გაგვაჩნია რამდენიმე არგუმენტი, რომელთა გამო შეგვიძლია საკუთარი პოზიციები დავიცვათ.

მოგეხსენებათ, თანამედროვე ფეხბურთი რამდენიმე კომპონენტისგან შედგება, რომელთაგან გამოსაყოფია ფიზიკური, ტექნიკური, ტაქტიკური და ფსიქოლოგიური მომზადება. ქვემოთ ცალ-ცალკე შევჩერდეთ თითოეულზე.

## ფიზიკური მომზადება

თუ სომხურ და ყაზახურ გუნდებთან თამაშით რუსთავის „მეტალურგმა" აშკარად დადებითი ემოციები დაგვიტოვა, ფრანგულ „რენთან" პირიქით მოხდა.

ამ კომპონენტში რუსთაველები და ფრანგები ისე განსხვავდებოდნენ, როგორც ცა და დედამიწა. ფრანგებთან შედარებით, მოედანზე რუსთაველთა სირბილი შენელებული კადრების მოძრაობას ჰგავდა. იგივე შეიძლება ითქვას "ზესტაფონისა" და „შტურმის", "ზესტაფონისა" და "ბრიუგეს" დაპირისპირებისას. თუ შინ თამაშებისას ზესტაფონელებმა ფსიქოლოგიური მუხტით, მონდომებით, აზარტისა და ბრძოლით შეძლეს ფიზიკურ მომზადებაში ჩამორჩენა, მეტოქის მოედნებზე ეს ველარ მოახერხეს და მეტოქის სხარტი გადაადგილებების ფონზე, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, ჩვენები უფრო დამძიმებულები ჩანდნენ.

ჩვენი აზრით, იგივე დაემართა „დინამოსაც" ბერძნულ აეკ-თან. აშკარად არა, მაგრამ ბერძნები დინამოელებზე ცოტათი უფრო აქტიურად გამოიყურებოდნენ, რაც მათ თამაშის ბოლომდე შეინარჩუნეს და სხვა მომენტებთან ერთად ეს ფაქტორი მატჩში გადამწყვეტი აღმოჩნდა.

პირადად ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ამ წაგებულ ორრაუნდიან დაპირისპირებებში ჩვენი სამივე გუნდის ფიზიკური მომზადება გათვლილი იყო მეტოქის გაძლებაზე, სათამაშო დროის დამთავრებაზე, მაშინ, როდესაც ჩვენი მეტოქეები საჭირო დროს სიჩქარეებსაც უმატებდნენ და მოძრაობასაც. და ეს, არ დაგავიწყდეთ, ევროპის საშუალო დონე რომ ჰქვია, იმ გუნდებთან, თორემ ცოტა მაღალი დონის მეტოქეებთან ისე შევრცხვებოდით, როგორც "მეტალურგი" - „რენთან".

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, — ჩვენი გუნდები, უფრო სათანადოდ რომ ყოფილიყვნენ მომზადებული ფიზიკურად, პლეი ოფის ბარიერს გადალახავდნენ, ყოველ შემთხვევაში, „დინამო" და "ზესტაფონი "მაინც.

## ტექნიკური მომზადება

აქ თითქოს გენეტიკურად მოგვსდევს ეს ყველაფერი, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე.

თუ ჩვენმა ფეხბურთელმა ბურთი მიიღო, შემდეგ ვერ აჩერებს და ორი-სამი მეტრით წინ უვარდება; საერთოდ აღარ შემინიშნავს მოხდენილი დრიბლინგი — ფეხბურთელები ათიოდ ნაბიჯსაც ვერ გარბიან ბურთთან ერთად, თორემ ბურთის თრევაში უბადლონი არიან. საფეხბურთო სტადიონზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ჯარიმების ის შესრულებები, გვგონია რაგბის კარში ურტყამდნენ. მოკლედ, ხარვეზი უამრავია, საჭიროა მწვრთნელებმა უფრო მეტი იმუშაონ ფეხბურთელებთან ინდივიდუალურად ცალ-ცალკე ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, თორემ ჩვენი ბავშვების ფეხბურთი შტამპავს ერთი და იმავე ნაკლით დაღდასმულ ფეხბურთელებს.

რამდენიმე წლის წინათ ბავშვი დამყავდა ფეხბურთზე. სამი თუ ოთხი სპორტსკოლა გამოვაცვლევინე. ყველგან ერთი და იგივე სურათია: ათითხუთმეტწუთიანი ძუნძული, მერე გაყოფენ ორ გუნდად, მიუგდებენ ბურთს და ვარჯიშის ბოლომდე მარტივი "ორკარაა." ამოიწურება 1,5 - 2 საათი და დამთავრდა ვარჯიში.

ამას ბავშვის მომზადება არ ჰქვია. მაგალითისათვის ავიღოთ ბურთის დარტყმის ტექნიკა. სანამ ბავშვი ამას თვითონ გამოიმუშავებს, მწვრთნელმა უნდა აუხსნას მას ბურთზე ფეხის დარტყმის პოზიციები, თუ რა ტრაექტორიას გაივლის ბურთი ფეხის წვერით, ფეხის ზურგის, ფეხის გარე თუ შიგნითა ნაწილით შეხებისას და ამის შემდეგ შეიძლება „ხმელი ფოთოლის" დახვეწაზე იმუშაო, ანდა **ილია დათუნაშვილივით** პირდაპირ კუთხურიდან შეაგდო გოლი. თითქმის არც ერთ საფეხბურთო სკოლაში, სადაც შეხება მქონდა, არ მინახავს კარის ძელზე ჩამოკიდებული ბურთის გასაძვრენი რგოლები ან ერთ ხაზზე ჩამწკრივებული „სლალომის" ჯოხები.

თითქმის ანალოგიური სიტუაციაა საკლუბო გუნდებშიც, როგორც გუნდური ვარჯიშების, ასევე ფეხბურთელების ინდივიდუალური მომზადების მხრივ. არადა, ნაკრების მწვრთნელები მზა ფეხბურთელებს ითხოვენ. ნაკრებშიც არ არის დრო, რომ ხელახლა რამდენიმედღიანი შეკრება ამ კომპონენტების სრულყოფაზე ვარჯიშს მოხმარდეს. პოლო, იმდენად, არის, რომ ჩვენი ფეხბურთელების შესრულებული ჯარიმა ან სტანდარტული დისტანციიდან კარში დარტყმული ბურთები მაღალ სიმაღლეებზე მფრენი აპარატების ჩამოსაგდებად გეგონება გამიზნული.

ერთი სიტყვით, არც აქ არის გადაუწყვეტელ-გადაუჭრელი პრობლემები. ალბათ, საჭიროა გადაიხედოს და უფრო მაღალ დონეზე ავიდეს მწვრთნელთა მომზადება, ბავშვებთან უნდა იმუშაოს შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის მწვრთნელმა, რომელსაც შეეძლება სათამაშო ტექნიკა გაარჩიოს ... ტაქტიკისაგან, ერთმანეთში არ აერიოს მოედანზე ფეხბურთელების განლაგების სქემა და გუნდის სათამაშო ტაქტიკა და ა.შ.

## ტაქტიკური მომზადება

სხვანაირად მას კიდევ საფეხბურთო სიბრძნე, ჭკუა, ინტელექტი უნდა ვუწოდოთ.

პირველ რიგში, რაც ქართული გუნდების მოქმედებაში თვალში საცემია, არის ყბადაღებული უბურთოდ მოძრაობის დეფიციტი. ერთადერთი, **გია გეგუჩაძის** განწვრთნილ "ზესტაფონს" ჰქონდა ამის ტენდენცია და ისიც ეპიზოდებში. არადა, დღევანდელი თანამედროვე ფეხბურთი მოთამაშის ტაქტიკურ აზროვნებაზეა გათვლილი. იერიში ლოგიკურად ვერ გაგრძელდება, თუ შეტევაში მონაწილე ფეხბურთელი დროულად არ გაიხსნა, არ ეძებს თავისუფალ ადგილებს, ხელსაყრელი პოზიციიდან პასის მისაღებად და თამაშის გასამწვავებლად.

უნდა ითქვას, რომ უბურთოდ მოძრაობის დეფიციტი ქართული ფეხბურთის სენია. ძირითადად მოძრაობს ის ფეხბურთელი, ვისაც ბურთი აქვს. ათრევს სანამ არ მობეზრდება, როცა მონწყინდება, შემდეგ გაიხედავს, ვის გადააწოდოს. პარტნიორთაგან არავინაა გახსნილი, რადგან პარტნიორმა იცის, რომც გაიხსნას, დროულ პასს ვერ მიიღებს. სტატიკაში მყოფი ფეხბურთელების განეიტრალებასა და დაჭერას რა უნდა. ამიტომაცაა, ჩვენს გუნდებს შეტევის გაგრძელება რომ უჭირთ. უაზრო პასები უკან და ფლანგებზე - ამის შემხედვარე, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ფეხბურთელებმა არც იციან, მოედანზე რა უნდა გააკეთონ. აღარაფერს ვამბობთ კომბინაციის გათამაშებასა და იმპროვიზაციის უნარზე.

შემდეგი თვალშისაცემი ხარვეზი — ჩვენი გუნდების შესრულებით ფაქტობრივად არ დამინახავს სწრაფი, მოულოდნელი კონტრშეტევა. მხოლოდ „დინამო"-აეკ-ის შეხვედრისას იყო რაღაც ამის მსგავსი, მაგრამ მაგას გააზრებული კონტრშეტევა არ ჰქვია. ძირითადად მოედნის სიღრმიდან, საკუთარი საჯარიმოდან კეთდებოდა გრძელი პასი წინ ეულად დარჩენილ ფეხბურთელზე, რომელიც თუ ფეხებში იღებდა ბურთს, აუცილებლად ზურგით იდგა მეტოქის კარისკენ და სანამ შემოტრიალდებოდა და სიჩქარეს აკრეფდა, განეიტრალებული მანამდე იყო მეტოქის დაცვის მიერ, ხოლო თუ მისი მოძრაობის მიმართულებით კეთდებოდა პასი, აუცილებლად მკერდს ზემოთ და თავში დამიზნებით, რაც ასევე არაეფექტური იყო. თბილისში აეკ-თან ჩატარებული მატჩის მეორე ნახევარი თითქმის ასეთი პინგ-პონგის სტილში გაილია.

იგივეს თქმა შეიძლება ნაკრების თამაშზეც. მასირებული დაცვიდან ანუ "მეორე ნომრად" მოთამაშე გუნდში ყოველთვის უნდა იყოს ორი-სამი ჩასაფრებული ფეხბურთელი ბურთის ე.წ. „პერეხვატის" შემთხვევაში სწრაფი და მოულოდნელი კონტრშეტევის განსახორციელებლად. ასეთ სტილში შეტევა უფრო ეფექტურია, ვიდრე წინ დატოვებული ერთადერთი თავდამსხმელი, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ნომინალურად ითვლება შემტევ ფეხბურთელად და მისი ეფექტურობა მხოლოდ შემთხვევითობაზეა გათვლილი, რადგან ერთი ფეხბურთელის „დაჭერა" არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს მეტოქის დაცვისათვის. ჯგუფური კონტრშეტევის დროს მეტოქეც იძულებულია, ლამის მთელი გუნდით დაბრუნდეს დაცვაში შეტევის გასანეიტრალებლად და ასეთი პერიოდული, სწრაფი მონაცვლეობა შეტევისა და დაცვისა, ქანცს აცლის მეტოქე გუნდის ფეხბურთელებს. მართალია, საკუთარი გუნდის ე.წ. ჯგუფური კონტრშეტევის მონაწილე ფეხბურთელებიც იღლებიან, მაგრამ ორი-სამი ფეხბურთელის შეცვლა უფრო ადვილია, ვიდრე მთელი გუნდის. სხვა მხრივ, როდესაც მეტოქის მასირებულ შეტევებს ვერაფერ ღირებულს უპირისპირებ, ფსიქოლოგიურადაც თრგუნავს ფეხბურთელებს, რაც ხორვატიაში თამაშის დროსაც გამოჩნდა.

კონტრშეტევის დროს გუნდის მოქმედება შეკუმშული ზამბარის გაშლის მოქმედებას უნდა ჰგავდეს. მეტოქის შეტევის ჩაშლის და ბურთის მოპოვების ჩაგდებისას ჯერ იშლება ზამბარის წინა ნაწილი, ანუ მოულოდნელობის ეფექტი უნდა შექმნან თავდამსხმელებმა მეტოქის მოედანზე სწრაფი გადასვლით, შემდეგ მეორე ეშელონად ერთვება ნახევარდაცვა. დაცვა ყოველთვის ბოლო ზღუდედ რჩება. მე არ ვემხრობი დამცველების სისტემატურად ჩართვას შეტევაში, რადგან სჯობს მეტოქის ასევე მოულოდნელ კონტრშეტევას ის თავის პოზიციაზე დახვდეს. ფეხბურთელმა ფიზიკურად ჭარბი ენერგიის გამო, სპონტანურად კი არ უნდა ირბინოს, არამედ ჭკვიანურად, საჭირო დროს და საჭირო მომენტში გადაადგილდეს. ამით ენერგიასაც რაციონალურად გაანაწილებს და თამაშის ბოლომდეც შეინარჩუნებს ფიზიკურ აქტივობას.

ცალკე საუბრის თემაა პასის კულტურა. თანამედროვე ფეხბურთში ძირითადად პასი კეთდება მოძრაობაში. აღნიშნული პასების სპეციალური კოეფიციენტების სისტემაცაა თამაშის დინამიკის და ეფექტურობის განსაზღვრისათვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენთან საპირისპირო სურათია. ბურთის უაზროდ თრევას, ხშირ შემთხვევაში, მის საბოლოო დაკარგვამდე მივყავართ. ჩვენი გუნდების მონაწილეობით ჩატარებულ მატჩებში ცოტას თუ დაინახავთ პასს ერთი შეხებით, ხოლო ისეთი კომპონენტი, როგორიცაა ე.წ. „კედელი", მგონი, საერთოდ, დავიწყებული აქვთ.



აეკ-დინამო



ზესტაფონი-ბრუგე

**თენგიზ გაბიძაშვილი,**
ფეხბურთის ქომაგი

გაგრძელება ხვალინდელ ლელოში

რასიზმი

# ტერის გაასამართლებენ

ინგლისის ნაკრებისა და „ჩელსის“ კაპიტანმა, 31 წლის **ჯონ ტერიმ** შეიტყო, რომ „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ 24 მცველის, **ანტონ ფერდინანდის** რასისტული შეურაცხყოფის გამო ბრალდებას წაუყენებენ, ანუ სასამართლოში მოუწევს სიარული. ამასთან დაკავშირებით ტერიმ განაცხადა, რომ თავის სიმართლეს კბილებითა და ფრჩხილებით დაიცავს. თავის მხრივ არც ფერდინანდმა დაიხია უკან — თუ საქმე მოითხოვს, ტერის წინააღმდეგ ჩვენებას მივცემო. პროცესი 1 თებერვალს დაიწყება.

მიმომხილველები წერენ, რომ ამ სასამართლომ ინგლისის ნაკრების სამზადისი ევროპის 2012 წლის ჩემპიონატისთვის, შესაძლოა, ყირაზე დააყენოს. ლოგიკა მარტივია: თუ დამტკიცდება, რომ ტერიმ ფერდინანდს რასობრივი შეურაცხყოფა მართლა მიაყენა, არ არის გამორიცხული ნაკრების ფერადკანიანმა ფეხბურთელებმა მასთან ერთ გუნდში ყოფნა არ ისურვონ. ერთი სიტყვით, ახლოვდება დიდი საერთაშორისო ტურნირი და ინგლისელთა ბანაკში ისევ მძაფრი სკანდალი მწიფდება. შეგახსენებთ, რომ სკანდალური იყო 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინა პერიოდიც. სხვათა შორის, მაშინაც ტერი მოექცა მოვლენათა ცენტრში, როდესაც გაირკვა, რომ მეგობრისა და თანაგუნდელის, **უეინ ბრიჯის** ცოლთან, ფრანგ მოდელ **ვანესა პერონსელთან** ჰქონდა რომანი. ბრიჯი ნაკრებს გამოეთხოვა, გუნდმა კი ფსიქოლოგიურად მძიმე პერიოდი გადაიტანა, რაც სამხრეთ აფრიკაში მის თამაშსა და შედეგებს დაეტყო.

ახალი სკანდალი ოქტომბერში, „ქუინზ პარკისა“ და „ჩელსის“ შეხვედრაში აგორდა. ამბობენ, რომ ტერიმ ფერდინანდის ლანძღვისას სიტყვა „შავო“ გამოიყენა. იმასაც წერენ, რომ მაქსიმუმი, რაც სასამართლომ ტერის შეიძლება მიუსაჯოს, 2 500 ფუნტის გადახდაა, მაგრამ ამისათვის, ჯერ უნდა დამტკიცდეს, რომ ის დამნაშავეა.

როდესაც შეიტყო, რომ ბრალდებას მაინც წაუყენებენ, „ჩელსის“ კაპიტანი ჟურნალისტებს შეხვდა და უთხრა: *„გულდაწყვეტილი ვარ, ბრალდების მოსმენა რომ მომიწევს. ამასთან, იმედს გამოვთქვამ, რომ ჩემი სახელის დაცვის საშუალება სრულყოფილად მომეცემა“.*

ანტონ ფერდინანდის სახელით კი მისმა წარმომადგენელმა ილაპარაკა. მან თქვა: *„თუ საჭირო იქნება, ანტონი სასამართლოში მივა და ტერის წინააღმდეგ ჩვენებას მისცემს“.*

„ჩელსი“, რასაკვირველია, თავის კაპიტანს გვერდში უდგას. „ლურჯების“ თავკაცმა, **ანდრე ვილაშ-ბოაშმა** თქვა: *„ჩემთვის სულ ერთია ვინ რას დაასკვნის. მე ბოლომდე ჯონს ვედგები მხარში. აქ, „ჩელსიში“ ყველამ კარგად ვიცით მისი პიროვნული თვისებები და ღირებულებები“.*

საინტერესოა, რომ ტერის ბრალდების შესახებ შეტყობინება ლივერპულელი **ლუის სუარესის** რვათამაშიანი დისკვალიფიკაციით დასჯის მეორე დღეს მიუვიდა.





# სუარესის მხარდასაჭერად

ოთხშაბათს, უიგანში, „ლივერპულმა“ 0:0 ითამაშა, მაგრამ, ამჯერად თქვენი ყურადღების შეჩერება სხვა რამეზე გვსურს: მერსისაიდელთა გუნდი მოთელვაზე თანაგუნდელის, **ლუის სუარესის** გამოსახულებიანი მაისურით გავიდა. საკუთარი გამოსახულებით დამშვენებული მაისურა ეცვა თავად 24 წლის ურუგვაელსაც. ასე გამოხატეს „წითლებმა“ ერთსულოვნება ფეხბურთის ასოციაციის ვერდიქტის წინააღმდეგ — მოგეხსენებათ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფრანგი მცველის, 30 წლის **პატრის ევრას** რასობრივი შეურაცხყოფისთვის სუარესს რვათამაშიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, თუმცა ის მხოლოდ მას მერე ამოქმედდება, რაც გაირკვევა, ასაჩივრებს თუ არა თავდამსხმელი ვერდიქტს და რას მოიტანს გასაჩივრება.

ურუგვაელის ვექილი და აგენტი **ალეხანდრო ბალბი** ამბობს, რომ მისი კლიენტი ასოციაციის გადაწყვეტილებას აუცილებლად გაასაჩივრებს.

*„სუარესს რასისტობას ტყუილად სწამებენ. ის გააპროტესტებს და ბოლომდე შეეცდება დაამტკიცოს თავისი სიმართლე“.*

ბალბიმ დასძინა, რომ სუარესმა ვერდიქტი ძალიან განიცადა, თუმცა დასძინა: *„ის მხნედ და მშვიდად არის, რადგან მხარში უდგანან გულშემატკივრები, თანაგუნდელები, მწვრთნელი, კლუბის ყველა თანამშრომელი, „ლივერპულის“ კაპიტანი“.*

სუარესის გამოსახულებით მოხატული მაისურა ეცვა „წითლების“ მწვრთნელ **კენი დალგლიშსაც**: *„თუკი ამქვეყნად კიდევ იყო ვინმე, ვისაც ეგონა, რომ ლუისს მხარს არავინ უჭერს, შეხედოს ჩვენს მაისურებს და ყველაფერს მიხვდება. ჩვენ მას თავიდან ბოლომდე ვუჭერთ მხარს და გვინდა ყველამ გაიგოს, რომ ის რასისტი არ არის“.*

უიგანში თამაშამდე ცოტა ხნით ადრე „ლივერპულის“ ოფისიდან გავრცელდა ლეგენდარული კლუბის ფეხბურთელთა ერთობლივი განცხადება, სადაც წერია: *„ლუისი ჩვენი მეგობარია და როგორც ფეხბურთელთა შეკრული ჯგუფი, აღშფოთებული ვართ ფეხბურთის ასოციაციის განაჩენით. ვდგავართ რა ლუისის გვედით, მთელ მსოფლიოს ვუცხადებთ, რომ ის რასისტი არ არის.*

*„ლივერპულში“ ბევრი ეროვნებისა და სხვადასხვა რასის ფეხბურთელები თამაშობენ. თითოეული ჩვენგანი მხარს უჭერს რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, რომელსაც უპირველეს ყოვლისა ჩვენი კლუბი აწარმოებს. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ფეხბურთში დისკრიმინაციას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ჩვენ უკვე ერთი წელიწადია, რაც ლუისთან ერთად ვცხოვრობთ, ვთამაშობთ, ვვარჯიშობთ და ვერ შევიცანით ის ადამიანი, რომლის პორტრეტიც ამ ბოლო დროს დაგვიხატეს. ჩვენ ბოლომდე მხარში ვედგებით მას, როგორც შესანიშნავ ფეხბურთელს, კარგ ადამიანსა და მეგობარს“.*

„უიგანისა“ და „ლივერპულის“ შეხვედრაში სუარესმა ერთხელ ჯარიმა დაარტყა სახიფათოდ, მაგრამ ბურთი „უიგანის“ მეკარემ, 29 წლის ომანელმა **ალი ალ ჰაბსიმ** შესანიშნავად მოიგერია. სუარესმა მოინადირა თერთმეტმეტრიანი დარტყმაც — **გარი კოლდუელმა** ურუგვაელის მაკრატელა დარტყმას ხელით გადაუღობა გზა. თერთმეტმეტრიანი **ჩარლი ადამმა** შეასრულა, მაგრამ ალ ჰაბსიმ ეს დარტყმაც მოიგერია

შესვენებისას ალ ჰაბსი ლივერპულელს მაისურსაც სთხოვდა: *„ჩემი ერთი ძმაკაცი სუარესის დიდი ფანია და მე მისთვის მაისურა ვთხოვე. მან მიპასუხა გოლი გამატანინე და მოგცემო“* — იცინოდა მატჩის შემდგომ ალ ჰაბსი.

იმედია, ამ სიტყვების გამო ურუგვაელს არ დასჯიან.

მანჩესტერ სიტი

# საშობაო საჩუქარი ისტლენდზე

„მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელმა, **რობერტო მანჩინიმ** ისტლენდზე თავისი ყოფნის მეორე წლისთავი შესანიშნავად აღნიშნა — ფანებს საშობაოდ „სტოკ სიტისთან“ 3:0 გამარჯვება და ლიდერის პოზიცია უძღვნა. აგერ უკვე 82 წელია, „სიტი“ 25 დეკემბერს ინგლისის ჩემპიონატის ცხრილის სათავეში არ ყოფილა. იტალიელი, რასაკვირველია, ამ პოზიციაზე დარჩენასაც აპირებს. მან თქვა:

*„დარწმუნებული ვარ, ჩვენს გულშემატკივარს შესანიშნავი შობა დაუდგება, მე კი ახლა, ლიდერად დარჩენაზე ვფიქრობ. ბოლო წლებში ჩამოყალიბდა, რომ გუნდები „მანჩესტერ იუნაიტედს“ შიშით ეთამაშებიან ხოლმე. განსაკუთრებით, „ოლდ ტრეფორდზე“. ვფიქრობ, ახლა ასეთივე დამოკიდებულება ყალიბდება ჩვენ მიმართ. ეს ძალიან მომწონს. კმაყოფილი ვარ იმ პროგრესით, რომელიც „მანჩესტერ სიტიმ“ ბოლო ორ წელიწადში განიცადა“.*

შეგახსენებთ, რომ ამ ტურამდე „სტოკ სიტის“ ზედიზედ ოთხი თამაში ჰქონდა მოგებული, მაგრამ „ეტიჰედ სთედიუმზე“ ვერაფერს გახდა. სტოკელთა თავკაცმა, **ტონი პულისმა** თქვა:

*„გადახედეთ „მანჩესტერ სიტის“ სათადარიგოთა სკამს და მიხვდებით, რა ძნელია აქ თამაში. ეს გუნდი ნებისმიერ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის რომ იბრძოლებს, რად უნდა ლაპარაკი“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



არსენალი

# მახინჯი გამარჯვებაც შეგვიძლია

„არსენალის“ თავკაცმა, **არსენ ვენგერმა** ბირმინგემის „ვილა პარკზე“ უყურა, როგორ გაიტანა მისმა გუნდმა გვიანი გამარჯვების გოლი და უშნო ფეხბურთით გაიმარჯვა. „ასტონ ვილას“ კარში, 87-ე წუთზე, 31 წლის ებრაელმა ვარსკვლავმა, **იოსი ბენაიუნმა** შეაგდო.

*„დღეს, ყველაფერი ძალიან პროზაულად მოხდა, ორი გოლი გავიტანეთ და ორივე სტანდარტული მდგომარეობიდან — თქვა „მეთოფეთა“ თავკაცმა — შეიძლება ითქვას, ამ თვალსაზრისით ჩვენთვის ისტორიული დღეც კი იყო. მთლიანად თამაში მეტისმეტად დაძაბული გახლდათ. ფეხბურთელებს ამოსუნთქვის საშუალება არ ჰქონდათ, მაგრამ საბედნიეროდ, ჩვენ მებრძოლი სულის გუნდი გვყავს. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ სეზონის ცუდი სტარტის შემდეგ გონს მოვეგეთ და დღეს სულ სხვა ფეხბურთს ვთამაშობთ“.*

საინტერესოა, რომ კვლავ დაფიქსირდა კანონზომიერება — გაიტანა **რობინ ვან პერსიმ** და გუნდმაც მოიგო. ჰოლანდიელმა ვარსკვლავმა შეხვედრის დასაწყისში პენალტით გახსნა ანგარიში. „ვილას“ ფეხბურთელთაგან ანგარიში **მარკ ოლბრაიტონმა** გაათანაბრა. ეს გახლდათ ბირმინგემული კლუბის მე-2000 გოლი პრემიერლიგაში. ვენგერმა დასძინა:

*„მასპინძლებმა ძალიან კარგად ითამაშეს, ისინი სახიფათოდ უტევდნენ და შეიძლება ითქვას, ჩვენ ცოტა გაგვიმართლა კიდეც. ბოლო დღეებში ორი თამაში სტუმრად გავმართეთ, ძლიერ მოწინააღმდეგეებთან, რამაც, რასაკვირველია, დიდი ძალღონე მოითხოვა. კვირას „მანჩესტერ სიტისთან“ დავმარცხდით. ვფიქრობ, ამ დამარცხებაში თავისი როლი უილბლობამაც ითამაშა. ასეა, ერთ შეხვედრაში მეტოქეს გაუღიმა ბედმა, მეორეში ჩვენ“.*



რობინ ვან პერსის, ახლა, **ალან შირერის** პრემიერლიგურ რეკორდამდე ორი გოლიღა აკლია — კალენდარულ წელიწადში (და არა საფეხბურთო სეზონში, რომელიც აგვისტოში იწყება და მაისში მთავრდება) შირერმა, თავის დროზე, 36 გოლი შეაგდო. ვან პერსის დღეისათვის 34 აქვს გატანილი და 1 იანვრამდე ორი საშინაო თამაში დარჩა, „ვულვერჰემპტონთან“ და „ქუინზ პარკ რეინჯერსთან“.

ვენგერმა თავისი ფორვარდის შესახებ ასე თქვა: *„როდესაც ვუყურებ, როგორი დატვირთვით თამაშობს რობინი ყოველ შეხვედრაში, საკუთარ თავს ვუსვამ კითხვას: ხომ არ დავასვენო მომდევნო ტურში? დღესაც იგივე განმეორდა, მაგრამ მან თავად მითხრა, რომ დასვენება არ სჭირდებოდა და მეც გავრისკე. დღეს მას რეკორდამდე ორი გოლიღა დარჩა, ჰოდა... სწორედ ახლა დავასვენებ“.*

სავარაუდოდ, ვან პერსი შეფს ხუმრობას დაუფასებდა.

ტრავმა

# ჯონსი ექვსი კვირით

„მანჩესტერ იუნაიტედს“ კიდევ ერთი ფეხბურთელი გამოაკლდება — 19 წლის **ფილ ჯონსი** შესაძლოა ექვსი კვირით დაემშვიდობოს მოედანს. ახალგაზრდა ვარსკვლავმა ტრავმა „ფულჰემთან“ თამაშის დროს მიიღო. მას 28 წლის ამერიკელი შემტევი ნახევარმცველის, **კლინტ დემპსის** იდაყვი მოხვდა. ექიმებს იმთავითვე შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ ჯონსს ყვრიმალის ძვალი გაუტყდა. მატჩის შემდეგ, 5:0 გამარჯვების მიუხედავად, ინგლისის ჩემპიონთა მწვრთნელი, სერ **ალექს ფერგიუსონი** უკმაყოფილო იყო. მან თქვა:

*„ჯონსს დემპსიმ იდაყვი მიარტყა, თუმცა, ვფიქრობ ეს ძალად არ გაუკეთებია. ფილი რენტგენზე გავაგზავნეთ. ეტყობოდა, რომ მისი საქმე კარგად არ იყო“.*



„ფულჰემისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეხვედრაში ლაზათიანად მოხვდა 26 წლის **ეშლი იანგსაც**. ის **დიქსონ ეტუჰუსთან** ორთაბრძოლის დროს დაშავდა, თუმცა იანგის ტრავმა ჯონსის ტრავმასთან შედარებით მსუბუქი ჩანს.

ფერგიმ განაგრძო: *„მეორე ტაიმში „ფულჰემმა“ ძალიან აგრესიული ფეხბურთი ითამაშა. იანგიც სწორედ ამ აგრესიის მსხვერპლი გახდა. ვფიქრობ, ის ორ ან სამ კვირას გამოტოვებს“.*

დასავლეთლონდონელებთან არც **რიო ფერდინანდს** უთამაშია. ისევ ფერგიუსონი: *„ჯონსის ტრავმამ ცვლილებები გვაიძულა, მაგრამ რიო არ იყო და იმპროვიზირება მოგვიხდა. ფერდინანდმა ფეხი კვირას, „ქუინზ პარკ რეინჯერსთან“ თამაშის დროს იტკინა. ექიმები მაიმედებენ, რომ ის 31 დეკემბერს, „ბლექბერნის“ წინააღმდეგ ითამაშებს“.*

წუხელ...

**ტოტენჰემი-ჩელსი 1:1**

**ტოტენჰემი (4-4-2):** ფრიდელი – უოქერი, ლ. კინგი, გალასი, ასუ-ეკოტო – ვან დერ ვაარტი (46. პავლიუჩენკო), პარკერი, სანდრო, ბეილი – მოდრიჩი, ადებაიორი

**ჩელსი (4-3-3):** ჩეხი – ბოსინგვა, ტერი, ივანოვიჩი (33. ფერეირა), ე. კოული – რამირესი, მიკელი (45. რომეუ), მეირელეში – სტარიჯი, მატა, დროგბა (77. ტორესი)

**გოლები:** 1:0 ადებაიორი (8), 1:1 სტარიჯი (23)

**გაფრთხილება:** ადებაიორი, ბეილი – ივანოვიჩი, რამირესი

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 12-18; **კარში დარტყმა:** 9-17 (4-8); **თამაშგარე:** 3-4; **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 36 141

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 17 | 14 | 2 | 1 | 53-15 | 44 |
| 2. იუნაიტედი | 17 | 13 | 3 | 1 | 42-14 | 42 |
| 3. ტოტენჰემი | 16 | 11 | 2 | 3 | 32-19 | 35 |
| 4. ჩელსი | 17 | 10 | 3 | 4 | 35-20 | 33 |
| 5. არსენალი | 17 | 10 | 2 | 5 | 33-25 | 32 |
| 6. ლივერპული | 17 | 8 | 6 | 3 | 20-13 | 30 |
| 7. ნიუკასლი | 17 | 7 | 6 | 4 | 23-22 | 27 |
| 8. სტოკი | 17 | 7 | 3 | 7 | 18-28 | 24 |
| 9. ნორვიჩი | 17 | 5 | 6 | 6 | 27-31 | 21 |
| 10. ვესტ ბრომვიჩი | 17 | 6 | 3 | 8 | 19-26 | 21 |
| 11. ევერტონი | 16 | 6 | 2 | 8 | 17-19 | 20 |
| 12. ასტონ ვილა | 17 | 4 | 7 | 6 | 19-23 | 19 |
| 13. ფულჰემი | 17 | 4 | 6 | 7 | 18-23 | 18 |
| 14. სუონსი | 17 | 4 | 6 | 7 | 16-21 | 18 |
| 15. სანდერლენდი | 17 | 4 | 5 | 8 | 21-21 | 17 |
| 16. ქუინზ პარკი | 17 | 4 | 4 | 9 | 17-31 | 16 |
| 17. ვულვზი | 17 | 4 | 3 | 10 | 19-32 | 15 |
| 18. უიგანი | 17 | 3 | 5 | 9 | 15-30 | 14 |
| 19. ბოლტონი | 17 | 4 | 0 | 13 | 22-39 | 12 |
| 20. ბლექბერნი | 17 | 2 | 4 | 11 | 24-38 | 10 |

**ბომბარდირები:** 16 — ვან პერსი (არსენალი); 13 - აგუერო (სიტი), ბა (ნიუკასლი), რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი); 10 - ჯეკო (სიტი), იაკუბუ (ბლექბერნი); 9 — ადებაიორი (ტოტენჰემი) , სტარიჯი (ჩელსი); 8 — ბალოტელი (სიტი).

**XVIII ტური**

**26 დეკემბერი. ჩელსი-ფულჰემი, ბოლტონი-ნიუკასლი, ლივერპული-ბლექბერნი, მანჩესტერ იუნაიტედი-უიგანი, სანდერლენდი-ევერტონი, ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერ სიტი, სტოკი-ასტონ ვილა.**

**27 დეკემბერი. არსენალი-ვულვერჰემპტონი, სუონსი-ქუინზ პარკი, ნორვიჩი-ტოტენჰემი.**

კოპა დელ რეი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები

# მოწამლული თასი: ატლეტიკო, მანსანო ვილიარეალი, გარიდო სარაგოსა, აგირე? OUT!

**ესპანეთის** თასის 1/16 ბატალიებს ასეთი აჟიოტაჟი გამოეწვიოს, არ გვახსოვს. ოთხშაბათს საღამოს გაფორმდა პრიმერელთა და მათი მწვრთნელების სრული კატასტროფა - ლაპარაკია, „ატლეტიკოზე“, „ვილიარეალსა“ და „სარაგოსაზე“. სენსაციები მხოლოდ ამით არ ამოწურულა - იყო მძიმე ტრავმები, ენით აუწერელი მსაჯობა, 4 და 7-გოლიანი თრილერები და მრავალი სხვა. ამიტომ გირჩევთ მიმოხილვა მთლიანად წაიკითხოთ...

**ატლეტიკო–ალბასეტე 0:1 (1:2)**

**ატლეტიკო (4-3-3):** ასენხო - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში - გაბი (63. სალვიო), ასუნსაო, კოკე - ადრიან ლოპესი, ფალკაო, დიეგო (46. პიცი).

**გოლი:** 0:1 კურტო (20)

**გრეგორიო მანსანოს** მადრიდული კარიერა მესამე დივიზიონის (სეგუნდა ბ) „ალბასეტეს“ კართან დაიმსხვრა, რომელსაც ერთდროულად სამი ისეთი ფორვარდი უტევდა, რომელთა ჯამური სატრანსფერო ფასი (**რადამელ ფალკაო, ადრიან ლოპესი, დიეგო**) არა მარტო კლუბს, არამედ ქალაქ ალბასეტესაც იყიდის და გაყიდის. უტევდა, მაგრამ ლამანჩელებს ვერაფერი დააკლო. პირველ შეხვედრაში „ატლეტიკომ“ 1:2 დათმო და ვფიქრობთ, მაშინ გადაწყდა მანსანოს ბედ-იღბალიც, მაგრამ „ვისენტე კალდერონზე“ ასეთ კატასტროფას მაინც არავინ ელოდა, ლა ლიგის ერთ-ერთი ფავორიტი გუნდი კოპას 1/16 ფინალში დაემშვიდობა, წააგო ორივე მატჩი და თანაც ვისთან!

წყალი არ გაუვა, მანსანოსგან გამოთავისუფლებულ სკამს არგენტინელი **დიეგო „ჩოლო“ სიმეონე** შეავსებს, რომელთანაც „ატლეტიკოს“ შეფობა ბოლო კვირებში საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდა.

„ატლეტიკო“ მოედანზე მესამე დივიზიონის გუნდის დასასჯელად გამოვიდა, მაგრამ საშინლად არ გაუმართლა - მე-20 წამზე „ალბასეტეს“ 29 წლის ფორვარდმა **ვიქტორ კურტომ სერხიო ასენხოს** კარი დალაშქრა. რა მოემოქმედებინა ასეთ სიტუაციაში, მანსანოს გუნდმა უბრალოდ არ იცოდა. ხანდახან, ასეთ შემთხვევაში მწვრთნელებს ახასიათებთ ჰარაკირის ჩატარება - ისინი იღებენ გადაწყვეტილებებს, რომელთა აზრიც არავის ესმის და ლუპავს გუნდს. მანსანომ შესვენებაზე დიეგო შეცვალა და მისი გუნდიც ნაწილებად დაიშალა. თამაშის შემდეგ მანსანომ აღიარა: *„განადგურებული ვარ, ჩვენ ჯურღმულში დავეშვით“.*

**ვილიარეალი–მირანდესი 0:2 (1:1)**

**ვილიარეალი (4-4-2):** სესარი - ა. ლოპესი (62. დე გუზმანი), საპატა, მუსაჩიო, ორიოლი - ბ. ვალერო, სენა (61. კამუნიასი), ბრუნო, კანი - მ. რუბენი, ნილმარი (69. ხოსელუ).

**გოლები:** 0:1 ინფანტე (60), 0:2 ინფანტე (87)

**გაძევება:** მუსაჩიო (90)

განა, ნაკლები კატასტროფა მოუვიდა „ვილიარეალსა“ და მის მწვრთნელ **ხუან კარლოს გარიდოს**? „მირანდესიც“ მე-3 დივიზიონის გუნდია, მაგრამ „ვილიარეალი“ სტუმრად 2:0 დაამარცხა! ამ თამაშში ვალენსიელთა დაცვამ გვანახა, თუ როგორ შეიძლება ყოველ ახალ სიტუაციაში წინაზე უარესად თამაში. არგენტინელი **მატეო მუსაჩიო** სულაც გააძევეს. მე-2 ტაიმში შეცვლაზე შესულმა **პაბლო ინფანტემ** დუბლი შეასრულა მასპინძელთა კარში და „მირანდესი“ მერვედფინალში გაიყვანა.

შემდეგ ყველაფერი სახელდახელოდ მოხდა - გუნდის ხელმძღვანელობამ ხუან კარლოს გარიდო, რომელსაც კონტრაქტი 2014 წლამდე ჰქონდა, თანამდებობიდან მოხსნა. გარიდოს ოფიციალური მადლობა გადაუხადეს გაწეული შრომისთვის, უსურვეს წარმატება საქმიანობაში და კარზე მიუთითეს. ვინ იქნება მისი შემცვლელი, არ დაუსახელებიათ, თუმცა, ამბობენ, **ხუანდე რამოსი** ფავორიტია კანდიდატებს შორისო.

**ოსასუნა–ალმერია 1:1 (3:1)**

**ოსასუნა (4-2-3-1):** რიესგო - დამია, ლოლო, სერხიო, რაიტალა - პუნიალი (83. სატრუსტეგი), ტიმორი - სეხუდო, ანუნსიატა (52. რ. ტორესი), კალეხა (64. ლამა) - ლეკიჩი.

**გოლები:** 1:0 ლამა (79), 1:1 გოიტომი (85)

ამ დაპირისპირების ბედი პირველ შეხვედრაში გადაწყდა, „ალმერიას“ არ შეეძლო შინ წაგებული 1:3-ის იმ სტადიონზე შემოტრიალება, სადაც გამარჯვება „ბარსელონას“ და „რეალსაც“ კი უჭირს. თამაში შეცვლაზე შესულმა ბელგიელმა **როლან ლამამ** გამოაცოცხლა, როცა ანგარიში გახსნა, „ალმერიამ“ შვედი **ჰენოკ გოიტომის** თავურით უპასუხა. „რეინო დე ნავარა“ გულთბილად შეხვდა „ალმერიას“ ნახევარმცველ **ფერნანდო სორიანოს**, რომელიც შარშან „ოსასუნაში“ თამაშობდა.

**სარაგოსა–ალკორკონი 0:2 (1:1)**

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - სუკულინი, ლანსარო, პარედესი, აბრაჰამი - ა. ტომასი (70. კევინი), პონსიო - ე. ორიოლი, ლუის გარსია, ლაფიტა (46. ხუან კარლოსი) - პოშტიგა (46. ორტი).

**გოლები:** 0:1 რიერა (86), 0:2 ქუინი (89)

„ალკორკონმა“ **მანუელ პელეგრინის** დროინდელი „რეალი“ შეიწირა თასზე (თანაც როგორ!), თუმცა სეგუნდა დივიზიონის სუსტი გუნდისგან სტუმრად 2:0 მოგებას მაინც არ ელოდა ბევრი. პირველი მატჩი 1:1 დასრულდა, მეორე იწურებოდა და 0:0 იყო. ასეთ შემთხვევაში პრიმერა დივიზიონის „სარაგოსა“ გადიოდა, მაგრამ **ორიოლ რიერამ** და **ქუინიმ** ორი უპასუხო გოლი გაიტანეს ბოლო ხუთ წუთში არაგონელთა კარში. „სარაგოსა“ გავარდა, რა ბედი ელის **ხავიერ აგირეს**? ჯერჯერობით არაფერი ისმის, თუმცა არ გაგიკვირდეთ, რომ მან მანსანოს და გარიდოს ბედი გაიზიაროს.

**ბეტისი–კორდობა 2:1 (0:1)**

**ბეტისი (4-4-2):** ფაბრისიო (29. გოიტია) - ნელსონი (75. სანტა კრუსი), ამაია (21. ირინეი), დორადო, ა. მარტინესი - პოსუელო, კანიასი, ბენატი, მონტერო - რ. კასტრო, მოლინა.

**გოლები:** 0:1 ბორხა (17), 1:1 მოლინა (33), 2:1 მოლინა (54)

**გაძევება:** სერა (88. კორდობა)

პრიმერას კიდევ ერთი გუნდი გავარდა, თუმცა აქ ერთი მომენტიცაა - „ბეტისის“ მწვრთნელმა **პეპე მელმა** განაცხადა, რომ მთელი ყურადღება ჩემპიონატზე აქვს გადატანილი, თუმცა რანგით დაბალ გუნდთან მარცხი (თუნდაც ორი მატჩის ჯამში სტუმრად გატანილი გოლის გამო) მაინც ცუდია. მე-17 წუთზე **პეპე დიასის** პასით **ბორხამ** გაიტანა. ამის შემდეგ **ხორხე მოლინამ** დუბლი შეასრულა, მაგრამ ბრძოლას „კორდობა“ აგრძელებს.

**ლევანტე–დეპორტივო 3:1 (1:3, 1:0 დდ)**

**ლევანტე (4-2-3-1):** კ. ნავასი - პ. ლოპესი, ბალესტეროსი, კაბრალი, ვენტა (77. იგონი) - პალიარდო (55. ხუანლუ), იბორა - ელ ჟარი, ბარკერო, რ. სუარესი - კონე.

დეპორტივო (4-2-3-1): ლუქსი - სეოანე, აიტამი, როჩელა, მ. პაბლო (12. აიოსე) - ბორხა, ხ. ვასკესი - საული, პ. ალვარესი, სალომაო (82. ხუან კარლოსი) - ბოდიპო (62. ლასადი).

**გოლები:** 1:0 ელ ჟარი (13), 1:1 ალვარესი (23-პენ), 2:1 ბალესტეროსი (37), 3:1 სუარესი (79), 4:1 კონე (100)

**გაძევება:** საული (35), ბორხა (58)



„ატლეტიკოს“ ფეხბურთელები გონს ვერ მოდიან

როგორც შეამჩნევდით, ჩვენ მხოლოდ ერთადერთი გამონაკლისი დავუშვით და არაელიტელთაგან „დეპორტივოს“ შემადგენლობაც შემოგთავაზეთ. გარდა იმისა, რომ ლა კორინიული გუნდი საქვეყნოდ ცნობილია, მას კარგი შანსი ჰქონდა შემდეგ ეტაპზე გასვლის, პირველი მატჩი 3:1 მოიგო „რიასორზე“. მაგრამ „ლევანტემ“ კიდევ ერთხელ სასიამოვნოდ გაგვაოცა. თუკი ვალენსიელებმა დიდებულად შემოატრიალეს დაპირისპირების ბედის ჩარხი, რეფერი **პარადას რომერომ** თავი შეირცხვინა - თამაშის სადავეები ხელიდან გაუშვა, სტუმარი **საული** კი ტყუილუბრალოდ გააძევა.

მაროკოელმა **ჰაბილ ელ ჟარმა** მალევე გახსნა ანგარიში, მაგრამ იმ დღეს ბრწყინვალედ მოთამაშე **პაბლო ალვარესმა** 10 წუთში გაათანაბრა. რომ არა საულის გაგდება, უკვე პირველ ტაიმში, დაპირისპირება სულ სხვანაირი იქნებოდა, ახლა კი „ლევანტეს“ შანსი მიეცა და მათმა ლიდერმა და კაპიტანმა **სერხიო ბალესტეროსმაც** თანაგუნდელებს მაგალითი მისცა, ვეტერანმა მცველმა დააწინაურა „ლევანტე“. მეორე ტაიმში **რუბენ სუარესმაც** გაიტანა, ხოლო „დეპორმა“ (ისევ ალვარესი) ბოლო წუთზე პენალტი გააცუდა! დამატებით დროში **არუნა კონემ** „ლევანტეს“ მერვედფინალის საგზური მოუტანა.

და მაინც, „ლევანტეს“ ძალზე ძვირი დაუჯდა გამარჯვება - მათი ნახევარდაცვის ლიდერმა **ხუანლუ გომესმა** გალისიელ **ბორხასთან** ორთაბრძოლაში ფეხი მოიტეხა და პარასკევს ოპერაცია ელის.

**რაიო ვალეკანო–რასინგი 4:3 (2:3)**

**რაიო ვალეკანო (4-4-2):** დანი - არიბასი, ხორდი, კასადო - დელიბაშიჩი (60. რაიკო), ტრაშორასი, მიჩელი (56. ბენიტო), პიტი - ტამუდო, მიჩუ.

რასინგი (4-4-1-1): მ. ფერნანდესი - ბარიო, ტორეხონი, ოსმარი, კრისტიანი - კენედი (46. სტუანი), დიოპი, ციოლისი (69. ნაუელპანი), სერანო - ბედია - აკოსტა (85. პიკონი).

**გოლები:** 0:1 ციოლისი (7), 1:1 ტორეხონი (33 ს.კ.), 2:1 მიჩუ (36), 3:1 დელიბაშიჩი (40), 3:2 სტუანი (52), 4:2 ტამუდო (61), 4:3 სტუანი (73-პენ).

პრიმერას გუნდებმა „ტერესა რივეროზე“ ნაღდი თრილერი შემოგვთავაზეს და დასანანია, რომ ყველაფერი სულელურმა პენალტმა გადაწყვიტა. ურუგვაელი **კრისტიან სტუანის** დარტყმის შემდეგ „რასინგმა“ „რაიო ვალეკანოსთან“ 3:4 წააგო, მაგრამ შემდეგ ეტაპზე მაინც გავიდა, სტუმრად მეტი გატანილი გოლის წყალობით.

**მალაგა–ხეტაფე 2:2 (1:0)**

**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო - ს. სანჩესი, დემიკელისი, ველიგტონი, ელიზეუ - ტულალანი, აპონიო (80. ბუონანოტე) - ხოაკინი, სება ფერნანდესი, ისკო (54. კასორლა). - ვან ნისტელროი (74. რონდონი).

**ხეტაფე (4-4-2):** კოდინა - ვალერა, კატა დიასი, ლოპო, მანე - რიოსი, მიჩელი, ლასენი, ბარადა - კოლუნგა (79. რ. პერესი), მიკუ (61. გუისა).

**გოლები:** 1:0 ვან ნისტელროი (45), 1:1 კაბალიერო (51 ს.კ.), 1:2 მანე (79), 2:2 ბუონანოტე (86)

**გაძევება:** ველიგტონი (76)

ოთხი გოლი, გაძევება, არეული რეფერი **კლოს გომესი** და სულ ბოლოს გადარჩენილი „მალაგა“ - ასეთი იყო დაპირისპირება „ლა როსალედაზე“. არადა, პირველი მატჩის შემდეგ ბევრს ყველაფერი გადაწყვეტილი ეგონა, მაგრამ „ხეტაფე“ ბედს არ შეეგუა. სტუმრებზე არც **ვან ნისტელროის** გოლმა იმოქმედა, ორი გაიტანა (ერთი შესანიშნავი ავტოგოლი მასპინძელთა მეკარის შესრულებით) და რომ არა **დიეგო ბუონანოტე**, მერვედფინალის საგზური მადრიდელებს დარჩებოდათ. ეს კი **მანუელ პელეგრინის** სკამს საგრძნობლად შეურყევდა.

**გრანადა–სოსიედადი 2:1 (1:4)**

**გრანადა (4-4-2):** რობერტო - ნიომი, ი. ლოპესი, დიახატე, სიკეირა - ხაიმე (55. აბელი), მ. რიკო (84. ხარა), ფ. რიკო, ბენიტესი - ხეიხო, იგჰალო.

**რეალ სოსიედადი (4-1-4-1):** ზუბიკარაი - ესტრადა, ანსოტეგი, ი. მარტინესი, კადამურო - დემიდოვი - ჩაბი პრიეტო, პარდო (81. ზურუტუზა), მარიგა, დე ლა ბელა (72. ხ. ლორენტე) - იფრანი (68. აგირეჩე).

**გოლები:** 1:0 სიკეირა (19), 2:0 ხეიხო (66), 2:1 აგირეჩე (83)

„ანოეტაზე“ გამანადგურებელი მარცხის მიუხედავად, „გრანადამ“ ბოლომდე იბრძოლა, სტუმრებმა კი დაცვითი ტაქტიკა აირჩიეს. თამაშის დასრულებამდე 25 წუთი კიდევ იყო, როცა „გრანადა“ 2:0-ს იგებდა და შანსი კიდევ იყო, თუმცა ბასკი **იმანოლ აგირეჩეს** გოლმა ანდალუსიელთა გარჯას ხაზი გადაუსვა.

**ბილბაო–ოვიედო 1:0 (1:0)**

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, ხ. მარტინესი, ამორებიეტა, აურთენეჩე - იტურასპე, ი. პერესი (47. სან ხოსე) - სუსაეტა (56. ი. გომესი), ანდერი (88. დ. ლოპესი), მუნიაინი - ტოკერო.

**გოლი:** 1:0 ანდერი (73)

„ბილბაო“ ყოველთვის სერიოზულად უდგება სათასო ბატალიებს. ახლაც კი, როცა მეტოქე „ოვიედო“ იყო და პირველი მატჩი ბასკებს მოგებული ჰქონდათ... მართალია, ერთადერთი გოლი **ანდერ ერერამ** გაიტანა, მასპინძელთა შემადგენლობიდან **იკერ მუნიაინს** გამოვარჩევთ, ეს 19 წლის ბიჭი უკვე გუნდის აშკარა ლიდერია.

ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მონტოია ბარსაში დარჩა

20 წლის **მარტინ მონტოია** ზაფხულში უკონტრაქტოდ რჩებოდა, მის ბედს უკვე უკავშირებდნენ იტალიურ „რომას“, მაგრამ ფეხბურთელს, რომელიც 9 წლიდან „ბარსაში“ იზრდება, მის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია და აი, ოთხშაბათს სარეზერვო გუნდის მცველმა კლუბთან კონტრაქტი 2014 წლამდე გაახანგრძლივა. ხელმოწერის ცერემონიალს კლუბის პრეზიდენტი **სანდრო როსელი** და სპორტული დირექტორი **ანდონი სუბისარეტა** დაესწრნენ. ახლა ვისაც მონტოიას ხელში ჩაგდება მოუნდება, „ბარსასთან“ ვაჭრობა 12 მილიონი ევროდან (ზევით) უნდა დაიწყოს. „ეს იყო ჩემი ოცნება, რომელიც ამიხდა. გვარდიოლას ჩემი სჯერა და ამიტომაც დარჩენა გადავწყვიტე. ცხრა წლის მოვედი კლუბში და ყველაფერი აქ ვისწავლე, არც კი ვიცი, რა ხდება „ბარსას“ გარეთ სამყაროში“, - განაცხადა მარტინმა.

## რა ბარსელონა?

სპორტულ მედიაში ბევრს ლაპარაკობენ, რომ „სანტოსის“ 19 წლის ფორვარდ **ნეიმარის** ყიდვის ექსკლუზიური უფლება „ბარსელონას“ აქვს, თუმცა ეს ინფორმაცია ბრაზილიურმა კლუბმა უარყო: „ხმები, თითქოსდა ნეიმარის ყიდვის ექსკლუზიური უფლება „ბარსელონას“ აქვს, სიცრუეა. ეს ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული და არარეალურია. უკვე გამოვაცხადეთ, რომ ნეიმარი 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატამდე „სანტოსში“ რჩება“, - იუწყება კლუბის ოფიციალური საიტი.

## რეალი მარიო ფერნანდესით ძლიერდება

**ჟოზე მოურინიოს** დაცვის მარჯვენა ფლანგი აქვს გასაძლიერებელი, **სერხიო რამოსის** ცენტრში გადაყვანის შემდეგ ამ პოზიციაზე „სამეფო კლუბი“ მოისუსტებს. ამიტომაც „რეალმა“ სატრანსფერო ბაზრისკენ გაიხედა და „გრემიოს“ **მარიო ფერნანდესი** ალმოაჩინა. 21 წლის ფერნანდესში მადრიდელები 15 მილიონ ევროს იხდიან. მეტიც, „მარკას“ ინფორმაციით, უკვე არსებობს წინასწარი შეთანხმება ფეხბურთელის აგენტთან. ისე, „რეალის“ კონკურენტებსაც ჩამოვთვლით: ცსკა, „ბაიერნი“ და „მილანი“ ასევე დაინტერესებულნი არიან ბრაზილიელით.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



# უცხოური ფეხბურთი

## ლიგა 1. XIX ტური. მიმოხილვა




# რეკორდი და სანახაობა

საფრანგეთის ჩემპიონატის შედეგების წინასწარ განსაზღვრა, დიდი უმადური საქმეა. საშობაო არდადეგებამდე დარჩენილმა ბოლო ტურმა ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა. ჩემპიონატის ლიდერთაგან ორმა გუნდმა წააგო, ერთმა ფრედ ითამაშა და ამ ყოველივეს შემდეგ ცხრილს სათავეში ისევ "პარი სენ-ჟერმენი" მოექცა, "მარსელმა" კი პირველადგილოსანთან ჩამორჩენა 9 ქულამდე შეამცირა.

გუშინდელ ნომერში უკვე ვწერდით "მარსელის" მიერ "ნანსის" დამარცხებაზე, ასე რომ, ამაზე აღარ შევჩერდებით. პროვანსელთა უმთავრესი მტერი "პარი სენ-ჟერმენი" "სენტ ეტიენს" ეწვია. "მწვანეები" საბრძოლო განწყობაზე იყვნენ. ხუმრობა ხომ არაა, უკვე 2 თვე იყო, რაც არ დამარცხებულიყვნენ. ისინი დედაქალაქელებს ლიად მუქარასაც კი უბედავდნენ. **კრისტოფ გალტიეს** გუნდმა გამოცდა ვერ ჩააბარა. მიმდინარე სეზონში კი უკეთესი გამომცდელი, ვიდრე პსჟ-ია, უბრალოდ, არ არსებობს. ფრანგმა ჟურნალისტებმა სამართლიანად აღნიშნეს, რომ **ანტუან კომბუარეს** გუნდის უმთავრესი პრობლემა ფსიქოლოგია იყო და ხშირად ის უფრო დიდ გავლენას ახდენდა გუნდის შედეგებზე, ვიდრე ტაქტიკა, ფიზიკური მომზადება თუ ფეხბურთელთა ურთიერთშეთანხმებული მოქმედებები. დიახ, პირველ ეტაპზე **ხავიერ პასტორე** ფანტასტიკურად გამოიყურებოდა, რადგან თავს ჯერ შებოჭილად არ გრძნობდა. ნიჭის ხარჯზე ის "სპექტაკლებს" დგამდა მოედანზე. არგენტინელზე მთელმა საფრანგეთმა აღფრთოვანებულმა დაიწყო წერაც და ლაპარაკიც, მაგრამ ფეხბურთელმა მერე "აღმოაჩინა", რომ იმავე ტაქტიკის პირობებში მწვრთნელი მას იდეალურად "ვეღარ იყენებდა", თანაგუნდელები კი "ვერ ამჩნევდნენ" და რეცეპტი, რატომ აღარ იყო ის ძველებურად ეფექტური, მზად იყო. გუნდს ბოლომდე ვერ შეერწყა **კევინ გამეირო**ც. ფრანგმა ბომბარდირმა პარიზული კარიერა დიდებულად დაიწყო. 10 ტურის შემდეგ მის ანგარიშზე 8 გოლი იყო, მაგრამ აქედან მოყოლებული ის კინკილა გოლითღა შეეწია საერთო საქმეს. რაშია საქმე, უმჯობესია, თუკი მწვრთნელი ამ საკითხში რაც შეიძლება მალე გაერკვევა, რადგან გაურკვევლობა პირადად მის კარიერასაც დიდ საფრთხეს უქმნის. გუნდის ცუდმა ფსიქოლოგიურმა მომზადებამ მის პარიზულ მომავალს შეიძლება წერტილი დაუსვას.

ახლა მოკლედ თამაშზეც მოგახსენებთ. ერთადერთი გოლი საკუთარ კარში 32-ე წუთზე სწორედ იმ ფეხბურთელმა გაიტანა, ვინც წინა დღეებში ყველაზე ხმამაღლა ლაპარაკობდა პარიზელთა მინუსებზე. ლაპარაკია **სტეფან რუფიეზე. ნენემ** კუთხური მოაწოდა, რომელსაც **ბოდმერმა** თავი შეუშვირა და ძელს გაარტყა, საიდან ასხლეტილი ბურთიც მეკარეს ხელზე მოხვდა და - 0:1. სტუმართა შემტევებმა მორიგი უსახური მატჩი ჩაატარეს. სამაგიეროდ ყველაფერი რიგზე იყო დაცვაში, რაც არ შეიძლება გუნდის თავკაცს არ ახარებდეს. ეს მატჩი კიდევ ერთი რამით არის გამოსარჩევი: გუნდებმა კარის მიმართულებით 48-ჯერ დაარტყეს (30-ჯერ ეს "სენტ ეტიენმა" გააკეთა), რაც 2006 წლის შემდეგ სარეკორდო მაჩვენებელია. გეტყვით, რომ საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩებზე ბურთის კარის მიმართულების დარტყმის ავტომატურად ფიქსირება სწორედ ამ დროიდან ხდება.

"პარი სენ-ჟერმენი" ლიდერის პოზიციას ვერ ჩაიგდებდა ხელში, შინ "ევიანს" ყველასთვის მოულოდნელად "მონპელიე" რომ არ დაემარცხებინა. .უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ მატჩის მონაწილეებმა "აიშვეს" და მაყურებელს 6 გოლის ხილვის სიამოვნება მიანიჭეს. პირველი 9 წუთის ინტერვალში ანგარიში სამჯერ შეიცვალა. მასპინძელი ორჯერ ჩამორჩა ანგარიშში, მაგრამ 70-ე წუთიდან სრული უპირატესობა იგდო ხელთ და შეხვედრა ნანატრი შედეგით დაასრულა.

ცალკე სალაპარაკო თემაა მოქმედი ჩემპიონის "ლილისა" და "ნიცას" მატჩი. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ეს იყო არა მხოლოდ მიმდინარე სეზონის, არამედ ბოლო წლების საუკეთესო მატჩი ფრანგულ ფეხბურთში. საქმე მხოლოდ ანგარიშში (4:4) არ არის. გუნდებმა მაყურებელს სწორედ ის შესთავაზეს, რამაც ფეხბურთი მსოფლიოში ყველაზე პოპულარული გახადა – სანახაობა. **ედენ აზარმა** მატჩის შემდგომ ინტერვიუში ჟურნალისტებთან ცრემლმორეულმა აღიარა, რომ გოლი მან ახალდალუპულ მეგობარს მიუძღვნა და უფრო ბედნიერი იქნებოდა, მისთვის გამარჯვებაც რომ ეჩუქებინა.შეხვედრის მოგება ორივე გუნდს შეეძლო, მაგრამ... აქ შევწყვეტთ მიმოხილვას. გირჩევთ, თუ საშუალება გექნებათ აუცილებლად უყურეთ, რადგან ასე წაკითხულით გემოს ვერ ჩაატანთ.

## მწვრთნელის ბედი




საავგენტო "ფრანს პრესის" მტკიცებით, "პარი სენ-ჟერმენის" სპორტულმა დირექტორმა **ლეონარდომ** გუშინ გუნდის თავკაც **ანტუან კომბუარეს** აცნობა, რომ მას პოსტიდან უახლოეს ხანებში გაათავისუფლებენ. მოსალოდნელია, რომ კლუბი ოფიცალურად განცხადებას დღეს გააკეთებს. ეს გასაკვირი სულაც არ არის, რადგან მუსიე ანტუანის შესაძლო გაშვებაზე სეზონის დაწყების შემდეგ საუბრობდნენ.

თუ ეს ინფორმაცია ოფიციალურად დადასტურდა, იმედია, "ლურჯ-წითლების" ახალი თავკაცის ვინაობას მალევე შევიტყობთ.

## სკანდალი

# მოქნეული ფეხი

### რომელიც ფეხბურთელს შეიძლება ძალიან ძვირი დაუჯდეს

"აიაქსისა" და "ალკმაარის" სათასო დაპირისპირებაში მატჩის 37-ე წუთზე ისეთი რამ მოხდა, რომ შეიძლება 2011/12 წლების სეზონზე ლაპარაკისას ჰოლანდიაში სწორედ ეს 1/8-ფინალური შეხვედრა გაახსენდეთ. თამაში ჩაიშალა, რისი მიზეზიც მინდორზე "აიაქსის" გულშემატკივრის გადახტომა და შემდგომ განვითარებული მოვლენები გახდა. "ამსტერდამ არენის" უსაფრთხოების სამსახურს თავდამსხმელი გაეპარა. ის მეკარე **ესტებან ალვარადოსკენ** აშკარად საცემად გაიქცა, თუმცა გამოცდილ გოლკიპერს ეს არ გამოჰპარვია და მას მომზადებული დახვდა - გვერდით გადახტა და ჯერ კიდევ ჰაერში მყოფ ხულიგანს ფეხი გვარიანად ჩააზილა. შემდგომ კი წაქცეულს ორჯერ უთავაზა, ერთი მუცელში, მეორე - ფეხში. ამასობაში სტიუარდებიც მოვარდნენ და თავდამსხმელი დააკავეს. არბიტრმა **ბას ნეიჰეისმა** ალვარადოს დაუყოვნებლივ წითელი ბარათი უჩვენა. "ალკმაარის" ლამის ყველა ფეხბურთელმა ერთდროულად სცადა გადაწყვეტილების გასაჩივრებინა, მაგრამ ბუნებრივია არაფერი შეცვლილა. უბრალოდ, გთავაზობთ წარმოიდგინოთ ტრიბუნების რეაქცია... მგონი საკმარისია, იმის ალსაქმელად რაც სტადიონზე ხდებოდა. სტუმართა თავკაცმა **გერტიან ფერბეეკმა** არ დაუცადა "აფეთქებას" და ერთპიროვნული გადაწყვიტილებით გუნდი მინდვრიდან გაიყვანა, რამდენიმე შეთავაზების მიუხედავად კი თამაშის განახლებაზე სასტიკი უარი თქვა.


ალკმაარის მეკარე ესტებან ალვარადო თავდამსხმელს ასე გაუსწორდა



აი, რა განუცხადა "ალკმაარის" სპორტულმა დირექტორმა **ტონ გერბრანდმა** გამოცემა "დე ტელეგრააფს": *"ესტებანის საქციელის გამო ყველანი დამწუხრებული ვართ. იმედს ვიტოვებთ, რომ პროფესიული ლიგა გაითვალისწინებს იმას, თუ რა მდგომარეობაში მოხდა ეს ყოველივე და მის მიმართ მაქსიმალურად ჰუმანურ სანქციას დააწესებს. მე ულაპარაკოდ დავუჭირე მხარი მწვრთნელის გადაწყვეტილებას, რომელმაც თამაშის გაგრძელებაზე უარი თქვა. გასახდელში ვუთხარი კიდეც ბიჭებს, რომ მოედანზე დაბრუნება უსაფრთხო სულაც აღარ იქნებოდა. ჩვენთვის უმთავრესი იმ მომენტში ფეხბურთელების უსაფრთხოება იყო. ეს ყველას უნდა ესმოდეს".*

იმავე გაზეთის ჟურნალისტი "აიაქსის" თავკაც **ფრანკ დე ბურსაც** დაუკავშირდა და კომენტარი სთხოვა: *"რასაკვირველია, უსიამოვნო მომენტი იყო, მაგრამ მაინც მესმის ალკმაარელთა გადაწყვეტილების. მესმის ფეხბურთელისაც, რადგან ვერავინ გამორიცხავდა, რომ ხულიგანს ჯიბეში დანაც სდებოდა. ზუსტად რა მოხდა, არ დამინახავს, მაგრამ ვიცი, რომ ესტებანის მხრიდან ეს მხოლოდ პასუხი იყო თავდასხმაზე. თანაც არ დაგავიწყდეთ, რომ ის ტემპერამენტიანი ადამიანია (ალვარადო კოსტარიკელია. რედ.), რამაც იჩინა კიდეც თავი. პირადად გაგებით ვეკიდები ამას. მესმის, რომ ლიგამ რაღაც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. მთავარია, მალე მოვახერხოთ ამ რთული სიტუაციიდან თავის დაღწევა".* "აიაქსმა" მოგვიანებით ოფიციალურად განაცხადა, რომ ვაიგულშემატკივარს ცხოვრების ბოლომდე აუკრძალავს საშინაო მატჩებზე დასწრებას.

"ასოშიეიტედ პრესმა" ბას ნეიჰეისთან დაკავშირება მოახერხა. მატჩის არბიტრი გადაწყვეტილებას ასე ხსნის: *"მესმის, რომ ესტებანი თავის დაცვას ცდილობდა, მაგრამ მას სხვანაირად მოქცევაც შეეძლო - განზე გამდგარიყო, არ იყო საჭირო თავდამსხმელთან მისვლა და წიხლების ქნევა. სწორედ ამიტომ ვუჩვენე მას წითელი ბარათი".*

უკვე გავრცელდა "ალკმაარის" პრესსამსახურის განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ *"კლუბი მზადაა სამეფო ფეხბურთის ფედერაციის ნებისმიერი გადაწყვეტილებისთვის".* აღნიშნული ორგანიზაციის მაღალჩინოსანმა **ბერტ ვან ოსტვენმა** კი აღნიშნა, რომ ინციდენტს დაწვრილებით შეისწავლიან, მხარეთა არგუმენტებს მოუსმენენ და გადაწყვეტილებას მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებენ. მისი თქმით, ჯერ ისიც კი გაუგებარია, "ალკმაარი" თასის გათამაშებიდან მოიხსნება, თუ მატჩი გადათამაშდება.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია A I (გამოტოვებული) ტური

# რატომ იყო ფრე ფრიულიზე ლოგიკური

## და როგორ დაარბიეს გენუელები ნეაპოლში

| | |
|---|---|
| სიენა-ფიორენტინა | 0:0 |
| ლაციო-კიევო | 0:0 |
| უდინეზე-იუვენტუსი | 0:0 |

**კალიარი-მილანი 0:2**

**გოლები:** 0:1 პიზანო (4-საკ. კარში), 0:2 იბრაჰიმოვიჩი (60).

**ატალანტა-ჩეზენა 4:1**

**გოლები:** 0:1 კანდრევა (12), 1:1 დენისი (17-პენ.), 2:1 მარილუნგო (18), 3:1 მარილუნგო (44), 4:1 პელუზო (71).

**ბოლონია-რომა 0:2**

**გოლები:** 0:1 ტადეი (17), 0:2 ოსვალდო (40).

**ინტერი-ლეჩე 4:1**

**გოლები:** 0:1 მურიელი (20), 1:1 პაცინი (34), 2:1 მილიტო (49), 3:1 კამბიასო (73), 4:1 ალვარესი (81).

**ნაპოლი-ჯენოა 6:1**

**გოლები:** 1:0 კავანი (12), 2:0 ჰამშიკი (17), 3:0 კავანი (24), 3:1 ხორკერა (27), 4:1 პანდევი (45), 5:1 გარგანო (49), 6:1 ცუნიგა (80).

**ნოვარა-პალერმო 2:2**

**გოლები:** 0:1 ლუდი (20-საკ. კარში), 0:2 ბერტოლო (74), 1:2 მაძარანი (77), 2:2 რიგონი (84).

**პარმა-კატანია 3:3**

**გოლები:** 1:0 მოდესტო (5), 1:1 ალმირონი (21), 2:1 ბიაბიანი (23), 3:1 ფლოკარი (44), 3:2 ლოდი (74-პენ.), 3:3 კატელანი (85).


ედინსონ კავანიმ „ჯენოასთან" გაილაღა

პირველი, ანუ გამოტოვებული ტურის ცენტრალური შეხვედრა უდავოდ უდინეში გაიმართა, სადაც „უდინეზემ" „იუვენტუსი" მიიღო და დაუზავდა, 0:0. ფრე ორივე გუნდისთვის მისაღები შედეგი იყო, ამასთან, ერთმანეთის პირისპირ ორი ისეთი გუნდი წარდგა, რომლებსაც ყველაზე ნაკლები გოლი აქვთ გაშვებული მიმდინარე ჩემპიონატში - თუ ყველაფერ ამას გავითვალისწინებთ, ლოგიკურიც არის, რომ ფრიულიზე გამართული მართლაც საინტერესო პაექრობა უგოლო ყაიმით დასრულდა.

მთელი შეხვედრის განმავლობაში, გუნდები უფრო საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ და შესაბამისად, სახიფათო მომენტები მცირე რაოდენობით შეიქმნა. ცალკეული ეპიზოდების აღწერით არ შეგაწყენთ თავს და სიტყვას პირდაპირ **ანტონიო კონტეს** გადავცემთ, რომელიც დაფიქსირებული შედეგით კმაყოფილი გახლდათ:

„შედეგით კმაყოფილი ვარ, რადგან უდინეში ქულის მოპოვებაც კი საპატიოა. მართალია, ჩვენ მოსაგებად გავედით მოედანზე, მაგრამ ვერ მოგატყუებთ და ვერ ვიტყვით, რომ ფრემ ცუდ ხასიათზე დამაყენა. ასეთ შედეგს მოველოდი კიდეც, რადგან ჩვენი არ იყოს, მიმდინარე სეზონში „უდინეზეს" დაცვაც შესანიშნავად გამოიყურება. რაც შეეხება სეზონის პირველ ეტაპს, ამაზე მას შემდეგ ვისაუბროთ,. როდესაც ჩემპიონატი ეკვატორს გადალახავს - სატურნირო ცხრილს ჯერ კიდევ არ ვუკირკიტებ, ერთი კი ნამდვილად მსიამოვნებს: „იუვე" ერთადერთი გუნდია ჩემპიონატში, რომელიც ჯერ არ დამარცხებულა".

უდინური ფრე ძალიან კარგი შანსი იყო „ლაციოსთვის", რომელსაც შეეძლო ლიდერებს კიდევ უფრო მიახლოვებოდა. **ედუარდო რეიას** გუნდმა „კიევოს" უმასპინძლა და ფავორიტადაც ითვლებოდა, მაგრამ... „ბიანკოჩელესტემ" მთლიანობაში ძალიან მძიმე შთაბეჭდილება დატოვა და ვერაფერი დააკლო კერკეტ მეტოქეს. მეტიც, სტუმრებს უკეთესი შანსები ჰქონდათ ანგარიშის გასახსნელად და თუ ვინმე გადაურჩა წაგებას, ეს უპირველესად „ლაციოზე" ითქმის. მართალია, ბოლო წუთებში რომაელებმა შტურმის მაგვარი მოუწყვეს ვერონელებს, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა და შედეგად, მასპინძლებმა უმნიშვნელოვანესი ორი ქულა დაკარგეს.

აქვე აღვნიშნოთ, რომ მორიგი უსუსური შეხვედრა ჩაატარა **ჯიბრილ სისემ** და ანტრაქტის შემდეგ, რეიამ **ტომაზო როკით** ჩაანაცვლა - მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „ლაციოს" მთავარ მწვრთნელს ფრანგ ფორვარდზეც მოუხდა საუბარი: „თუ ასე გავაგრძელებთ, სამეულში კი არა, ათეულშიც ვერ მოვხვდებით. ფეხბურთელები ცოტა გადაღლილები მეჩვენენ და თუკი ეს მართლაც ასეა, ე.ი. ზამთრის პაუზას სულზე მოუსწრია. შესვენება ნაყოფიერად უნდა გამოვიყენოთ და სეზონი ოპტიმალურ კონდიციაში განვაახლოთ. გავუშვებთ თუ არა სისეს? - არავითარ შემთხვევაში, ფრანგი არ იყიდება და როგორც მინიმუმ სეზონის ბოლომდე ჩვენთან დარჩება".

„ინტერმა" საკუთარ მოედანზე „ლეჩეს" უმასპინძლა და მეტოქეს სულ ბრძოლვირი ადინა. არადა, საწყის წუთებში უფრო სტუმრები აქტიურობდნენ და გახსნეს კიდეც ანგარიში, როდესაც მე-20 წუთზე **მურიელის** დარტყმამ მიზანს უწია. აი ამის შემდეგ კი მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა, „ინტერმა" ოთხი უპასუხო ბურთი მიართვა მეტოქეს და მორიგი სამი ქულა ჩაიწერა აქტივში. ფორვარდებიდან **კლაუდიო რანიერის ჯამპაოლო პაცინიმ** და **დიეგო მილიტომ** გაუმართლეს, აი **დიეგო ფორლანმა** კი პირველი ტაიმი უსახურად ჩაატარა და შესვენებისას სწორედ მილიტოთი შეიცვალა. „ინტერმა" ისეთი ტემპი აკრიფა, რომ რანიერიმ ზამთრის შესვენებაზე დაიჩივლა, რა დროს პაუზა იყოო - ვნახოთ, როგორ ფორმაში შეხვდება მილანური გრანდი სეზონის განახლებას.

კიდევ უფრო დიდი ანგარიშით გაიმარჯვა „ნაპოლიმ" და სამწუხაროდ, ნეაპოლური გუნდის მსხვერპლი „ჯენოა" გახდა. სამხრეთელებმა მეტოქეს არც მეტი, არც ნაკლები, ექვსი გოლი აგემეს და გენუელებს სულ თავბედი აწყევლინეს - სამწუხარო კი ის გახლავთ, რომ **კახა კალაძეს** არ ჰქონდა დისკვალიფიკაცია და ძირითად შემადგენლობაში ითამაშა. ქართველი მცველი მეორე ტაიმში შეცვალეს, რის შემდეგაც სტუმრებმა კიდევ ერთი გოლი გაუშვეს.

თამაში რომ მასპინძელთა სრული ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობით წარიმართა, ანგარიშიდანაც კარგად ჩანს. დუბლი მიითვალა აქტივში **ედინსონ კავანიმ**, ნამატჩევს კი პრესას შემდეგი განუცხადა: „გაკვირვებული ვარ, რადგან სერია A-ში ძალიან იშვიათად ხდება, რომ ერთ შეხვედრაში ამდენი გოლი გაიტანო. როგორც ჩანს, ეს „ჯენოას" დღე არ იყო, ჩვენ კი ყველაფერი გამოგვივიდა და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. „ნოვარასთან" დაკარგული ქულების შემდეგ, გულშემატკივრებთან სარეაბილიტაციოდ გვქონდა საქმე და ბედნიერი ვარ, რომ მიზანს მივაღწიეთ".

ბოლოს, ორიოდე სიტყვით „რომას" შესახებ ვთქვათ, რომელიც „ბოლონიას" ესტუმრა და მეტოქე განსაკუთრებული პრობლემების გარეშე დაამარცხა. **ლუის ენრიკეს** გუნდისთვის ეს მიჯრით მეორე გასვლითი გამარჯვებაა და რაც მთავარია, რომაელები შესანიშნავ ფეხბურთს თამაშობენ. „ბოლონიას" კარში გოლები **როდრიგო ტადეიმ** და **პაბლო ოსვალდომ** გაიტანეს, რაც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ სტუმრებს სამი ქულა ჩაეწერათ აქტივში. ნამატჩევს, ლუის ენრიკემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს იყო მისი გუნდის საუკეთესო თამაში მიმდინარე სეზონში. ესპანელის თქმით, დროთა განმავლობაში „ჯალოროსი" კიდევ უფრო მოუმატებს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 16 | 10 | 4 | 2 | 35-16 | 34 |
| 2. იუვენტუსი | 16 | 9 | 7 | 0 | 26-10 | 34 |
| 3. უდინეზე | 16 | 9 | 5 | 2 | 20-9 | 32 |
| 4. ლაციო | 16 | 8 | 6 | 2 | 24-13 | 30 |
| 5. ინტერი | 16 | 8 | 2 | 6 | 22-19 | 26 |
| 6. ნაპოლი | 16 | 6 | 6 | 4 | 29-18 | 24 |
| 7. რომა | 16 | 7 | 3 | 6 | 21-19 | 24 |
| 8. კატანია | 16 | 5 | 7 | 4 | 20-23 | 22 |
| 9. პალერმო | 16 | 6 | 3 | 7 | 18-20 | 21 |
| 10. ჯენოა | 16 | 6 | 3 | 7 | 19-24 | 21 |
| 11. ატალანტა | 16 | 6 | 8 | 2 | 23-19 | 20 |
| 12. კიევო | 16 | 5 | 5 | 6 | 13-18 | 20 |
| 13. პარმა | 16 | 5 | 4 | 7 | 21-26 | 19 |
| 14. ფიორენტინა | 16 | 4 | 6 | 6 | 15-15 | 18 |
| 15. კალიარი | 16 | 4 | 6 | 6 | 12-17 | 18 |
| 16. სიენა | 16 | 3 | 6 | 7 | 14-16 | 15 |
| 17. ბოლონია | 16 | 4 | 3 | 9 | 14-24 | 15 |
| 18. ნოვარა | 16 | 2 | 6 | 8 | 17-29 | 12 |
| 19. ჩეზენა | 16 | 3 | 3 | 10 | 8-20 | 12 |
| 20. ლეჩე | 16 | 2 | 3 | 11 | 17-33 | 9 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

**ბომბარდირები:** 12 - დენისი (ატალანტა); 11 – იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 10 - დი ნატალე (უდინეზე); 9 – კლოზე (ლაციო), კავანი (ნაპოლი); 7 - ჯოვინკო (პარმა), ოსვალდო (რომა), იოვეტიჩი (ფიორენტინა).

**მომდევნო ტური**

7 იანვარი: სიენა-ლაციო, ინტერი-პარმა.

8 იანვარი: უდინეზე-ჩეზენა, ატალანტა-მილანი, ბოლონია-კატანია, კალიარი-ჯენოა, ლეჩე-იუვენტუსი, ნოვარა-ფიორენტინა, რომა-კიევო, პალერმო-ნაპოლი.

**ლაშა ნიკლაური**

ინციდენტი



# აქაც რასიზმი?

17 დეკემბერს, ლიგა 1-ის მე-18 ტურში, "ბრესტი"-"ოსერის" შეხვედრის 55-ე წუთზე, მთავარმა მსაჯმა **ალექს დიუპონმა** სტუმართა მაროკოელი ნახევარმცველი **კამელ შაფნი** მინდვრიდან დაითხოვა, რადგან ის ზედმეტად აქტიურად ცდილობდა ხაზის არბიტრისთვის იმის დამტკიცებას, რომ მთავარმა მას ყვითელი ბარათი ტყუილად მისცა. შეხვედრის დასრულების შემდეგ აფრიკელმა სენსაციური განცხადება გააკეთა, ასისტენტმა **იოან პერომ** ეთნიკურ ნიადაგზე შეურაცხყოფა მომაყენაო. მისმა ნათქვამმა მცირე სკანდალიც გამოიწვია. პერო შაფნის ცილისწამებისთვის სასამართლოში ჩივილით დაემუქრა. "ოსერის" პრეზიდენტის **ჟერარ ბურგუენის** ინიციატივით შაფნიმ და პერომ ერთმანეთთან ტელეფონზე ილაპარაკეს. ისინი შერიგდნენ და ინციდენტი ამოწურულად გამოაცხადეს.

**ლევან ბიბილაშვილი**




ხერხემლის დეკომპრესია DRX9000™ სისტემა
მედცენტრი Shine
გაწუხებთ სპორტული დატვირთვით გამოწვეული პრობლემები?
გთავაზობთ მალთაშუა დისკის პათოლოგიების მკურნალობას ოპერაციის გარეშე
მწვავე ტკივილების მოხსნას წელისა და ქვედა კიდურების არეში
დისკოზის, რადიკულიტის, ოსტეოქონდროზის მკურნალობა
ჩაწერა წინასწარ
ტელ: 2 230 330
მის: კეკელიძის 14
www.shine.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანიის თასი. 1/8 ფინალი. ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა

# უსენსაციოდ როგორ შეიძლება? ჰოლშტაინ!

## პირველად ათი წლის შემდეგ: მეოთხელიგელი მეოთხედფინალში!

**ჰოლშტაინ კილი–მაინცი 2:0**

**ჰოლშტაინ კილი (4-2-3-1):** იენსენი – ჰერმანი, ბერცელი, იურგენსენი, პოგენბერგი – ს. მიულერი, კაციორი (90. შულცი) – ზიდშლაგი, სიკორა, ლინდნერი (91. ვეტერი) – ჰაიდერი.

**მაინცი (4-3-1-2):** ჰ. მიულერი – პოსპეხი, ბუნგერტი, ნოვესკი, ფათი (46. შიონჰაიმი) – კირხჰოფი, ბაუმგარტლინგერი (64. ალაგუი), სოტო – ნ. მიულერი – გავრანოვიჩი, უჯა (68. ჩუპო-მოტინგი).

**გოლები:** 1:0 უჯა (6-საკ. კარში), 2:0 ს. მიულერი (64)

**გაფრთხილება:** ჰაიდერი

**მაყურებელი:** 10 649

სამშაბათს „ფიურტმა" „ნიურნბერგი" რომ გააგდო, ეს ამბავი სენსაციად შევრაცხეთ და სავსებით ლოგიკურადაც, მაგრამ ეს ჟურნალი ყოფილა, კინო კი თურმე ოთხშაბათს გველოდა: „ჰოლშტაინ კილი" არის გუნდი, რომელიც გერმანიის რიგით მეოთხე ლიგაში თამაშობს და ამ გუნდმა თასიდან „მაინცი" დაიფრინა! მერვედფინალში მყოფ გუნდებს შორის ერთი შეხედვით ყველაზე უსუსურმა „მაინცი", რომელიც საკმაოდ ამბიციური გუნდია ბუნესლიგაში, აბსოლუტურად დამსახურებულად, 2:0 დაამარცხა და გახდა პირველი მეოთხელიგელი ბოლო ათი წლის მანძილზე, რომელმაც გერმანიის თასის მეოთხედფინალში გააღწია. ათი წლის წინათ ასეთივე წარმატებას „მაგდებურგმა" მიაღწია...

ვერ ვიტყვით, რომ „მაინცმა" მეორე შემადგენლობით ითამაშა, მაგრამ ფაქტია, მწვრთნელმა **თომას ტუხელმა** რამდენიმე პოზიციაზე როტაციას მიმართა, რაც ნამდვილად არ იყო გაუმართლებელი ნაბიჯი – ეს გუნდი „კილს" მთლიანად სარეზერვო შემადგენლობითაც უნდა უგებდეს. კილელებმა პრაგმატული ფეხბურთი ითამაშეს და „მაინცს" ფაქტობრივად არაფერი გააბედინეს. შერცხვენილთა მენეჯერი **კრისტიან ჰაიდელი** მატჩის შემდეგ თითქმის ყვიროდა, ასეთ გუნდს ნებისმიერ დროს და ნებისმიერ მოედანზე უნდა ვუგებდეთო.

ალსანიშნავია, რომ „ჰოლშტაინ კილმა", რომელიც ჩრდილოეთ რეგიონალლიგაში მეორე ადგილზეა, „მაინცამდე" გერმანიის თასიდან მეორებუნდესლიგური კლუბები, „კოტბუსი" (3:0) და „დუისბურგი" (2:0) გააგდო და ნახეთ, კილელებმა კარი ელიტის წარმომადგენელთანაც მშრალად შეინახეს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ამ გუნდს სულაც არ აქვს პატარა ისტორია – „ჰოლშტაინ კილი" გაისად ასი წლის ხდება, გერმანიის თასის მეოთხედფინალში კი 1943 წლის შემდეგ პირველად გავიდა.

საინტერესოა ისიც, რომ ანგარიში ავტოგოლით გაიხსნა: მე-6 წუთზე მაინცელთა თავდამსხმელმა **უჯამ** კუთხურის შემდეგ ბურთი თავით საკუთარ კარში ჩაჭრა. საფინალო სასტვენის შემდეგ მეოთხელიგელის მწვრთნელი **ტორსტენ გუთცაითი** და მისი შეგირდები მაყურებლებთან ერთად (შეხვედრას 11 ათასი ფანი ესწრებოდა) დიდხანს, ძალიან დიდხანს ზეიმობდნენ.

**ჰერთა–კაიზერსლაუტერნი 3:1**

**ჰერთა (4-2-3-1):** კრაფტი – ლელი, იანკერი, მიატოვიჩი, **კობიაშვილი** – ოტლი, ლუსტენბერგერი (80. ნიმაიერი) – ებერტი, რამოსი, რონი (90. ბენ-ჰატირა) – ლასოგა.

**კაიზერსლაუტერნი (4-4-2):** ტრაპი – დიკი, აბელი (46. ამედიკი), როდნი, ბუგერა – ფორტუნისი (77. დე ვიტი), ტიფერტი, კირხი, შაჰანი – ნემეცი (67. კუემაა), შეხტერი.

**გოლები:** 1:0 რამოსი (43), 1:1 შეხტერი (51), 2:1 ლასოგა (59), 3:1 ებერტი (91)

**გაფრთხილება:** ებერტი

**მაყურებელი:** 40 944

უმწვრთნელოდ დარჩენამ და სკანდალურმა დისკუსიებმა „ჰერტაზე" ცუდად არ იმოქმედა: **ლევან კობიაშვილმა** და კომპანიამ „კაიზერსლაუტერნის" ბარიერი ფაქტობრივად უპრობლემოდ დაძლიეს. **მარკუს ბაბელის** გაშვებისა და **მიხაელ სკიბეს** მოსვლამდე, „ჰერტას" მარკუსის ასისტენტმა **რაინერ ვიდმაიერმა** უხელმძღვანელა. ბერლინელებმა, ისევე, როგორც ყველა მეოთხედფინალისტმა, ამ გამარჯვებისთვის პრემიის სახით გერმანიის საფეხბურთო კავშირისგან 1 125 000 ევრო მიიღეს.

**შტუტგარტი–ჰამბურგი 2:1**

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი – ბოკა, ტასკი, მასა, მოლინარო – კვისტი, კუზმანოვიჩი – ჰარნიკი (77. გებჰარდტი), გენტნერი, ოკაზაკი (91. ნიდერმაიერი) – კაკაუ (76. შიბერი).

**ჰამბურგი (4-2-2-1-1):** დრობნი – დიკმაიერი, ბრუმა, ვესტერმანი, აოგო – რინკონი, კაჩარი (69. ტეშე) – თიორე (80. სონი), იანსენი (46. პეტრიჩი) – ილიჩევიჩი – გერერო.

**გოლები:** 1:0 კაკაუ (23), 1:1 კვისტი (54-საკ. კარში), 2:1 კაკაუ (62)

**გაფრთხილება:** გერერო, პეტრიჩი

**მაყურებელი:** 38 600

როცა **ტორსტენ ფინკი** „ჰამბურგის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, რაც არც ისე დიდი ხნის წინ მოხდა, პირველი, რაც ახალგაზრდა სპეციალისტმა თქვა, ეს იყო: *„ჩვენ არ გავვარდებით პირველი ბუნდესლიგიდან და შევეცდებით, გერმანიის თასი მოვიგოთ."* მას მერე ჩრდილოელებს წაგება არ ჰქონდათ და ფინკმა ახალ თანამდებობაზე პირველი მარცხი მაინცდამაინც გერმანიის თასზე განიცადა – შესაბამისად, ბერლინზე და გაისად ევროპა ლიგაში თამაშზე ოცნებაც დამთავრდა.

სამაგიეროდ, ამ ყველაფერზე ოცნებას „შტუტგარტი" აგრძელებს, ოღონდ, გამარჯვებით გამოწვეული სიხარული შვაბური კლუბის ხელმძღვანელებს ფანებმა ჩაუმწარეს – სტადიონზე რადიკალურმა გულშემატკივრებმაც შეაღწიეს და საფინალო სასტვენის შემდეგ სიტუაციის არევას შეეცადნენ: მათ 15-ზე მეტი ბენგალო-ცეცხლი დაანთეს და „მერსედეს-ბენც-არენას" ტრიბუნები კვამლით დაიფარა. მოგვიანებით კი დიდი ტრანსფარანტიც გადმოფინეს: *„ყველა შტუტგარტელ ხულიგანს შობას ვულოცავთ!"*

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გერმანიის თასის მეოთხედფინალში გასვლისთვის მიღებული პრემიის ნაწილს „შტუტგარტი" ისევ გერმანიის საფეხბურთო კავშირის ანგარიშზე გადარიცხავს – ფაქტია, შვაბებს ჯარიმა არ ასცდებათ.

**ბორუსია (მ)–შალკე 3:1**

**ბორუსია მ. (4-2-2-1-1):** ტერ შტეგენი – იანტშკე, შტრანცლი, დანტე, დემსი – ნორდტვეიტი, ნოიშტედტერი – ჰერმანი (88. მარქსი), არანგო – როისი (92. ბრუვერსი) – ჰანკე (71. დე კამარგო).

**შალკე (4-2-3-1):** უნერშტალი – ჰიოვედესი, პაპადოპულოსი, მატიპი, ფუხსი – ხურადო (80. ბაუმიოჰანი), ჯონსი – ჰიოგერი (71. მარიკა), რაული, პუკი (46. დრაქსლერი) – ჰუნტელაარი.

**გოლები:** 1:0 არანგო (18), 2:0 როისი (56), 2:1 დრაქსლერი (70), 3:1 როისი (88)

**გაძევება:** ჰუნტელაარი (46. შალკე), ჯონსი (92. შალკე)

**გაფრთხილება:** დე კამარგო – პაპადოპულოსი

**მაყურებელი:** 54 057

მორჩა, „შალკე" ტიტულს ვერ შეინარჩუნებს: გერმანიის თასის მფლობელი მიონხენგლადბახში 1:3 დამარცხდა – მატჩის გმირი კი, რა თქმა უნდა, **მარკო როისი** გახდა, რომელმაც **ლევან ყენიას** გუნდს ორი გოლი გაუტანა. შეხვედრის მე-6 წუთზე ისეთი რამ მოხდა, რაზეც მერე მთელი საფეხბურთო გერმანია ლაპარაკობდა: თამაში შეწყვეტილი იყო, როცა გელზენკირხენელთა საყრდენი ნახევარმცველი **ჯერმეინ ჯონსი**, რომელიც გერმანიაში ერთ-ერთ ყველაზე აგრესიულ ფეხბურთელადაა ცნობილი, როისის გარშემო ტრიალებდა და უცებ მიონხენგლადბახელთა ლიდერს ფეხი ჩაარტყა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ჯონსმა ეს აშკარად გამიზნულად გააკეთა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: ჯონსი ამის გამო მოედნიდან არ გაუძევებიათ, თუმცა ბოლოს მაინც დაიმსახურა წითელი ბარათი – **იგორ დე კამარგოსთან** კინკლაობისთვის. როისმა კი ჯონსზე და მთლიანად „შალკეზე" შური დუბლით იძია.

ჯონსი ერთადერთი შალკელი არ იყო, რომელსაც ოთხშაბათს მოედანი დაატოვებინეს. გაცილებით ადრე, 46-ე წუთზე გააგდეს გელზენკირხენელთა გოლეადორი **კლაას-იან ჰუნტელაარი** (მსაჯის შეურაცხყოფისთვის). ალსანიშნავია, რომ „შალკეს" მთავარი მწვრთნელი **ჰუუბ სტევენსი** თავის ადგილზე არ იყო – ჰოლანდიელი სპეციალისტი მშობლიურ სიტარდშია, სადაც დედამისი სიკვდილს ებრძვის...

**1/4 ფინალის წილისყრა**

**8 თებერვალი**

| |
|---|
| ჰოფენჰაიმი-ფიურტი |
| ჰერთა-ბორუსია (მ) |
| შტუტგარტი-ბაიერნი |
| ჰოლშტაინ კილი-ბორუსია (დ) |



აი, ასე ზეიმობდნენ ჰოლშტაინ კილის ფეხბურთელები მაინცის კარში გატანილ პირველ გოლს

● ჰერთა



ორი მიხაელი: ჰერტას ახალი მწვრთნელი სკიბე და მენეჯერი პრეეტცი

# მე ამისგან გავაკეთებ...

## სკიბე ჰერტაში დიდი ამბიციებით მივიდა

როგორც მოსალოდნელი იყო, გუშინ ბერლინის „ჰერტამ" ახალი მთავარი მწვრთნელი წარადგინა: სკანდალურად გაშვებული **მარკუს ბაბელი მიხაელ სკიბემ** შეცვალა. ამ უკანასკნელმა **ლევან კობიაშვილის** გუნდთან კონტრაქტი 2014 წლამდე გააფორმა. ბერლინში სკიბე გუშინ ოფიციალურად წარადგინეს.

*„ჩემი პირველი სამუშაო დღე 3 იანვარია. მიხარია, რომ გერმანიაში დაბრუნების საშუალება მომეცა. როგორც ადრეც ვთქვი, ასეთ შანსს ხელიდან ვერ გავუშვებდი. „ჰერტაში" მუშაობას სიამოვნებით დავთანხმდი და იმედი მაქვს, რომ ამ გუნდთან ერთად წარმატებებს მივაღწევ. ბანალურად ჟღერს, მაგრამ „ჰერტას" შესაძლებლობებში ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ და მჯერა, რომ ჩვენი მიზანი მხოლოდ პირველ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნება არ უნდა იყოს. ბერლინი არის ქალაქი, რომელიც ვალდებულია, ძალიან ძლიერი საფეხბურთო გუნდი ჰყავდეს და იმედი მაქვს, ასეთი გუნდის ჩამოყალიბებას მოვახერხებ,"* - განაცხადა 48 წლის სპეციალისტმა პრესკონფერენციაზე.

სკიბემ ამ სეზონის კონკრეტულ გეგმაზეც ისაუბრა. მისი თქმით, „ჰერტამ", რომელიც ელიტაში ახლახან დაბრუნდა, პირველი წრე სტაბილურად ჩაატარა, მეორე წრეში კი გუნდის მიზანი კიდევ უფრო უკეთ თამაში უნდა იყოს.

*„მარტო გადარჩენით ვერ ვიამაყებთ, ჩვენ საუკეთესო ექვსეულში მოსახვედრად უნდა ვიბრძოლოთ. დიახ, მინდა, რომ „ჰერტა" ევროპაში ახლავე დავაბრუნო,"* - თქვა სკიბემ.

● მწვრთნელი



რალფ რანგნიკი გამოჯანმრთელდა

# პროფესორი აზრზე მოვიდა!

## რალფ რანგნიკი დაბრუნებაზე ფიქრობს

სამი თვე გავიდა მას მერე, რაც **რალფ რანგნიკმა** „შალკეს" მთავარი მწვრთნელის პოსტი Burnout-სინდრომის გამო დატოვა. როგორც ჩანს, ეს საკმარისი დრო აღმოჩნდა იმისათვის, რომ „პროფესორ რალფს" კარგად დაესვენა და ფსიქოლოგიურადაც გაჯანსაღებულიყო, რადგან 53 წლის სპეციალისტი ფეხბურთში დაბრუნებაზე ალაპარაკდა.

*„ვფიქრობ, რომ 2012 წელს ჩემს საქმიანობას დავუბრუნდები. ეს შეიძლება ძალიან მალეც მოხდეს, ყველაზე გვიან კი ზაფხულში,"* - რანგნიკის სიტყვები მისმა მრჩეველმა **ოლივერ მინტცლაფმა** ჟურნალ „შპორტ-ბილდს" გადასცა.

მისი ახლო მეგობარი, **ჰელმუტ გროსი** კი ხსენებული ჟურნალისთვის მიცემულ ინტერვიუში რანგნიკის ფსიქიკური გადაღლის კონკრეტულ მიზეზებზე საუბრობს. მისი თქმით, რალფს ვირუსი ჰქონდა და ფიზიკურმა სისუსტემ მენტალური დაუძლურება გამოიწვია.

● გერმანიის ნაკრები

# ლამი: მიზანი ევროპის ჩემპიონობაა!

გერმანიის ნაკრების კაპიტანი **ფილიპ ლამი** აცხადებს, რომ ევროპის ჩემპიონატზე ბუნდესგუნდის მიზანი მხოლოდ ჩემპიონობა იქნება. *„მას მერე, რაც გერმანიის ნაკრებში ვთამაშობ, ასე თავდაჯერებული არასდროს ვყოფილვარ. სანაკრებო დონეზე დიდი ტიტულის მოგების ყველაზე მეტად ახლა მჯერა. არ არსებობს მიზეზი, რის გამოც პირდაპირ ჩემპიონობაზე არ უნდა ვიფიქროთ,"* - განაცხადა ლამმა ჟურნალ „შტერნისთვის" მიცემულ ინტერვიუში.



ბუნდესგუნდის კაპიტანი ფილიპ ლამი

28 წლის ფლანგის მცველი იმაშიც დარწმუნებულია, რომ ახლო მომავალში არა მარტო გერმანიის ნაკრებს, არამედ მიუნხენის „ბაიერნსაც" დიდი წარმატებები ელის: *„გერმანულმა ფეხბურთმა უდიდესი პროგრესი განიცადა. მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრები გვყავს და საკლუბო დონეზეც ვპროგრესირებთ. ამიტომაც მჯერა, რომ საერთაშორისო ტიტულს მიუნხენშიც უნდა ველოდოთ."*

## ცვანციგერი 2 მარტს გადადგება

გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი **თეო ცვანციგერი** დაპირებისამებრ, თანამდებობას 2 მარტს დატოვებს. 66 წლის ფუნქციონერს პირველი განცხადების საფუძველზე, თანამდებობა 2012 წლის ოქტომბერში უნდა დაეტოვებინა, მაგრამ გადაწყვეტილება შეცვალა და შემცვლელ **ვოლფგანგ ნირსბახს** გერმანული ფეხბურთის სადავეებს გაცილებით ადრე, 2 მარტს დაუთმობს.

გვერდი მოამზადა

**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. ნაკრები

# ქართული ძიუდოს ავსტრიული ბედისწერა

სამწუხაროდ, ისევ გვიწევს წერა საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებში მიმდინარე უცნაურ მოვლენებზე, რაც ისევ და ისევ მთავარ მწვრთნელ **პეტერ ზაიზენბახერს** უკავშირდება. როცა მან დეკემბერში გუნდის ხუთი წევრი და არა მთლიანი ნაკრები იაპონიაში წაიყვანა შეკრებაზე, რის გამოც საქართველოს ჩემპიონატს არ დაესწრო (ესეც სიმპტომურია - უცხოელი მწვრთნელები ხშირად უგულებელყოფენ ქვეყნის პირველობას), მაშინ იმით გაამართლეს, რომ აქ არიან ქართველი მწვრთნელები, რომლებიც ინფორმაციებს მიაწვდიან, პირადად მას კი ვიდეოჩანაწერებითაც შეუძლია შეხვედრების ნახვაო. თუმცა დასრულდა იაპონური შეკრება და ზაიზენბახერი პირდაპირ ავსტრიაში გაფრინდა, არც ჩამოსულა საქართველოში. ახლა ევროპაში საშობაო დღეებია და ამას კიდევ გავუგებდით, მაგრამ ის იანვარში დაგეგმილ შეკრებასაც ავსტრიაში ატარებს, იმის მიუხედავად, რომ ალტერნატივად ბაკურიანი განიხილებოდა და სპორტსმენთა უმეტესობაც ადგილობრივ ვარიანტს ემხრობოდა. ის შეკრება 8-20 იანვარს მიტერშილში ტარდება ანუ მწვრთნელმა კვლავაც ისე მოაწყო, საქართველოში რაც შეიძლება ნაკლები დრო გაატაროს - 19-20 ნოემბერს ამსტერდამში რომ იჭიდავეს (რამდენადაც მახსოვს, ავსტრიელი არც მანამდე ყოფილა თბილისში, ჰოლანდიაში შეუერთდა იქ ჩასულ გუნდს), იქიდან იაპონიაში გადაფრინდა, სადაც ერთი თვე გაატარა, ახლა კი 20 იანვრამდე ავსტრიაში ყოფნა გარანტირებული აქვს. მერე იანვრის ბოლოს თბილისის მსოფლიოს თასზე თუ ჩამოვა, თებერვალში ისევ ევროპაში მოუწევს გამგზავრება პარიზის, ავსტრიული ობერვარტის, დიუსელდორფისა და პრაღის ტურნირებზე, რომლებიც თებერვალში ერთმანეთის მიყოლებით ტარდება. მართალია, იანვარში ალმატიში მასტერსიცაა, მაგრამ იქ გუნდს **გიორგი ვაზაგაშვილი** გაჰყვება, ზაიზენბახერი კი პირდაპირ ავსტრიიდან ჩავა და მერე ისევ უკან გადაფრინდება, საქართველო მის გრაფიკში ვერც ერთ გზაზე ვერ ხვდება.

იაპონური შეკრებისა არ იყოს, ეს ავსტრიული შეკრებაც კითხვის ნიშნებს აჩენს. ჯერ იქ წასაყვანი შემადგენლობა საბოლოოდ არაა დაზუსტებული, თუმცა ის კი ცნობილია, რომ მასტერსზე მოჭიდავე ოთხეული არ იქნება: **ამირან პაპინაშვილი** (60), **ვალერი ლიპარტელიანი** (90), **ირაკლი ცირეკიძე, ლომერ ჟორჟოლიანი** (ორივე - 100). ამათგან ბოლო სამს არც იაპონური შეკრება გაუვლია (თუმცა ტრავმის გამო იქ ბოლომდე ვერც პაპინაშვილმა ივარჯიშა) და ისმის კითხვა, თუ ავსტრიაში საბაზო ანუ ფიზმომზადებისთვის განკუთვნილი შეკრებაა, განა ამათ არ სჭირდებათ? როგორც ფედერაციაში გვითხრეს, ალმატიდან დაბრუნების შემდეგ ეს კვარტეტი თბილისში დარჩენილებს შეუერთდება თბილისის ტურნირისთვის განკუთვნილ შეკრებაზე. აქ კიდევ ერთი უცნაური მომენტი იკვეთება: ავსტრიაში სავარჯიშოდ გუნდის მხოლოდ ნაწილი მიემგზავრება, წონაში ორ-ორი კაცი, თუმცა ზოგან შეიძლება, მეტიც იყოს, რადგან რიგ წონებში ან საერთოდ არავინ იქნება, ან - მხოლოდ თითო მონაწილე და მათ ხარჯზე იქნებ სხვაგან დაუმატონ. თუმცა, თბილისის თასზე ასპარეზობის ყველა მსურველი იქ ვერ წავა, ზოგი თბილისში გაივლის შეკრებას. ამდენად, იანვარში გუნდი სამ ჯგუფად გაიყოფა - ნაწილი მასტერსზე იჭიდავებს, ნაწილი ავსტრიაში ივარჯიშებს, ნაწილიც - თბილისში! გვესმის, რომ ოლიმპიადის სეზონია და იქ გამოსვლის კანდიდატებს განსაკუთრებული მიდგომა, განსაკუთრებული სავარჯიშო გეგმა სჭირდებათ. განსაკუთრებით - ალმატიში წამსვლელ ოთხეულს, რადგან ოლიმპიური მედლების კანდიდატებიც მათ შორის უნდა დავიგულოთ (მათ 81 კილოგრამი თუ დაემატება); გვესმის ისიც, რომ მასტერსზე წასვლაც აუცილებელია, მაგრამ გუნდის ასე მარტივ მამრავლებად დაშლას იქნებ აჯობებდა, მართლაც ბაკურიანში გაევლოთ ეს შეკრება, სადაც ყველა ერთად ივარჯიშებდა? მაშინ სამასტერსო ოთხეულიც მათთან იქნებოდა და საბაზო შეკრებას ნაწილობრივ მაინც გაივლიდა. რაც მთავარია, გუნდის ლიდერები და სათადარიგო წევრები ერთად ივარჯიშებდნენ, ეს კი სამარქაფოებისთვის დიდი სტიმული, დაოსტატების კარგი საშუალება იქნებოდა. ვიმეორებთ - გვესმის, რომ ლიდერებს ახლა, საოლიმპიადოდ განსაკუთრებული გრაფიკი სჭირდებათ, მაგრამ ვფიქრობთ, „ოქროს შუალედის“ მოძებნაც შეიძლებოდა. ან ეს ვინ დაადგინა, რომ ბაკურიანი არ ვარგა სავარჯიშოდ და იქაურობას ევროპა სჯობია? რას ემყარება ასეთი დასკვნა, არის კი ამაზე სპეციალისტთა კვლევა, ანალიზი, თუ ეს ყველაფერი ავსტრიელის შეხედულებაა, რომელსაც ქართველები დაეთანხმნენ? ჩვენები ადრეც ბაკურიანში ემზადებოდნენ, მაგრამ არ იყო მედლები? ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ ევროპელებს არ აქვთ ბაკურიანი, მაგრამ განა ჩვენ მათზე ნაკლები შედეგები გვქონდა? ბუნებრივია, არ ვართ ევროპაში მომზადების კატეგორიული წინააღმდეგნი, მაგრამ მაინცდამაინც ავსტრიის ან შვეიცარიის ალპებში თუ არ ვვარჯიშობდით, იმიტომ არ შევქმენით ისეთი ოლიმპიური ისტორია, ჩვენზე ტერიტორიულად თუ ადამიანური რესურსით ბევრად დიდ ქვეყნებს წინ თუ არ ვუსწრებთ (თუმცა არც უამისობაა), არც ჩამოვრჩებით? სხვა თუ არაფერი, ამ შეკრებებისთვის ფული ისევ ჩვენთან დარჩება და საზღვარგარეთ არ წავა. იმ დროს, როცა ტურიზმი ქვეყანაში პრიორიტეტული დარგი ხდება და ქვეყანა ყველაფერს აკეთებს მისი პოპულარიზაციისთვის, ჩვენ რატომ მივდივართ საწინააღმდეგო მიმართულებით? სავარჯიშოდ შესაფერისი ბუნებრივი პირობები რომ არ გვქონდეს, ხმას არ ამოვიღებდით, ხოლო ახლა მით უფრო ვამახვილებთ ამაზე ყურადღებას, რადგან ამ ყველაფრის უკან ერთი კაცის - უცხოელის ახირება და პირადი ინტერესი ილანდება. ზაიზენბახერის საქციელი უკვე აშკარად ემსგავსება ფულის საკეთებლად ჩამოსული ევროპელის ქცევებს, რომელსაც რატომღაც ჩვენც ვეთანხმებით. ბოლო წლებში საქართველოში არაერთი ევროპელი მწვრთნელი გვინახავს, მათ შორის - ზოგი წარმატებული და თავისი საქმის მცოდნე, თუმცა ბევრის კვალიფიკაცია სერიოზულ ეჭვს იწვევდა. სამწუხაროდ, მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ასევე ფულის საკეთებლად ჩამოსულებს ჰგავდნენ, ბევრზე კი იმთავითვე დაირხა ხმები, რომ სპორტის იმ კონკრეტული სახეობების საერთაშორისო ფედერაციებმა შემოგვაჩეჩეს.

სამწუხაროდ, ზაიზენბახერიც ამ კონტექსტში ჯდება, იქნებ მას იაპონიიდან საქართველოს პირველობის შესახებ მართლაც ინტენსიური კონტაქტი ჰქონდა აქაურ მწვრთნელებთან, იქნებ კონკრეტული ფალავნების შეხვედრათა ვიდეოჩანაწერებიც გამოითხოვა (თუმცა ალალად გეტყვით - ამაში ეჭვი მეპარება), მაგრამ მაინც ისე ჩანს, რომ მას ქართული ძიუდოს შიდა სამზარეულო არ აინტერესებს და მხოლოდ ლოკალური პირადი ინტერესითაა შემოფარგლული - კაცმა ისეააწყო თავისი სამუშაო, მუდმივად ევროპის პრესტიჟულ ქალაქებსა და ტოკიოზე ნაკლებს აღარ კადრულობს (ამდენის ფუფუნება, მგონი, ჩვენს ნაკრებში დანიშვნამდე არ ექნებოდა), შედეგი კი არ არის (მსოფლიოს ჩემპიონატზე მოპოვებული ის ერთი მედალიც ირაკლი ცირეკიძის მონაპოვარი უფროა, რომელმაც არ დაუჯერა და მისი გეგმით არ ივარჯიშა). თუმცა მას წარუმატებლობისთვის პასუხსაც არავინ სთხოვს ანუ შექმნილი რეალობა უფრო ჩვენი ბრალია. აქ შეუძლებელია, კიდევ ერთხელ არ გავიხსენოთ ფეხბურთის მწვრთნელ **გელა სანაიას** სიტყვები, თბილისის „დინამოს“ ესპანელ თავკაც **ალექს გარსიაზე** რომ თქვა, ქართველ მწვრთნელს ამდენს არავინ აპატიებსო. თუმცა ფეხბურთის მოხმობა რად გვინდა, როცა იმავე ძიუდოში **შოთა ხაბარელი** მსოფლიოს გუნდურ პირველობაზე გამარჯვების შემდეგ მოხსნეს. მას ვერც ქართული ძიუდოსთვის არნახულმა მიღწევებმა უშველა, თუმცა ესეც არ აკმარეს და რაც ახლახან მოხდა, ყველამ კარგად იცის - ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის სპორტული დირექტორობიდანაც გადააყენეს... იქნებ საქმისადმი ასეთი დამოკიდებულების გამოა, წინა ოლიმპიურ ციკლთან შედარებით ბევრად უკეთესი დაფინანსების პირობებში უფრო ცუდი შედეგი რომ გვაქვს დიდი ტურნირების ოქროს მედლებისა თუ ოლიმპიური ლიცენზიების მხრივ.



**ირაკლი თავაძე**

წყალბურთი



მარცხნიდან: ალექსანდრე ნიკოლაიშვილი, დავით ნამგალაური, ალექსანდრე ბითაძე და რევაზ ჩომახიძე

# ევროპელ ახალგაზრდებს თბილისი შეკრებს

განვლილი წელიწადი ქართული წყალბურთისთვის ფრიად მნიშვნელოვანი იყო, თუნდაც მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე: 1993 წელს დაბადებულ წყალბურთელთა ნაკრებმა (მთავარი მწვრთნელი **რევაზ ჩომახიძე**) წარმატებით დაძლია შესარჩევი ტურნირი და ფინალურ ეტაპზე მოხვდა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლიგამუსმა“ თბილისის საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ გამართული ევროლიგის პირველი ეტაპი გადალახა და მეორე რაუნდში მონაწილეობის უფლება მიიღო; ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის 18 საუკეთესო გუნდში მოხვდა, მაგრამ დასკვნითი ეტაპისკენ მიმავალი გზა ორრაუნდიან მატჩში უფრო გამოცდილმა და ევროელიტაში შემავალმა რუმინელებმა გადაუკეტეს. რაც შეეხება ჭაბუკ წყალბურთელებს, სერბეთის ღია პირველობაზე თანატოლებთან პაექრობაში ნახევარფინალამდე მიაღწიეს.

სწორედ, ამ წარმატებებზე ითქვა გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში, სადაც წყალბურთელებმა განვლილი სეზონი შეაჯამეს. მასმედიის წარმომადგენელთა წინაშე წარდგნენ საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **ალექსანდრე ბითაძე,** ვიცე-პრეზიდენტი **ალექსანდრე ნიკოლაიშვილი,** ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **რევაზ ჩომახიძე** და სპორტის მინისტრის მოადგილე **დავით ნამგალაური.**

**ალექსანდრე ბითაძე:** „წარმატებული სეზონი გვქონდა და ეს შესაძლებელი გახდა სახელმწიფოს, თბილისის მერიის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტის სამინისტროს თანადგომითა და დახმარებით. თუნდაც ის რად ღირს, რომ სამი წლის წინათ წყალბურთში თუ სამასამდე მოზარდი ვარჯიშობდა, დღეს მათი რიცხვი 1200-მდე აღწევს. საკმაოდ ამაღლდა ქართული წყალბურთის საერთაშორისო პრესტიჟიც. დასტურად ისიც გამოდგება, რომ ევროპის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციამ 9 ქვეყანას შორის გამოგვარჩია და ახალგაზრდა წყალბურთელთა კონტინენტის 2014 წლის პირველობის ფინალური ეტაპის მასპინძლობა გვანდო, სადაც 16 გუნდი იასპარეზებს.

მომავალი სეზონიც საინტერესო და დაძაბული იქნება, განსაკუთრებით მოზარდებისთვის. 1995-1996 წლებში დაბადებულთათვის სახელოვანი წყალბურთელის ნოდარ გვახარიას თასის მე-2 გათამაშებას ვუმასპინძლებთ. ამ საერთაშორისო ტურნირში 4 ან 6 გუნდი იასპარეზებს. ყაზახებმა და თურქებმა უკვე გამოთქვეს სურვილი, სხვებისგანაც ველით პასუხს. რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, აქ აუცილებლად მოხდება გადახალისება. ამ პროცესის დაჩქარება ახალგაზრდული გუნდის ევროპის პირველობაზე გამოსვლის შედეგზეა დამოკიდებული. იანვარში ჰოლანდია ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს, რომელშიც 12 გუნდი იასპარეზებს, იქიდან საუკეთესოები კანადაში ლონდონის ოლიმპიური თამაშების საგზურებისთვის იბრძოლებენ, ამიტომ 2012 წლის 3-4 თვის განმავლობაში საერთაშორისო ტურნირები შეზღუდული იქნება. აქედან გამომდინარე ჯერჯერობით ის ვიცით მხოლოდ, რომ ჩვენი ეროვნული ნაკრები ივნისში თბილისის თასზე გამოვა, სადაც 3 ან 5 უცხოური გუნდის მონაწილეობაც იგეგმება“.

**რევაზ ჩომახიძე:** „ჩვენთვის სასიამოვნო ისიც არის, რომ საქართველოში წყალბურთის გეოგრაფია იზრდება: გაისად 1996-1997 და 1998-1999 წლებში დაბადებულთა საქართველოს პირველობებზე თბილისელებთან ერთად ქუთაისელი, ბათუმელი და საჩხერელი მოზარდებიც გამოვლენ. 1993-1995 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა ნაკრები მარტში ევროპის პირველობის შესარჩევ ეტაპზე მოსინჯავს ძალებს. სად და ვისთან იპაექრებს, ეს იანვარ-თებერვალში გაირკვევა. თუ ამ ეტაპს გადავლახავთ, სექტემბერში დასკვნით სტადიაზე საფრანგეთში გავემგზავრებით.

ძალიან მიხარია, რომ ახალგაზრდები ჩვენი სახეობისადმი სერიოზულ ინტერესს იჩენენ. შეიძლება ითქვას, რომ მოდის თაობა, რომელსაც ქართული წყალბურთის უწინდელი ტრადიციების აღდგენა შეუძლია. ეს კი გარკვეულწილად სამომავლო წარმატებების წინა პირობაა“.

**დავით ნამგალაური:** „სწორი ნაბიჯი გადავდგით, როცა წყალბურთის განვითარებაზე ზრუნვა სერიოზულად დავიწყეთ და ამ საქმეში ჩავრთეთ გამოცდილი ვეტერანი წყალბურთელები, რომლებიც სპორტის ამ სახეობის განსავითარებლად სერიოზულად ზრუნავენ. ახალგაზრდების ევროპის 2014 წლის პირველობის მასპინძლობის უფლების მოპოვებაც გარკვეულწილად ამის შედეგია. ამიტომაც სახელმწიფოს მხრიდან ქართული წყალბურთის თანადგომა და დახმარება აუცილებლად გაგრძელდება“.

**ვაჟა დანელია**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ჭადრაკი

# მესამე საფეხურზე აინაცვლეს

მარდინში მოჭადრაკე ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის მე-5 ტურში საქართველოს ნაკრებმა მნიშვნელოვანი 2 ქულა მოიპოვა – 3:1 დაამარცხა შეჯიბრების ერთ-ერთი აუტსაიდერი საბერძნეთის გუნდი და გათამაშების ცხრილის მესამე საფეხურზე აინაცვლა. ამ საქმეში ჩინელებმაც შეგვაშველეს ხელი: უპირველესი კონკურენტი – რუსეთის ტიტულოვანი ეროვნული ნაკრები 4:0 გაანადგურეს (აზიელებმა ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს პირველ ჩემპიონატშიც მსგავსი ანგარიშით სძლიეს, შარშანწინ კი ფრეს (2:2) დასჯერდნენ).

**მე-5 ტურის შედეგები: საბერძნეთი - საქართველო 1:3** (ელენა დემბო - ნანა ძაგნიძე 0:1, მარინა მაკროპულუ - ლელა ჯავახიშვილი 0,5:0,5, ეკატერინი ფახირიდუ - ბელა ხოტენაშვილი 0:1, ეკატერინი პავლიდუ - სალომე მელია 0,5:0,5), **რუსეთი-ჩინეთი 0:4** (ნადეჟდა კოსინცევა - ჰოუ იფანი 0:1, ტატიანა კოსინცევა - ცზიუ ვენძიუნი 0:1, ალექსანდრა კოსტენიუკი - ჟაო სიუ 0:1, ვალენტინა გუნინა - თან ჟონი 0:1), **ვიეტნამი-ინდოეთი 0:4** (ნუგენ ლე ტაო - ჰამფი კონერუ 0:1, ჰოანგ თი ბაო თრამი - ჰარიკა დრონავალი 0:1, ნგუენ თი მაი ჰუნგი - ტანია საჩდევი 0:1, ჰოანგ თი ნჰუ ი - როუთ რადმინი 0:1), **სომხეთი - თურქეთი 3,5:0,5** (ელინა დანიელიანი - ბეთულ ილდიზი 1:0, ლილით მკრტჩიანი - კუბრა ოზთურქი 0,5:0,5, ლილით გალოიანი - კარდელენ ქემჰანი 1:0, მარია კურსოვა - იისიმ პატელი 1:0), **სამხრეთ აფრიკა - უკრაინა 0:4** (სესილ ვან დერ მერვე - ანა უშენინა 0:1, ანზელ სოლომონსი - მარია მუზიჩუკი 0:1, დენის ფრიკი - ინა გაპონენკო 0:1, ლორენ ვან ნიეკერი - ტატიანა ვასილევიჩი 0:1).

ხუთი ტურის შემდეგ: ჩინეთი-10 (17,5), ინდოეთი-9 (17), **საქართველო-7 (12,5),** რუსეთი-6 (9,5), უკრაინა-5 (12), სომხეთი-4 (9,5), ვიეტნამი-4 (8), თურქეთი-4 (8), საბერძნეთი-1 (5), სამხრეთ აფრიკა-0 (1).

დღეს მოჭადრაკეები დაისვენებენ, ხვალ კი მე-6 ტურის პარტიები გაიმართება. ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: **უკრაინა - საქართველო,** ჩინეთი - საბერძნეთი, ინდოეთი - რუსეთი, თურქეთი - ვიეტნამი, სამხრეთ აფრიკა - სომხეთი.

**ვაჟა დანელია**

# საგზურები დღეს განაწილდება

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში ფინიშამდე ორი ტურით ადრე 5,5-5,5 ქულით სამი მოჭადრაკე მეწინავეობდა, გუშინდელი ტურის შემდეგ ერთპიროვნულად კვლავ ზურაბ ჯავახაძე დაწინაურდა, რომელმაც თეთრი ფიგურებით გაიოზ ნიგალიძე დაამარცხა, გიგა ყუფარაძე და დავით ლომსაძე კი დაზავდნენ. უმაღლესი ეშელონის საგზურების მოპოვების შანსის მქონეთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ზვიად ფაცია - შოთა აზალაძე 1:0, ბაჩანა მორჩიაშვილი - ივერი ჭილაძე 0:1, გიორგი სიბაშვილი - ირაკლი ბერაძე 0:1, თამაზ გუგულაშვილი - მიხეილ ჭიპაშვილი 1:0, ივანე სიფრაშვილი - ნიკა ვოლკოვი 1:0, ჯამბულ მახარაძე - ალეკო მანაშვილი 0:1.

ბოლო ტურის წინ: ჯავახაძე - 6,5, ჭილაძე, ლომსაძე, ფაცია, ყუფარაძე - 6-6, სიფრაშვილი, ბერაძე, გუგულაშვილი - 5,5-5,5, ნიგალიძე, მორჩიაშვილი, აზალაძე, სიბაშვილი, მანაშვილი, ხელაია, ნადირაშვილი - 5-5 ქულა.

დღეს ბოლო ტურში ითამაშებენ: ჭილაძე - ჯავახაძე, ლომსაძე - ფაცია, ყუფარაძე - სიფრაშვილი, ბერაძე - გუგულაშვილი, ნიგალიძე - მორჩიაშვილი, აზალაძე - სიბაშვილი, მანაშვილი - ხელაია, ნადირაშვილი - გავაშელი.

**ვაჟა დანელია**

ქართული სპორტი

# რეგიონი. ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

● კრივი. ინტერვიუ რომან თავაძესთან და მერაბ თურქაძესთან


მერაბ თურქაძე


რომან თავაძე

## შიდაკონკურენცია, შემდეგ ოლიმპიადის ლიცენზია

**ბოლო წლებში ქართულ კრივში რამდენიმე ახალგაზრდა მოკრივე გამოჩნდა, რომლებზეც სპეციალისტები სამომავლოდ დიდ იმედებს ამყარებენ. დღეს ორ მათგანს რომან თავაძეს (75კგ) და მერაბ თურქაძეს წარმოგიდგენთ (56კგ), რომლებმაც დეკემბრის დასაწყისში ზუგდიდში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე პირველი ადგილი დაიკავეს და საქართველოს ნაკრებში დამკვიდრებასა და ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვებას გეგმავენ.**

**- რომან, 2007 წელს ჭაბუკებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდი. მაშინ ყველა დიდ მომავალსა და წარმატებებს გიწინასწარმეტყველებდა, თუმცა შემდეგ რინგზე კარგა ხანი არ გამოჩენილხარ, რა იყო ამის მიზეზი?**

- აზერბაიჯანში ვერცხლის მედლის მოპოვების შემდეგ, სამწუხაროდ, როგორც მე მსურდა, ყველაფერი ისე არ განვითარდა. ტრავმებს ღვიძლის გადიდებაც დაერთო და დიდი დრო გამიცდა. ღვთის წყალობით, ავადმყოფობა დავძლიე და რინგს დავუბრუნდი. ფორმის აღსადგენად ბევრი ვიმუშავე და წლეულს პირველად გავხდი საქართველოს ჩემპიონი.

**- გაგიჭირდა პირველობის მოპოვება?**

- საკმაოდ ძლიერი მოწინააღმდეგეები მყავდა. განსაკუთრებით ფინალში გამიჭირდა, გორელმა ნიკა სეხნიაშვილმა დიდი წინააღმდეგობა გამიწია, თუმცა საბოლოოდ გამარჯვება მე დამრჩა.

**- 75კგ-ში ფავორიტად ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი ჯაბა ხოსიტაშვილი ითვლება, რომელსაც წლევანდელ ჩემპიონატზე არ უასპარეზია. ასეთი კონკურენციის პირობებში შეძლებ საქართველოს ნაკრებში ადგილის დამკვიდრებას?**

- ჯაბა ხოსიტაშვილი ძლიერი მოკრივეა, სწორედ მასთან მექნება გადამწყვეტი ბრძოლა ნაკრებში ადგილის მოსაპოვებლად და სალიცენზიო ტურნირებზე წასასვლელად. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ ხოსიტაშვილმა წონა შეიცვალოს და 81 კგ-ში გადაინაცვლოს. ასე იქნება თუ ისე, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჯერ შიდაკონკურენცია დავძლიო, შემდეგ კი ღირსეულად ვიასპარეზო და ოლიმპიადის ლიცენზია მოვიპოვო. სწორედ ეს არის ჩემი მიზანი.

**- ამისთვის მზად ხარ?**

- ამას მწვრთნელი შეაფასებს. იქნება ერთობლივი წვრთნები, სპარინგები, ტურნირები და იქ გამოჩნდება, ვარ თუ არა მზად მაღალ დონეზე საასპარეზოდ. 15 იანვარს ბაკურიანში შეკრება დაგვეწყება, შემდეგ კი ბულგარეთში მივემგზავრებით, სადაც ერთობლივ წვრთნებსა და საერთაშორისო ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას. საბოლოოდ სწორედ იქ შეირჩევა ის მოკრივეები, რომლებიც ეროვნული გუნდის შემადგენლობაში გაისად ლონდონის ოლიმპიური საგზურის მოსაპოვებლად იბრძოლებენ.

**- ამჟამად სად ვარჯიშობ?**

- ქუთაისში, ჩემი მწვრთნელები კუკური შავგულიძე და გია ქოჩიშვილი მამზადებენ. საქმეს გულმოდგინედ ვეკიდები და, იმედია, გამიმართლებს. კრივში ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვება ძალიან რთულია, ჩემს წონაში რამდენიმე ძლიერი მოკრივეა დარჩენილი ულიცენზიოდ და ძნელი იქნება მათთან ჭიდილი, მაგრამ ჯერ მთავარია, თურქეთში სალიცეზიო ტურნირზე მოვხვდე.

**მერაბ თურქაძე:** ქუთაისში, მეც კუკური შავგულიძისა და გია ქოჩიშვილის ხელმძღვანელობით ვვარჯიშობ. წლეულს მეხუთედ გავხდი საქართველოს ჩემპიონი, საერთაშორისო ასპარეზზე კი ჯერჯერობით ყველაზე დიდი წარმატება ბაქოში, ალიევის სახელობის ტურნირზე მოპოვებული მე-3 ადგილია.

**- როგორც ვიცით, ტრავმები გაწუხებდა, რის გამოც რამდენიმე ტურნირი გამოტოვე...**

- ხელის ტკივილის გამო დიდი დრო გამიცდა. მსოფლიოს ჩემპიონატზეც ამიტომ ვერ წავედი. საბედნიეროდ, ტრავმა უკვე მოვიშუშე და ძველებური კონდიციებიც აღვიდგინე.

**- საქართველოს ჩემპიონატსა და შენს კონკურენტებზე რას გვეტყვი?**

- მაღალი დონის ჩემპიონატი იყო. ძლიერი მეტოქეები მყავდა, მაგრამ მეც კარგად ვიყავი მომზადებული. წონის ფავორიტი თბილისელი ალეკო ჭადაშვილი ნახევარფინალში დავამარცხე. ფინალში კი ფოთელ გიორგი გოგატიშვილს მოვუგე.

**- საქართველოს ნაკრები საბოლოოდ ბულგარული შეკრებისა და ტურნირის შემდეგ დაკომპლექტდება, როგორ ფიქრობ, შეძლებ ნაკრებში ადგილის დამკვირებას?**

- ადრე მქონდა ასეთი შემთხვევა, საქართველოს ჩემპიონობა მოვიპოვე, მაგრამ ნაკრებში სხვა მოხვდა. სპორტია და, სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები ხდება ხოლმე, ამიტომ, მოდუნების უფლება არ მაქვს. ბევრს ვვარჯიშობ, თავს არ ვზოგავ და იმედია, შრომა ნაყოფს გამოიღებს. ჩემი მთავარი მიზანი ლონდონის ოლიმპიადაზე მოხვედრაა. ვიცი, ამის მიღწევა ძალიან რთულია, მაგრამ თუ ბევრს ვიმუშავებ და ცოტა იღბალიც ჩემს მხარეს იქნება, შეუძლებელი არაფერია.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

● თავისუფალი ჭიდაობა

## ტურნირი საგარეჯოში

საგარეჯოში ტრადიციად იქცა გამოჩენილი საგარეჯოელი მოჭიდავეების სხვადასხვა რანგის სახელობითი თუ მემორიალური ტურნირები. ერთ-ერთი სახელგანთქმული მოჭიდავე, რომლითაც ამაყობენ საგარეჯოელები არის გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების საბჭოთა კავშირის პირველობების პრიზიორი, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული, საქართველოს ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი **ტარიელ როსტომაშვილი,** რომლის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ამ დღეებში გაიმართა საგარეჯოს საჭიდაო დარბაზში. მონაწილეობდნენ აჭარის, დედოფლისწყაროს, თბილისის, გურჯაანის, სოფ. გამარჯვების, ყვარლის და საგარეჯოს ჭაბუკები ორ ასაკობრივ ჯგუფში.

### გამარჯვებულები და პრიზიორები

#### 1999-2001 წლებში დაბადებულები

**20 კგ.** 1. გიორგი ნაჭყებია, 2. გიორგი იორამაშვილი (ორივე - თბილისი), 3. ბექა არაბული (გამარჯვება), გიორგი კომშიაშვილი (ყვარელი).

**23 კგ.** 1. შამილ გაჯიევი (ყვარელი), 2. ოთარი ასთავიშვილი (საგარეჯო), 3. შალვა ლუაშვილი (ყვარელი), გიგა დოლენჯაშვილი (საგარეჯო).

**26 კგ.** 1. დავით ქქალაშვილი, 2. მირზა გაჯიევი (ორივე - ყვარელი), 3. ვასილ დილმელაშვილი (საგარეჯო), შიო გვრიტიშვილი (ყვარელი).

**29 კგ.** 1. მიხეილ ბერძენიშვილი (ყვარელი), 2. სიმონ ბერიძე (აჭარა), 3. დავით იორამაშვილი (თბილისი), გიორგი შათირიშვილი (საგარეჯო).

**32 კგ.** 1. თორნიკე ასაბაშვილი (ყვარელი), 2. ლაშა ჩახმახაშვილი (საგარეჯო), 3. ნიკა კევლიშვილი (საგარეჯო), ლაშა ფუტკარაძე (აჭარა).

**35 კგ.** 1. ზელიმხან საიდოვი (ყვარელი), 2. ომარი ასაბაშვილი (საგარეჯო), 3. ლაშა ფილიშვილი (ყვარელი), გიორგი მაჩხიძე (თბილისი).

**38 კგ.** 1. გიორგი ბურჯანაძე, 2. სოსო გილაშვილი, 3. თორნიკე როსტიაშვილი (სამივე - საგარეჯო), ბესო ქობელიშვილი (თბილისი).

**42 კგ.** 1. მიხეილ ბოჭორიძე (საგარეჯო), 2. თამაზი ინასარიძე (დედოფლისწყარო), 3. ვალერი როსტიაშვილი (საგარეჯო), დავით ნასყიდაშვილი (ყვარელი).

**46 კგ.** 1. ნუკრი ვარშანიძე (აჭარა), 2. გიორგი ჩუნთიშვილი (საგარეჯო).

**47 კგ.** 1. ჰაბიბი გაჯიევი (ყვარელი), 2. დავით მარტაშვილი (საგარეჯო), 3. ლუკა ბეჟიტაშვილი (ყვარელი).

**53 კგ.** 1. გიორგი ხვედელიძე (გამარჯვება), 2. დავით ქოჩქიანი (თბილისი), 3. გიორგი ჩუნთიშვილი (საგარეჯო), თორნიკე კობახიძე (ყვარელი).

**+53 კგ.** 1. ბექა ჭიაბერაშვილი, 2. ირაკლი ბედიაშვილი (ორივე - საგარეჯო), 3. ოთარი კობიაშვილი (ყვარელი).

#### 1996-1998 წლებში დაბადებულები

**42 კგ.** 1. იაკობ შარაძე, 2. ედამ ბერიძე (ორივე - აჭარა), 3. გიორგი ნატროშვილი (დედოფლისწყარო), მიხეილ ბოჭორიძე (საგარეჯო).

**46 კგ.** 1. გიორგი პასიკაშვილი (საგარეჯო), 2. გელა ქოქიაშვილი (დედოფლისწყარო),

**50 კგ.** 1. ლერი გოგიტიძე, 2. არჩილ ქობულაძე (ორივე - აჭარა), 3. გიგლა შათირიშვილი (საგარეჯო).

**54 კგ.** 1. შოთა მუთიძე (აჭარა), 2. თომა რევაზიშვილი (საგარეჯო).

**58 კგ.** 1. ბექა ჭიაურელი (საგარეჯო), 2. ირაკლი მენთეშაშვილი, 3. ლუკა უსუნაშვილი (ორივე - დედოფლისწყარო), იმედა ქაშიაშვილი (გურჯაანი).

**66 კგ.** 1. მიხეილ შათირიშვილი (საგარეჯო), 2. გიორგი ჭიაბერაშვილი (საგარეჯო).

ტურნირის ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედ აღიარეს საგარეჯოელი **გიორგი პასიკაშვილი.** 2008 წლის ომში გმირულად დაღუპული **გიორგი კირაკოზაშვილის** სახელობის პრიზი, რომელიც საგარეჯოს რაიონის სოფ. დიდი ჩაილურის რწმუნებულმა **აჩიკო დიდებულიძემ** დააწესა, გადაეცა **ლერი გოგიტიძეს** (აჭარა).

- მისასალმებელი და მისაბაძია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რაიონული ორგანიზაციის და საგარეჯოს კომპლექსური სასპორტო სკოლის, მისი დირექტორის თემურ კურდღელაშვილის თაოსნობა, ტრადიციული გახადონ წარსულში გამოჩენილი საგარეჯოელი მოჭიდავეების სახელობითი თუ მემორიალური ტურნირები, რომელიც, რაც დრო გადის, უფრო საინტერესო და მასობრივი ხდება, იზრდება მონაწილეთა რიცხვი. საგარეჯოში ალმავლობის გზაზეა თითქმის მივიწყებული თავისუფალი ჭიდაობა, რაშიც დიდია სპორტის მესვეურების, მწვრთნელების - რამაზი ასაბაშვილის, ბიჭიკო მარიდაშვილის, კობა საგინაშვილის, დავით ბუზარიაშვილის, დავით ბაბუნიძის წვლილი - გვითხრა წარსულში ცნობილმა საგარეჯოელმა მოჭიდავემ **მურთაზ ელერდაშვილმა.**

**ლევან თედიაშვილი** - ტურნირის მთავარი მსაჯი: - ჩვენი თაობის მოჭიდავეებისათვის, მათ შორის ტარიელ როსტომაშვილისთვისაც, მაგალითისა და სტიმულის მიმცემი იყო წინა თაობის ლეგენდარული საგარეჯოელი მოჭიდავეების არსენ მეკოკიშვილის, მიხა ქურხულის, შალვა გზირიშვილის და სხვათა წარმატებები. იმედია, ჩვენი თაობის სახელგანთქმული მოჭიდვეების მიღწევებიც სტიმული გახდება ტრადიციების გამგრძელებლებისთვის.

**თენგიზ კოტაშვილი,**
საგარეჯო, 2011, 21.XII


ტარიელ როსტომაშვილი

● ფოტომატიანე


ზესტაფონის გუნდი 1937 წელი



## წლის შემაჯამებელი ჟურნალი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დაკვეთით, ამ დღეებში გამოვა ყოველწლიური ჟურნალი „სპორტი და ახალგაზრდობა", რომლის გამოცემა ტრადიციად იქცა და წლის შედეგებს აჯამებს. ჟურნალის მომზადება-გამოცემაში ამჯერადაც აქტიურადაა ჩართული საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია (პრეზიდენტი **ელგუჯა ბერიშვილი**).

## კალენდარი 2012

2012 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი, რომელსაც ასევე ტრადიციულად სტამბურად გამოსცემს საქართველოს სპორტისა და ახალგაზარდობის საქმეთა სამინისტრო, სრულად მოიცავს როგორც ჩვენი ქვეყნის მასშტაბით გასამართ სპორტულ ასპარეზობებს, ისე ევროპის და მსოფლიო შეჯიბრებებს, ტურნირებს და, რაღა თქმა უნდა, ეპიცენტრშია ლონდონის ოლიმპიური თამაშები.

ამასთან, ეს გამოცემა წარმოადგენს ცნობარს, რომელშიც ასახულია, როგორც თვით სამინისტროს, ისე ქვეყნის ყველა სხვა სპორტული ორგანიზაციების, მათ შორის სპორტული ფედერაციების მონაცემები.

## სპორტი ყველასათვის ნათელ ფერებში

ყველაზე დინამიურად მზარდი და წამყვანი მობილური ოპერატორი საქართველოში, „ბილაინი" სპორტთან სერიოზულ დამეგობრებას აპირებს. მალე „ბილაინსა" და საქართველოს ეროვნულ ფედერაციას „სპორტი ყველასათვის" შორის გაფორმდება მემორანდუმი, რომლის თანახმად ეს ორი ორგანიზაცია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით იზრუნებს, რათა ნოვაციების დანერგვით მასობრივი სპორტი ხელმისაწვდომი გახდეს „ბილაინის" მრავალრიცხოვანი მომხმარებლისა და კომპანიის თანამშრომლებისთვის.

რუბრიკა მოამზადა
**თენგიზ თომაშვილმა**

## FM 107,9

**ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.**

**გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".**

სპორტული რადიო
ჯა — კო
Ja — Ko
FM 96.3

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სუპერლიგა. X ტურის რჩეულნი**






# სამი რეკორდი

სუპერლიგის მე-10 ტურმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა სწორი სელექციის შედეგი - **ლარი ბლერმა** 41 ქულა ჩააგდო, **ქიენ კარტერმა** - 19 მოხსნა მოაგროვა, ხოლო **ბენჟამენ ვუდსაიდმა** 14 პასი შეასრულა. სამივე მაჩვენებელი სეზონის რეკორდია, ოღონდ ვუდსაიდის შემთხვევაში რეკორდსმენის ნაცვლად სიტყვა „თანარეკორდსმენი" უნდა გამოვიყენოთ, რადგან ასევე 14 პასი ორჯერ მიითვალა „ოლიმპის" გამთამაშებელმა **ლაშა გამყრელიძემ**.

აქვე გეტყვით, რომ ბლერი შსს-ს ახალწვეულია, კარტერი - „დინამოსი", ხოლო ვუდსაიდი - „არმიასი". სამივე კალათბურთელი ტურის სიმბოლურ ნაკრებში შევიყვანეთ, ხოლო ბლერი ჟურნალისტების გამოკითხვაში ტურის საუკეთესოდ დასახელდა. ჩვენი არჩევნის ობიექტურობას ლარის მარგი ქმედების კოეფიციენტიც ადასტურებს - 40.

ძლიერ ლეგიონერებში გამოცდილი და ახალგაზრდა ქართველი კალათბურთელები რომ არ იკარგებიან, ამის დასტურად სწორედ მე-10 ტური გამოდგება. ეფექტურად ითამაშა სტუ-ს 19 წლის ფორვარდმა **ზურაბ მაჩალაძემ** (26 წუთში 17 ქულა, 16 მოხსნა. ასევე კარგად გაისარჯა მისი თანაგუნდელი **ზვიად ანთაძე** (27 ქულა), თუმცა მარგი ქმედების მაჩვენებელი მაჩალაძეს უფრო მაღალი ჰქონდა (31) და სიმბოლურ ნაკრებშიც ის შევიყვანეთ.

ვეტერანი **ლაშა კეშელავას** ნაყოფიერი თამაში „ბათუმის" პირველი გამარჯვების საწინდარი გახდა. ლაშამ 28 ქულა, 14 მოხსნა მოაგროვა და ზღვისპირელებს რუსთავში მოაგებინა.

| | |
|---|---|
| სტუ-დინამო | 97:81 |
| სოხუმი-არმია | 58:86 |
| შსს-თსუ | 113:85 |
| სამედიცინო-ოლიმპი | 71:78 |
| რუსთავი-ბათუმი | 85:93 |

## რეკორდები

**ქულა**

41 - ლარი ბლერი (შსს)
2-ქულ 11/21; 3-ქულ 4/8; საჯ 7/8
17.12.11 შსს-თსუ

**მოხსნა**

19 - ქიენ კარტერი (დინამო)
(მეტოქ: 9; საკუთ: 10)
17.12.11 სტუ-დინამო

**პასი**

14 - ლაშა გამყრელიძე (ოლიმპი)
29.10.11 შსს-ოლიმპი

14 - ლაშა გამყრელიძე (ოლიმპი)
10.12.11 დინამო-ოლიმპი

14 - ბენჟამენ ვუდსაიდი (არმია)
17.12.11 სოხუმი-არმია

**ჩაჭრა**

7 - რევაზ ჩაჩანიძე (რუსთავი)
29.10.11 სტუ-რუსთავი

7 - ნიკა რამიშვილი (ბათუმი)
11.11.11. ბათუმი-სოხუმი

**დაფარება**

6 - ილიცა მილუტინოვიჩი (ოლიმპი)
15.10.11 თსუ-ოლიმპი

6- ბექა ბექაური (სამედიცინო)
05.11.11. დინამო-სამედიცინო

**ქულა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაშა ფარღალავა | სოხუმი | 9 | 228 | 25.33 |
| 2 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 9 | 221 | 24.56 |
| 3 | რობერტ კრეპსი | შსს | 9 | 208 | 23.11 |
| 4 | ქიენ კარტერი | დინამო | 6 | 137 | 22.83 |
| 5 | თორნიკე ნინიაშვილი | თსუ | 9 | 190 | 21.11 |
| 6 | ბექა ჩიკვილაძე | სამედიცინო | 10 | 176 | 17.6 |
| 7 | ლევან ხმელიძე | რუსთავი | 9 | 157 | 17.44 |
| 8 | გიორგი ბარბაქაძე | ქუთაისი | 9 | 153 | 17 |
| 9 | ირაკლი მიქელაძე | ბათუმი | 9 | 139 | 15.44 |
| 10 | ნიკიტა სლიუკა | ოლიმპი | 9 | 139 | 15.44 |
| 11 | ავთანდილ ელიაშვილი | ბათუმი | 9 | 137 | 15.22 |
| 12 | ლაშა კეშელავა | ბათუმი | 9 | 137 | 15.22 |
| 13 | მიხეილ ბერიშვილი | ოლიმპი | 8 | 121 | 15.13 |
| 14 | ჯერემი რიჩარდსონი | არმია | 9 | 135 | 15 |

**მოხსნა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | მ.დაც | მ.შეტ. | მ.სულ | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქიენ კარტერი | დინამო | 6 | 43 | 49 | 92 | 15.33 |
| 2 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 9 | 27 | 76 | 103 | 11.44 |
| 3 | ილიცა მილუტინოვიჩი | ოლიმპი | 9 | 19 | 73 | 92 | 10.22 |
| 4 | თორნიკე ნინიაშვილი | თსუ | 9 | 30 | 59 | 89 | 9.89 |
| 5 | ზურა მაჩალაძე | სტუ | 9 | 31 | 54 | 85 | 9.44 |
| 6 | ლაშა კეშელავა | ბათუმი | 9 | 19 | 66 | 85 | 9.44 |
| 7 | ბექა ბექაური | სამედიცინო | 10 | 35 | 59 | 94 | 9.4 |
| 8 | ივო ჰოგერი | ოლიმპი | 8 | 34 | 35 | 69 | 8.63 |
| 9 | მიხეილ ბერიშვილი | ოლიმპი | 8 | 16 | 52 | 68 | 8.5 |
| 10 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 8 | 22 | 46 | 68 | 8.5 |

**პასი**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | პ | პ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი გამყრელიძე | ოლიმპი | 8 | 74 | 9.25 |
| 2 | მიხეილ ჩიტაშვილი | თსუ | 8 | 56 | 7 |
| 3 | დავით არწივიძე | რუსთავი | 9 | 59 | 6.56 |
| 4 | სანდიეტა გეინსი | არმია | 6 | 39 | 6.5 |
| 5 | ირაკლი მიქელაძე | ბათუმი | 9 | 50 | 5.56 |
| 6 | ლაშა ფარღალავა | სოხუმი | 9 | 48 | 5.33 |
| 7 | რობერტ კრეპსი | შსს | 9 | 41 | 4.56 |
| 8 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 8 | 36 | 4.5 |
| 9 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 8 | 35 | 4.38 |
| 10 | გივი ბაძრაძე | დინამო | 9 | 38 | 4.22 |
| 11 | დავით ბერიშვილი | თსუ | 8 | 32 | 4 |

**ჩაჭრა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი | 9 | 26 | 2.89 |
| 2 | რევაზ ჩაჩანიძე | რუსთავი | 9 | 24 | 2.67 |
| 3 | სანდიეტა გეინსი | არმია | 6 | 15 | 2.5 |
| 4 | შალვა კოხრეიძე | თსუ | 9 | 22 | 2.44 |
| 5 | ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 9 | 19 | 2.11 |
| 6 | ზურა მაჩალაძე | სტუ | 9 | 17 | 1.89 |
| 7 | გიორგი გულისაბედაშვილი | ოლიმპი | 9 | 17 | 1.89 |
| 8 | გიორგი გამყრელიძე | ოლიმპი | 8 | 15 | 1.88 |
| 9 | დუდა სანაძე | დინამო | 9 | 16 | 1.78 |
| 10 | მიხეილ ჩიტაშვილი | თსუ | 8 | 14 | 1.75 |

**დაფარება**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბექა ბექაური | სამედიცინო | 10 | 24 | 2.4 |
| 2 | ჟოლივეტ ტუჯანი | შსს | 9 | 13 | 1.44 |
| 3 | ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 9 | 13 | 1.44 |
| 4 | იოაკიმ შელბომი | არმია | 9 | 13 | 1.44 |
| 5 | სერგო ათუაშვილი | სოხუმი | 7 | 10 | 1.43 |
| 6 | ნემანია ილიჩი | სამედიცინო | 8 | 11 | 1.38 |
| 7 | ილიცა მილუტინოვიჩი | ოლიმპი | 9 | 12 | 1.33 |

**შეცდომა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | შ | შ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაშა ფარღალავა | სოხუმი | 9 | 41 | 4.56 |
| 2 | გიორგი გამყრელიძე | ოლიმპი | 8 | 33 | 4.13 |
| 3 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 8 | 32 | 4 |
| 4 | ირაკლი მიქელაძე | ბათუმი | 9 | 30 | 3.33 |
| 5 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი | 9 | 28 | 3.11 |
| 6 | ქიენ კარტერი | დინამო | 6 | 18 | 3 |
| 7 | გიორგი ხანიაშვილი | სტუ | 9 | 26 | 2.89 |
| 8 | მიხეილ ჩიტაშვილი | თსუ | 8 | 23 | 2.88 |
| 9 | ბექა ჩიკვილაძე | სამედიცინო | 10 | 26 | 2.6 |
| 10 | დავით არწივიძე | რუსთავი | 9 | 23 | 2.56 |

**16-წლამდელთა ნაკრები. ამხანაგური მატჩი**

# დიდი გზის კარგი დასაწყისი

**21 დეკემბერი,**
**კალათბურთის აკადემია**

**საქართველო-სომხეთი 54:45**

**16:7, 8:17, 17:11, 13:10**

**საქართველო:** ბობილევი (2ქ), გუგეშაშვილი (11ქ), ცინცაძე (2ქ), მგალობლიშვილი (11ქ), მაჭავარიანი (4ქ), მასხულია (9ქ), ტაბალუა (4ქ), რევაზაშვილი (6ქ), ემირიძე (1ქ), ისიანი (2ქ), ხალათიანი (2ქ), გოგალაძე.
**სომხეთი:** ჰაჯი-მინასიანი (16), სმირნოვი (10), გევორქიანი (9)...

**22 დეკემბერი**

**საქართველო-სომხეთი 73:30**

**13:4, 18:10, 18:9, 24:7**

**საქართველო:** ბობილევი (3ქ), ჩიჩუა, ცინცაძე (6ქ), მგალობლიშვილი, მაჭავარიანი (15ქ, 12მ), რევაზაშვილი (6ქ, 15მ), ემირიძე (10ქ), ისიანი (4ქ), ხალათიანი (14ქ), ლომიძე (8ქ), გოგოლაძე (7ქ).
**სომხეთი:** აივაზიანი (10ქ, 11მ)...

საქართველოს კადეტთა ნაკრებმა სომეხ თანატოლებთან ორი ამხანაგური მატჩი გამართა, პირველ შეხვედრაში 9-ქულიანი სხვაობით გაიმარჯვა, მეორეში კი ჰანდიკაპი გაცილებით დიდი იყო.

საკალათბურთო აკადემიის დარბაზში გამართული პირველი შეხვედრის საწყის 10 წუთში მასპინძლებმა - 16:7 მოიგეს. სომეხმა კალათბურთელებმა მეორე მეოთხედიდან თამაში გამოასწორეს და დიდი შესვენებისთვის ანგარიში გათანაბრდა – 24:24. მეორე ტაიმიდან საქართველოს ნაკრებმა სისწრაფეს და სიზუსტეს მოუმატა, რისი წყალობითაც საბოლოოდ 54:45 გაიმარჯვა.



ქართველთაგან 11-11 ქულით საუკეთესო შედეგი **საბა მგალობლიშვილმა** და **გიორგი გუგეშაშვილმა** აჩვენეს, **ლევან მასხულიამ** კი 9 ქულა მიითვალა.

როგორც გითხარით, **გია კაზანჯიანის** განვრთნილმა 16-წლამდელთა ნაკრებმა სომეხი თანატოლები მეორე სპარინგ-მატჩშიც დაამარცხა. თუ პირველ შეხვედრაში ქართველებს შედარებით გაუჭირდათ მეტოქის ძლევა (54:45), მეორეში ჩვენმა ნაკრებმა 43 ქულის სხვაობით გაიმარჯვა.

საქართველოს ნაკრებში ორმაგი დუბლით **სოსო მაჭავარიანი** გამოირჩა, რომელმაც 15 ქულა და 12 მოხსნა მიითვალა. სხვათა შორის, საქართველოს 16-წლამდელთა ჩემპიონატში მაჭავარიანი საშუალოდ მატჩში სწორედ 15 ქულასა და 12 მოხსნას აგროვებს. ყველაზე მეტი - 15 მოხსნა **მაიზერ რევაზაშვილმა** მიითვალა. ჩვენი ნაკრების კიდევ ერთი გამორჩეული მოთამაშე **იური ხალათიანი** გახლდათ, რომელმაც 14 ქულა ჩააგდო. ათქულიან ზღვარს **ირაკლი ემირიძემაც** მიაღწია.

ერთადერთი კალათბურთელი, რომელმაც სომხეთის ნაკრებში ათქულიან ზღვარს მიაღწია და თან ორმაგი დუბლი შეასრულა, **რაფიკ აივაზიანი** გახლდათ (10 ქულა და 12 მოხსნა).

გია კაზანჯიანი ამ შეხვედრებს 16-წლამდელთა ნაკრების კანდიდატთა შესარჩევად გამოიყენებს. მოგეხსენებათ, ჩვენს კადეტებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში (B დივიზიონი) უწევს თამაში. ჯგუფში საქართველოს მეტოქეები რუმინეთის, ჩერნოგორიის, ბოსნიისა და ესტონეთის ნაკრებები იქნებიან. ტურნირს 19-დან 29 აგვისტომდე რუმინეთის დედაქალაქი ბუქარესტი უმასპინძლებს.




**ლეგიონერი**

# ნიკარგია!

## ცქიტიშვილის ეფექტური დუბლი

**ნიკა ცქიტიშვილმა** ფეხის ტრავმა მოიშუშა და ჩვეულად ათამაშდა. თუმცა, მას არც ტრავმამდე ჰქონია ასეთი ეფექტური მატჩი - 26 ქულა და 13 მოხსნა.

იგი ირანის ჩემპიონატის გასულ ტურში „მაჰანთან" 81:70 მოგებულ შეხვედრაში „მაჰრამის" შემადგენლობაში საუკეთესო გახლდათ. ცქიტიშვილი სასტარტო ხუთეულში იყო და 36 წუთში ზემოთ აღნიშნულ 26 ქულასა და 13 მოხსნის გარდა 2 პასი, 2 ჩაჭრა და 3 დაფარება მიითვალა. ნიკამ 17-დან 8 ორქულიანი, 6-დან 2 სამქულიანი და 6-დან 4 საჯარიმო



ჩააგდო, ბურთი ოთხჯერ დაკარგა, 2 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ სამჯერ დაჯარიმდნენ.

„მაჰრამს" 12 მატჩიდან ყველა მოგებული აქვს და მდევარ „აზადს" 3 ქულით უსწრებს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ევროლიგა

# ჟალგირისი გაძვრა



ევროლიგაზე პირველი ჯგუფური ეტაპის ბოლო ტური ექვსი მატჩით გაიხსნა, თუმცა ინტრიგა მხოლოდ ერთ შეხვედრაში იყო - „ჟალგირისს“ საკუთარ მოედანზე უნდა დაემარცხებინა ხორვატიის „ზაგრები“ და B ჯგუფიდან მეოთხე საგზურს მოიპოვებდა.

მატჩი უკეთ „ზაგრებმა“ დაიწყო და მცირე უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ პირველ მეოთხედში „ჟალგირისმა“ ამას 20:3 გაქცევით უპასუხა და **სონი უიმსის** აქტიურობით 28:18 მოიგო პირველი ათწუთეული.

მეორე მეოთხედიც „ჟალგირისის“ უპირატესობით დაიწყო და ლიტვის ჩემპიონმა მორიგი გაქცევა მოაწყო - 13:2, რის შემდეგაც მასპინძელთა უპირატესობამ 20 ქულას გადააჭარბა.

„ზაგრებმა“ გაბრძოლება სცადა და მესამე და მეოთხე მეოთხედების მოგებაც შეძლო, მაგრამ ეს მხოლოდ იმისთვის აღმოჩნდა საკმარისი, რომ ხორვატულ კლუბს სხვაობა 11 ქულამდე შეემცირებინა.

„ჟალგირისმა“ 87:76 მოიგო და ცსკასთან, „პანათინაიკოსთან“ და „უნიკახასთან“ ერთად გავიდა მეორე ჯგუფურ ეტაპზე.

### B ჯგუფი

**პანათინაიკოსი–ბამბერგი 71:66**

12:22, 18:16, 26:15, 15:13

**პ:** დიამანტიდისი (14), ვუიუკასი (12), კაიმაკოგლუ (11+10 მოხსნა), სატო (9+7 მოხსნა), ბატისტი (8+8 მოხსნა).

**ბ:** სუპუტი (11+5 მოხსნა), რობერტსი (11), ტაკერი (10), პლიაისი (9+8 მოხსნა), სლოფტერი (9+7 მოხსნა).

**ჟალგირისი–ზაგრები 87:76**

28:18, 18:11, 20:21, 21:26

**ჟ:** უიმსი (20), პოპოვიჩი (!7), იანკუნასი (12+8 მოხსნა), იავტოკასი (10), კალნიეტისი (9+7 პასი+5 მოხსნა).

**ზ:** კასუნი (20+8 მოხსნა), ბაბიჩი (17), მეი (15+6 მოხსნა), რანჩიჩი (12+4 პასი), მულაომეროვიჩი (10+4 პასი).

**უნიკახა–ცსკა 83:91**

23:22, 18:22, 22:27, 20:20

**უ:** ფრილენდი (16), ფიტჩი (16+6 მოხსნა+5 პასი), პერიჩი (16+7 მოხსნა+4 პასი), პეინი (12), ზორიჩი (12+8 მოხსნა).

**ც:** ტეოდოშიჩი (18+10 პასი), კრსტიჩი (14+6 მოხსნა), პონკრაშოვი (13), შვედი (12+4 პასი).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 10 | 0 | 141 |
| 2. პანათინაიკოსი | 7 | 3 | 95 |
| 3. უნიკახა | 4 | 6 | -17 |
| 4. ჟალგირისი | 4 | 6 | -49 |
| 5. ბამბერგი | 3 | 7 | -21 |
| 6. ზაგრები | 2 | 8 | -149 |

### D ჯგუფი

**ოლიმპია–უნიქსი 63:76**

11:25, 18:16, 12:13, 22:22

**ო:** ბლაჟიჩი (13+9 მოხსნა), სალინი (11+4 პასი), მოჩნიკი (11), ტომპსონი (10), როტბარტი (8+10 მოხსნა).

**უ:** დომერკანტი (16+5 მოხსნა), სავრასენკო (14), ლაიდეი (14), მაკარტი (13), გრირი (12).

**პროკომი–მონტეპასკი 53:79**

16:18, 7:19, 21:13, 9:29

**პ:** ჰრიცანიუკი (16+6 მოხსნა), ზამოისკი (12).

**მ:** არადორი (23+7 მოხსნა).

**ბარსელონა–გალათასარაი 79:50**

23:13, 28:17, 17:11, 11:9

**ბ:** გდონგი (16+6 მოხსნა+4 დაფარება), ლორბეკი (13+5 მოხსნა).

**გ:** ოზერი (11).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 9 | 1 | 194 |
| 2. მონტეპასკი | 8 | 2 | 83 |
| 3. უნიქსი | 7 | 3 | 46 |
| 4. გალათასარაი | 4 | 6 | -42 |
| 5. პროკომი | 1 | 9 | -125 |
| 6. ოლიმპია | 1 | 9 | -156 |

## ოლიმპიაკოსმა იარიჩი დაიმატა

ცნობილი მცველი, 33 წლის **მარკო იარიჩი**, რომელიც ამჟამად თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს, უახლოეს პერიოდში ბერძნული გრანდის - „ოლიმპიაკოსის“ რიგებში ჩაირიცხება.

როგორც ბერძნული პრესა იტყობინება, სერბმა ვეტერანმა უნდა შეცვალოს **ვასილის სპანულისი**, რომელიც რამდენიმე დღის წინ ფეხის ტრავმის გამო ერთი თვით გამოვიდა მწყობრიდან.

იარიჩმა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში შვიდი სეზონი ჩაატარა. ის ოკეანის გაღმა საშუალოდ 7.1 ქულასა და 3.6 შედეგიან პასს აგროვებდა. შარშან მსოფლიოს 2001 წლის ჩემპიონი იტალიის „მონტეპასკის“ ღირსებას იცავდა.

## ნიქსის ყოფილი ესპანეთში

ესპანური პრესის ინფორმაციით, „ნიუ იორკ ნიქსის“ ყოფილი შემტევი მცველი, 25 წლის **ენდი რაუტინსი** ესპანეთის ლიგის ბინადარ „ალიკანტეში“ გააგრძელებს კარიერას. ეს კალათბურთელი „ნიქსმა“ 2010 წლის დრაფტის მეორე რაუნდში აირჩია, მაგრამ ენდიმ მძიმე ტრავმის გამო ვერ შეძლო ნიუ-იორკულ კლუბში დამკვიდრება.

„ალიკანტეს“ ხელმძღვანელობის ჩანაფიქრით, რაუტინსმა სრულფასოვნად უნდა შეცვალოს ფორვარდი **კაილ სინგლერი**, რომელიც მადრიდის „რეალში“ გადავიდა.

რაუტინსმა NBA-ში მხოლოდ ხუთი მატჩის ჩატარება მოასწრო და საშუალოდ 4.8 წუთში 1.6 ქულა დააგროვა.

კალათბურთი

# კობი ერთ თვეს გამოტოვებს?

## ლეიკერსის ლიდერს მაჯის ტრავმა აწუხებს

ბრძელდება „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ლიდერის **კობი ბრაიანტის** პრობლემები. არ არის გამორიცხული, ლიგის ერთ-ერთმა მთავარმა ვარსკვლავმა ახალი სეზონის სტარტი გამოტოვოს, - წერია კალიფორნიული კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე.

ბრაიანტმა მარჯვენა ხელის მაჯა „კლიპერსთან“ საჩვენებელი მატჩის მესამე მეოთხედში დაიზიანა. ეს შეხვედრა ორშაბათს გაიმართა და ის „ლეიკერსმა“ 95:114 წააგო. სამედიცინო გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ გაწყვეტილია მაჯის ძვლების დამაკავშირებელი მყესები.

„ლეიკერსის“ ოფიციალური ვებგვერდი წერს, რომ ბრაიანტის დაბრუნება დღე-დღეზე შედგება, მაგრამ ქირურგ-ორთოპედის **რობერტ კლაპერის** აზრით, ამ ტრავმამ, შესაძლოა, 3-4 კვირა არ მისცეს ბრაიანტს მოედანზე გასვლის საშუალება.

*„თუ მყესების სრული განყვეტა დაფიქსირდა, ასეთი დაზიანების მკურნალობას მინიმუმ თვე სჭირდება. ხოლო მყესის დაჭიმვის შემთხვევაში სიტუაცია უფრო მარტივდება - ეს გაცილებით მსუბუქი ტრავმაა“*, - განაცხადა ESPN-თან კომენტარში კლაპერსმა.



კობის მაჯა სტკივა

# კლიპერსი–ლეიკერსი: 2:0

სწორედ ამ ტრავმის გამო ვერ ითამაშა კობიმ გუშინ „კლიპერსის“ წინააღმდეგ. ამ მატჩში „ლეიკერსს“ ზემოთ ხსენებული მარცხისთვის რევანშის აღების შანსი ჰქონდა, მაგრამ ისევ წააგო თანაქალაქელთან, რომელიც ახალ სეზონში ნებისმიერი მეტოქისთვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნება.

დიდი ხანი თამაში ქულა ქულაში მიდიოდა - სანამ „კლიპერსი“ მესამე მეოთხედში 11:0 არ გაიქცა და 74:62 არ დაწინაურდა. თუმცა მეოთხე 12-წუთეულის დასაწყისში „ლეიკერსმა“ თავისი სპურტით (14:4) უპასუხა მეტოქეს და სამი ქულით გავიდა წინ - 90:87 საფინალო სირენამდე 6 წუთით ადრე.

სწორედ აქ გაიბრწყინა მატჩის გმირმა **ბლეიკ გრიფინმა**. შარშანდელი სეზონის საუკეთესო დებიუტანტმა თავისი 30 ქულიდან ცხრა ბოლო ხუთ წუთში ჩააგდო და „კლიპერსს“ 108:103 გაამარჯვებინა.

ამჯერად მოკრძალებული წვლილი შეიტანა **ჩონსი ბილაპსმა**, რომელმაც რვა ქულა დააგროვა. კიდევ უფრო ნაკლები იყო **კრის პოლის** მონაგარი (7 ქულა), სამაგიეროდ, გამთამაშებელმა 10 შედეგიანი პასი მიითვალა.

შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვეს კიდევ ერთმა ახალწვეულმა **კერონ ბატლერმა** და სარეზერვო მცველმა **მო უილიამსმა** - თითოეულმა 16-16 ქულა დააგროვა. ამას **დეანდრე ჯორდანის** 14 ქულაც დაემატა. მოკლედ, „კლიპერსი“ მზად არის ახალი სეზონისთვის.

რაც შეეხება „ლეიკერსს“, მას ძალიან გაუჭირდება რეგულარულის სტარტზე. ბრაიანტის პრობლემებზე უკვე მოგახსენეთ. გარდა ამისა, სეზონის საწყის ხუთ მატჩს გამოტოვებს ძირითადი ცენტრი **ენდრიუ ბინუმი**. შარშანდელ პლეი ოფში, „დალასთან“ სერიის მეოთხე მატჩში **ხუან ხოსე ბარეას** წინააღმდეგ უხეშობისთვის ბინუმმა ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, რომლის ათვლა სწორედ ახლა იწყება. არადა, „კლიპერსთან“ ორ საჩვენებელ შეხვედრაში ენდრიუს მონაგარი 41 ქულა და 23 მოხსნა იყო.

■ ■ ■

ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია გუშინ „ორლანდოსა“ და „მაიამის“ შეხვედრამ. „ჯადოქრებმა“ კოშმარულად დაიწყეს მატჩი - თამაშიდან პირველი 12 (!) ტყორცნა ააცილეს და ამ ყველაფერმა ის გამოიწვია, რომ დიდი შესვენებისთვის „მაიამის“ უპირატესობა 14 ქულას შეადგენდა.

თავისიანების გამოფხიზლება თავის თავზე **გლენ დევისმა** აიღო, რომელმაც მესამე მეოთხედში 13 ქულა დააგროვა და მისი მონდომებით „ჰიტის“ უპირატესობა 4 ქულამდე დავიდა. შემდეგ კი „ორლანდომ“ თავისი საფირმო იარაღი - შორეული ტყორცნები აამოქმედა. თუ პირველი 13 სამქულიანი მიზანს ასცდა, შემდეგი 14 შორეული ტყორცნიდან რვა კალათში აღმოჩნდა. საბოლოოდ, „მეჯიქმა“ მეოთხე მეოთხედში გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწია და 104:100 გაიმარჯვა.



პოლი ფიშერს ებრძვის

**ორლანდო–მაიამი 104:100**

17:27, 25:29, 34:24, 28:20

**ო:** დევისი (18+5 მოხსნა), ჯ. რიჩარდსონი (15+3 ჩაჭრა), ჰოვარდი (15+9 მოხსნა), ნელსონი (14+10 პასი), რედიკი (8).

**მ:** ჯეიმსი (27), უეიდი (21+5 მოხსნა+4 ჩაჭრა), კოული (11), ენტონი (8).

**ნიუ იორკი–ნიუ ჯერსი 88:82**

21:26, 26:21, 18:17, 23:18

**ნ-ი:** ენტონი (21+8 მოხსნა), სტაუდმაიერი (15), დუგლასი (13+8 მოხსნა), ჩენდლერი (8+12 მოხსნა).

**ნ-ჯ:** უილიამსი (21+7 პასი), ლოპესი (15+9 მოხსნა), ჯეიმსი (13+9 მოხსნა), პეტრო (9+10 მოხსნა), ბრუქსი (8+5 მოხსნა).

**ბოსტონი–ტორონტო 81:73**

22:13, 25:18, 20:22, 14:20

**ბ:** რონდო (17+6 პასი), ბასი (12), მური (11), ალენი (8+6 მოხსნა).

**ტ:** ბარნიანი (20), დეროზანი (16+10 მოხსნა), ბეილესი (12), დევისი (9+8 მოხსნა).

**მილუოკი–მინესოტა 84:85**

22:19, 23:21, 23:27, 16:18

**მილ:** გუდენი (15), მბა ა მუტე (14+3 ჩაჭრა), დანლივი (13), ჯენინგსი (9+5 მოხსნა+9 პასი).

**მინ:** ლავი (22+16 მოხსნა), ბიზლი (12), რიდნური (11+6 პასი), ლი (9+5 პასი), ელინგტონი (8).

**ნიუ ორლეანი–მემფისი 95:80**

26:28, 29:17, 21:16, 19:19

**ნ-ო:** კამანი (18), გორდონი (17), პონდექსტერი (14+12 მოხსნა), სმიტი (12).

**მ:** გეი (20+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), რენდოლფი (15+8 მოხსნა), პარგო (9), კონლი (9+6 პასი), ალენი (8).

**სან ანტონიო–ჰიუსტონი 97:95**

30:24, 21:29, 27:19, 19:23

**ს-ა:** დანკანი (19+5 პასი), პარკერი (15+5 პასი), ჯეფერსონი (9), ბლეირი (8+3 ჩაჭრა).

**ჰ:** მორისი (20), ლორი (10), ბადინგერი (10), ფლინი (8+6 პასი).

**იუტა–პორტლენდი 92:89**

26:30, 27:17, 20:20, 19:22

**ი:** მაილზი (17), ჯეფერსონი (15), ჰარისი (10), ევანსი (9), ჰოვარდი (8).

**პ:** ფელტონი (17+3 ჩაჭრა), მეტიუზი (15), ოლდრიჯი (15+11 მოხსნა), კროუფორდი (12+5 პასი), ბატუმი (12+5 მოხსნა).

**კლიპერსი–ლეიკერსი 108:103**

33:36, 20:20, 30:17, 25:30

**კ:** გრიფინი (30+6 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), უილიამსი (16), ბატლერი (16), ჯორდანი (14+7 მოხსნა), ბილაპსი (8), პოლი (7+10 პასი).

**ლ:** ბინუმი (26+11 მოხსნა), ბლეიკი (20), გასოლი (13+9 მოხსნა+5 პასი), უორლდ პისი (10), გუდლოკი (9), იბენქსი (8).

# ყველაზე საძულველი

ჟურნალ Forbes-ის ვებგვერდზე ჩატარდა საინტერესო გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც ფანების ყველაზე საძულველი კალათბურთელი გახლავთ „ნიუ ჯერსი ნეტსის“ ფორვარდი **კრის ჰემფრიზი**. ეს არჩევანი მეტწილად ამერიკელ ტელევარსკვლავზე **კიმ კარდაშიანზე** უიღბლო ქორწინებით აიხსნება. ამ წყვილმა მხოლოდ ერთი თვე გაძლო.

მეორე ადგილი დაიკავა „მაიამი ჰიტის“ ლიდერმა **ლებრონ ჯეიმსმა**, რომელიც შარშან სათავეში ედგა ამ სიას. მესამეზე იმყოფება „ლეიკერსის“ ლიდერი **კობი ბრაიანტი**.

■ ■ ■

Yahoo! Sports-ის ინფორმაციით, ცენტრმა **სამუელ დალემბერმა** ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ჰიუსტონ როკეტსთან“. ერთი წლის შემდეგ კლუბს ხელშეკრულების გაწყვეტის უფლება აქვს. პირველი სეზონისთვის კალათბურთელი 7 მილიონ დოლარს მიიღებს, კონტრაქტის გახანგრძლივების შემთხვევაში - კიდევ 7 მილიონს.

გასულ სეზონში დალემბერი „საკრამენტო კინგზში“ თამაშობდა, სადაც მისი სტატისტიკა 8.1 ქულასა და 8.2 მოხსნას უდრიდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი



კლოდ ჟირუ

# ლიდერი დაბრუნდა და მოიგო

ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარული ჩემპიონატის მორიგ სათამაშო დღის მთავარი მოვლენა იყო „ფილადელფიას" რიგებში სეზონის საუკეთესო ბომბარდირის **კლოდ ჟირუს** დაბრუნება. ფორვარდის ყინულზე გამოჩენა ტრიუმფული გამოდგა - ჟირუმ ოთხი ქულა მიითვალა, „ფლაიერზმა" კი „დალასი" დაამარცხა და შეწყვიტა ორმატჩიანი წაგებათა სერია. ახლა, „ფილადელფია" ლიდერობს აღმოსავლეთ კონფერენციას, ჟირუ კი 43 ქულით ერთპიროვნული ლიდერია ბომბარდირთა დავაში.

სეზონის შუა ნაწილისთვის გამოფხიზლდა „კოლორადო", რომელმაც შინ ზედიზედ მეშვიდე მატჩი მოიგო. დენვერელები „სენტ ლუისს" მასპინძლობდნენ და 3:2 გაიმარჯვეს. „ეველანში" 2:0-ს იგებდა, შემდეგ მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა, მეორე პერიოდის ბოლოსთვის კი მაკლემანმა გადამწყვეტი გოლი იზეიმა. ბოლო პერიოდში „კოლორადო" დაცვაში ჩადგა და მხოლოდ ერთი დარტყმა შეასრულა **ელიოტის** კარში. მასპინძლებმა მატჩის ბედი მთლიანად მეკარე **ჟან-სებასტიან ჟიგერს** გადააბარეს, რომელიც დამაჯერებლად მოქმედებდა და „კოლორადოს" კონფერენციაში მეცხრე ადგილზე გადასვლაში დაეხმარა.

კრიზისიდან ვერ გამოდის „კაროლინა", რომელმაც საკუთარ მოედანზე წააგო „ფინიქსთან" - 3:4. „ჰარიკეინზი", რომელიც კვლავაც **სკინერისა** და **პიტკანენის** გარეშე თამაშობს, მატჩის მსვლელობისას 3:1-ს იგებდა, მაგრამ „ფინიქსმა" მაინც გამოსტაცა ორი ქულა მეტოქეს და დასავლეთში მერვე ადგილზე გადაინაცვლა. აღვნიშნავთ მცველ **დევიდ რუნდბლადს**, რომელმაც ახალ გუნდში პირველი ქულა მიითვალა. „ფინიქსს" ცხრილში უფრო შორს წასვლა შეეძლო, მაგრამ ამისთვის „სან ხოსეს" ნაგება სჭირდებოდა, თუმცა „ზვიგენებმა" გუშინ 7:2 გაანადგურეს „ტამპა ბეი".

„შარქსმა" საწყის 15 წუთში ხუთი შაიბა გაიტანა - სამი მეკარე **გარონს** და ორი მის შემცვლელ **როლოსონს**. ორი გოლი ჩაიწერა აქტივში **ლოგან კუტურმა**, რომელიც **ჯო პაველსკისთან** ერთად „სან ხოსეს" საუკეთესო გოლეადორია. „ტამპამ" მხოლოდ **მურისა** და **სან ლუის** შაიბებით უპასუხა. ეს უკანასკნელი პირველად თამაშობდა მძიმე ტრავმის შემდეგ. „შარქსი" ისევ პირველია თავის დივიზიონში, „ტამპა ბეი" კი მე-13 ადგილზეა აღმოსავლეთში და ექვსი ქულით არის დაშორებული პლეი ოფის ზონას.

გრძელდება „მონრეალის" კრიზისი - „კანადიენსმა" ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო. კანადელებს „ჩიკაგო" იოლად გაუსწორდა - 5:1. კონფერენციაში ლიდერობისთვის ბრძოლაში „ბლეკჰოქსი" სამი ქულით უსწრებს „მინესოტას".

■ ■ ■

ტურის ცენტრალური შეხვედრა ვანკუვერში გაიმართა, სადაც სტუმრად „დეტროიტი" ჩავიდა. ამ მატჩის წინ გუნდები მეზობლად იყვნენ დასავლეთის ცხრილში და შესაბამისად, ორივეს უშუალო კონკურენტის დამარცხების დიდი სურვილი ჰქონდა.

საერთო ჯამში, „დეტროიტი" უკეთესად გამოიყურებოდა. **მაიკ ბებკოკის** შეგირდებს ერთხელაც არ დაურღვევიათ თამაშის წესი, მაგრამ უპირატესობის გამოყენება ვერ შეძლეს. „ვანკუვერი" კი ცალკეულ ეპიზოდებში იყო ძლიერი და იღბლიანი.

ასე მაგალითად, თავდაპირველად „კენაქსმა" 21 წამის ინტერვალში ორი შაიბა გაიტანა და სოლიდურ უპირატესობას დაეუფლა.

ამის შემდეგ „დეტროიტმა" ორჯერ შეამცირა მინიმუმამდე სხვაობა, მაგრამ ორივეჯერ „ვანკუვერმა" მოახერხა გაქცევა. მეორედ ასეთ მომენტს მესამე პერიოდის დასაწყისში ჰქონდა ადგილი, როცა მასპინძლები რიცხობრივ უმცირესობაში იყვნენ. **ჰანსენმა** გაარღვია „დეტროიტის" დაცვა და შემდეგ მის დარტყმულს **ედლერმა** დაამატა.

სტუმრებს ხელები არ ჩამოუშვიათ. ისინი აგრძელებდნენ იერიშებს, მაგრამ „ვანკუვერის" მეკარე **რობერტო ლუონგო** დამაჯერებლად გამოიყურებოდა და მეტოქეს წარმატებული შედეგის არანაირი იმედი არ დაუტოვა.

**კაროლინა-ფინიქსი 3:4**

**1:1, 2:1, 0:2**

**გოლები:** 0:1 რეი უიტნი-12 (ეკმან-ლარსონი-7, ჰანჟალი-14), 1:1 ტ. რუუტუ-11 (პონიკაროვსკი-5, ი. იოკინენი-16), 2:1 ნოდლი-1 (შპაჩეკი-6), 3:1 ტლუსტი-7 (ფოლკი-4, ჰარისონი-8), 3:2 კ. ო'რაილი-2 (რუნდბლანდი-4, ჩიპჩურა-4), 3:3 კლესლა-1 (კორპიკოსკი-7, ლენგკოუ-10), 3:4 კორპიკოსკი-9 (მორისი-7, რეი უიტნი-20).

**დალასი-ფილადელფია 1:4**

**1:2, 0:1, 0:1**

**გოლები:** 1:0 რაიდერი-12 (ლ. ერიქსონი-17, ბენი-21), 1:1 კ. ჟირუ-17 (იაგრი-18, ჰარტნელი-14), 1:2 სიმონდსი-11 (ტიმონენი-21, კ. ჟირუ-24), 1:3 იაგრი-11 (კ. ჟირუ-25, ტიმონენი-22), 1:4 მეზაროში-4 (კ. ჟირუ-26, ჰარტნელი-15).

**ჩიკაგო-მონრეალი 5:1**

**0:0, 2:1, 3:0**

**გოლები:** 0:1 ა. კოსტიცინი-10 (პლეკანეცი-20, დიასი-6), 1:1 ბრუნეტი-8 (პ. კეინი-25, სიბრუკი-9), 2:1 შარპი-18 (მარიან ჰოსა-23), 3:1 სტალბერგი-7 (ბიკელი-3), 4:1 ტეუვზი-20 (სიბრუკი-10), 5:1 ბიკელი-4 (სტალბერგი-13, პირი-2).

**კოლორადო-სენტ ლუისი 3:2**

**2:0, 1:2, 0:0**

**გოლები:** 1:0 რ. მჩასტნი-11 (ჰანვიკი-1, ელიოტი-3), 2:0 მაკლეოდი-2 (პორტერი-1, ჰეიდა-7), 2:1 ბეკსი-11 (კოლაიაკოვო-9), 2:2 კ. სტიუარტი-5 (ბერგლუნდი-6, პერონი-6), 3:2 მაკლემანი-6 (ბ. მელოუნი-2, შ. ო'ბრაიენი-10).

**ვანკუვერი-დეტროიტი 4:2**

**3:1, 0:1, 1:0**

**გოლები:** 1:0 ჰიგინსი-10 (რეიმონდი-4, ბიეკსა-13), 2:0 ჰოჯსონი-7 (ჰანსენი-8, მალორტა-7), 2:1 ბერტუცი-4 (ი. უაიტი-12, დაციუკი-24), 3:1 ბაროუზი-13 (დ. სედინი-26, ჰ. სედინი-31), 3:2 დ. მილერი-7 (ჰელმი-8, ქლირი-9), 4:2 ედლერი-6 (ჰანსენი-9).

**სან ხოსე-ტამპა ბეი 7:2**

**5:1, 0:0, 2:1**

**გოლები:** 1:0 ფერეირო-2 (ჯ. ტორნტონი-21, დ. ბოილი-14), 2:0 პაველსკი-14 (ბერნსი-6, ჯ. ტორნტონი-22), 3:0 დეჟარდენი-3 (ე. მიურეი-2), 4:0 კუტური-13 (მარლო-12, ქლოუ-13), 5:0 კუტური-14 (ჰანძუში-10, ქლოუ-14), 5:1 მური-3 (ბრიუერი-9), 6:1 ბერნსი-6 (ჰანძუში-11), 6:2 სან ლუი-10 (პურსელი-12), 7:2 მარლო-13.

# იაგრმა შენეჰანს გაუსწრო



იარომირ იაგრი

„ფილადელფია ფლაიერზის" ფორვარდმა **იარომირ იაგრმა** ჰოკეის ეროვნული ლიგის ყველა დროის საუკეთესო სნაიპერთა სიაში კანადელ **ბრენდან შენეჰანს** გაუსწრო.

გუშინ, ლეგენდარულმა ჩეხმა „დალასთან" მატჩში კარიერაში 657-ე შაიბა გაიტანა, ერთი გოლით ჩამოიტოვა უკან შენეჰანი და სიაში მე-11 ადგილზე გადავიდა.

„სტარზთან" შეხვედრაში იაგრმა საგოლე პასიც შეასრულა. მიმდინარე სეზონში ფორვარდის ანგარიშზე 29 ქულა მოდის (11 გოლი და 18 შედეგიანი პასი).

ჩეხ ლეგენდას რეგულარულ ჩემპიონატში 1628 ქულა (657+971) აქვს მოპოვებული და ამ მაჩვენებლით მეცხრე ადგილზე იმყოფებოდა. პლეი ოფში იარომირის ანგარიშზე 181 ქულა (77+104) მოდის.

NHL-ის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირია **უეინ გრეტცკი** - მან 2857 ქულით (894+1963) დაასრულა კარიერა.

| გოლეადორები | |
|---|---|
| 1. უეინ გრეტცკი | 894 |
| 2. გორდი ჰოუ | 801 |
| 3. ბრეტ ჰალი | 741 |
| 4. მარსელ დიონი | 731 |
| 5. ფილ ესპოზიტო | 717 |
| 6. მაიკ გარტნერი | 708 |
| 7. მარკ მესიე | 694 |
| 8. სტივ აიზერმანი | 692 |
| 9. მარიო ლემიე | 690 |
| 10. ლუკ რობიტაილი | 668 |
| 11. იარომირ იაგრი | 657 |
| 12. ბრენდან შენეჰანი | 656 |

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| ტოტენჰემი-ჩელსი | 1:1 |
| **ესპანეთის თასი** | |
| **1/16 ფინალი. II მატჩები** | |
| ვალენსია-კადისი | 4:0 (0:0) |
| ბარსელონა-ოსპიტალეტი | 9:0 (1:0) |
| **ჰოლანდიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ეინდჰოვენი-ვიტესი | 1:2 |
| ტვენტე-პსვ ეინდჰოვენი | 0:0 დ.დ. 1:2 |
| **პორტუგალიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ოლივეირენსე-ოლანენსე | 2:1 |
| სპორტინგი-მარიტიმუ | 3:0 |
| **თურქეთი** | |
| გენჩლერი-ბუიუქშეჰირი | 4:0 |
| ტრაბზონი-ორდუ | 4:1 |
| ბეშიქთაში-ქარაბუქი | 1:0 |
| გაზიანთეფი-ბურსა | 2:2 |
| **თურქეთის თასი** | |
| დიარბაქირი-გიუნგორენი | 0:1 |
| რიზე-ქორუმი | 6:0 |
| ბოლუ-ფეთჰიე | 5:1 |
| ქონია-ქონიასფორი | 5:1 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| **1/16 ფინალი** | |
| დიაგორასი-იანინა | 0:1 |
| კალამატა-აეკ | 0:1 |
| პანახაიკი-ოფი | 0:0 დ.დ. 0:1 |
| პანთრაკიკოსი-არისი | 1:2 |
| **ავსტრალია** | |
| სიდნეი-ადელაიდა | 2:2 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ეფესი-რეალი | 66:75 |
| ბილბაო-კახა ლაბორალი | 77:72 |
| კანტუ-ფენერბაჰჩე | 76:83 |
| ნანსი-ოლიმპიაკოსი | 74:79 |
| პარტიზანი-მილანი | 66:72 |
| შარლერუა-მაკაბი | 69:86 |
| **გერმანია** | |
| გისენი-ბრაუნშვაიგი | 62:63 |
| ლუდვიგსბურგი-ჰაგენი | 81:94 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ცსკა-ატლანტი | 2:4 |
| დინამო (მნ)-დინამო (რ) | 3:2 (ბ) |
| ლევ პოპრადი-სკა | 2:3 |
| **ავსტრია** | |
| ალბა-ზაგრები | 2:3 |
| ვენა-კლაგენფიურტი | 2:4 |
| ზალცბურგი-ვილახი | 1:4 |
| ზნოიმო-აკრონი | 2:1 (ბ) |
| ლინცერი-გრაცი | 4:1 |
| **დანია** | |
| კოპენჰაგენი-ოლბორგი | 1:2 |
| როდოვრე-ესბერგი | 1:0 |
| ფრედრიკშავნი-ოდენსე | 3:5 |
| ჰერნინგი-სონდერიისკი | 2:3 |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-ბისტრიცა | 1:3 |
| ნიტრა-ტრენჩინი | 2:4 |
| ზვოლენი-სკალიცა | 0:5 |
| სლოვანი-მარტინი | 3:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ტრშინეცი-კლადნო | 3:2 (ბ) |
| ულინი-ლიბერეცი | 5:3 |
| ბოლესლავი-ლიტვინოვი | 4:5 (ბ) |
| პლზენი-სლავია | 4:3 |
| ბრნო-პარდუბიცე | 1:2 (ო) |
| ბუდეიოვიცე-სპარტა | 1:4 |
| **შვეიცარია** | |
| დავოსი-ბილი | 3:1 |
| **შვედეთი** | |
| იურგორდენი-აიკ | 3:2 (ბ) |

## TV პროგრამა

**23 დეკემბერი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. XVII ტური. ტოტენჰემი-ჩელსი.
**12:00** გადაცემა - საფეხბურთო ლამე.
**13:00** იტალიის ჩემპიონატი. XVII ტურის მიმოხილვა.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. XVII ტური. უდინეზე-იუვენტუსი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XIX ტური. ლილი-ნიცა.
**18:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XIX ტური. ვალანსიენი-ლიონი.
**20:00** იტალიის ჩემპიონატი. XVII ტური. ინტერი-ლეჩე.
**22:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XVII ტური. ვალენსია-მალაგა.
**00:00** სუპერმატჩი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-იუვენტუსი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. X ტური. პარტიზანი-მილანი.
**14:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - World of Aquatic.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-რეალი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. მანსტერი-სკარლეტსი.
**18:45** სუპერკოლაჟი.
**19:00** ჩოგბურთის ვარსკვლავები. როჯერ ფედერერი. II ნაწილი.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-არსენალი.
**22:00** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი X ტურის მიმოხილვა.
**22:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 2011 წლის ფინალური მატჩები. გაელ მონფილსი-იარკო ნიემინენი. ბაშტადი. შვედეთი.
**00:15** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - World of Aquatic.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ცინცინატი. აშშ.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულემი-მანჩესტერ იუნ.
**15:00** სპორტ-NEWS.
**15:30** ჩოგბურთის ვარსკვლავები. როჯერ ფედერერი. II ნაწილი.
**16:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ცინცინატი. აშშ.
**17:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კალიარი-მილანი.
**19:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ცინცინატი. აშშ.
**22:15** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. მანსტერი-სკარლეტსი.
**00:05** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი X ტურის მიმოხილვა.
**00:50** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.

## ჩოგბურთი

# ახალი პრეზიდენტი

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციას ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ამ ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა ყოფილი ჩოგბურთელი და ATP-ის ერთ-ერთი ტოპმენეჯერი **ბრედ დრიუეტი**. ის ასოციაციის პრეზიდენტის სავარძელს 2012 წლის პირველი იანვრიდან დაიკავებს.

53 წლის ავსტრალიელი ფარული კენჭისყრის წესით სამი წლის ვადით აირჩიეს ATP-ის პრეზიდენტად. 1999 წლიდან მოყოლებული დრიუეტი ATP International Group-ის გენერალურ დირექტორად მუშაობდა და ორგანიზაციის მუშაობას კურირებდა ახლო აღმოსავლეთში, აზიასა და ოკეანეთში. მანამდე ის მოთამაშეთა საბჭოში შედიოდა. გარდა ამისა, 2001 წლიდან დრიუეტი წლის შემაჯამებელი ტურნირის დირექტორი იყო.

12-წლიანი პროფესიული კარიერის განმავლობაში დრიუეტმა ორი ტიტული მოიპოვა, მსოფლიოს რეიტინგში კი მისი უმაღლესი პოზიცია 34-ე ადგილი იყო. ის დევისის თასზე ავსტრალიის ნაკრებს წარმოადგენდა. იუნიორებს შორის ორჯერ მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა, ხოლო პროფესიულ კარიერაში ერთხელ ამავე ტურნირის მეოთხედფინალში ითამაშა.

*„მოხარული ვარ, რომ ATP-ის ხელმძღვანელობის საშუალება მომეცა. ეს ის ორგანიზაციაა, რომლის ნაწილი იმ დღიდან ვარ, როცა პროფესიონალი ჩოგბურთელი გავხდი,* - ამბობს ATP-ის ოფიციალურ ვებგვერდზე დრიუეტი. - *ATP World Tour და მთლიანად მამაკაცთა ჩოგბურთი დღეს არნახულად ძლიერია. და ვაპირებ, მოქმედ ჩოგბურთელებთან ერთად განვავრცო ეს წარმატებული პერიოდი. აღფრთოვანებით ვუყურებ სამომავლო პერსპექტივებს".*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1



ბრუნო სენა

# სამი პილოტი ერთ ვაკანსიაზე

## უილიამსი მეორე პილოტის არჩევითაა დაკავებული

როგორც ცნობილია, 2012 წლის სეზონისთვის ფორმულა 1-ის გუნდებში თითქმის აღარ დარჩა ვაკანსია. ერთ-ერთი გუნდი, რომელსაც ერთი ადგილი აქვს დარჩენილი შემადგენლობაში - ბრიტანული „უილიამსი“ გახლავთ. ბრაზილიური გაზეთი Globo Esporte წერს გროუვიში, „უილიამსის“ ბაზაზე **ბრუნო სენას** ვიზიტის შესახებ. ბრაზილიელმა პილოტმა საჯინიბოს ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებები გამართა და ფიზიკურ ფორმაზე ტესტი ჩაატარა. გროუვის ბაზას ვაკანტური ადგილის მაძიებელი კიდევ ორი პრეტენდენტი ეწვია - ბრაზილიელი **რუბენს ბარიკელო**, რომელსაც ხუთმილიონიანი სპონსორული მხარდაჭერა აქვს და გერმანელი **ადრიან სუტილი**, ვისაც კომპანია Medion-გან 15 მილიონი მიაქვს გუნდში. სამივე ვიზიტს კერძო ხასიათი ჰქონდა და სხვადასხვა დროს შედგა.

გუნდი არ ჩქარობს მეორე პილოტის დასახელებას და ბრიტანული პრესა ამასთან დაკავშირებით ხუმრობს - ყოველდღიურად კონტრაქტის ფასი ასი ათასით იზრდება. თუმცა, შესაძლოა, საქმე მხოლოდ ფულში არ იყოს. თუ „უილიამსი“ ხელს მოაწერს კატარის ეროვნულ ბანკთან სასპონსორო ხელშეკრულებას, ამ შემთხვევაში მეორე პილოტის ფინანსური წვლილი ნაკლებად მნიშვნელოვანი იქნება. სწორედ ამიტომაც ვარაუდობენ, რომ ბრიტანულ საჯინიბოში ბრუნო სენა დაიმკვიდრებს ადგილს.

სხვათა შორის ბრაზილიელმა დაადასტურა „უილიამსთან“ მოლაპარაკებები: *„საუბარი მიმდინარეობს, მაგრამ ჯერ დოკუმენტები არ გაფორმებულა. შევეცდებით, რაც შეიძლება მალე მივაღწიოთ შეთანხმებას. ცხადია, რომ „უილიამსთან“ კონტრაქტი - ყველაზე მისაღები ვარიანტია, ამიტომაც ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდეს“.*

# ოსტინში დიდი მშენებლობაა

ამერიკული პრესის ცნობით, ოსტინში ავტოდრომის მშენებლობა სრული სვლით მიმდინარეობს. თუ ადრე სამშენებლო მოედანი ჭუჭყისგან გაწმენდილ რამდენიმე გზას შეადგენდა, ახლა მომავალი ტრასის გარშემო უკვე მყარი კონსტრუქციებია აღმართული.

ავტოდრომის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა **ალი პეტნემმა** აღიარა, რომ ფინანსური უთანხმოების გამო რამდენიმე კვირის წინ მშენებლობის ტემპები ძალიან დაეცა, მაგრამ ახლა სიტუაცია გამოსწორებულია. მუშებმა პირველი ვერტიკალური კონსტრუქციები აღმართეს, ბოქსების, პადოკისა და სამედიცინო ცენტრის აგების შემდეგ, ტრიბუნების მშენებლობას შეუდგებიან.

ალი პეტნემის თქმით, მუშები, შესაძლოა, სადღელამისო მუშაობის რეჟიმზე გადავიდნენ, მაგრამ ჯერ ამის აუცილებლობა არ არსებობს.

კალათბურთი

# ტორონტოს სამხედრო ფორმა

როგორც სააგენტო AP იტყობინება, NBA-ის კლუბის „ტორონტო რეპტორზის“ კალათბურთელები ახალი სეზონის ოთხ შეხვედრას კომუფლაჟურ მაისურებში ჩაატარებენ. ამით ისინი საკუთარ პატივისცემას გამოხატავენ კანადელი სამხედროების მიმართ.

„რეპტორზის“ ახალი ფორმის პრემიერა 21 მარტს, „ჩიკაგო ბულზთან“ მატჩში შედგება.

გარდა ამისა, სათამაშო ფორმის ამგვარი ვარიანტი ხელმისაწვდომი იქნება პოპულარულ კომპიუტერულ თამაშში - NBA 2K12.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**




კრივი

# ვითომ ციხე გამოასწორებს?

## ფლოიდ მეივეზერი საპყრობილეში 3 თვეს გაატარებს

ნახევრად საშუალო წონაში WBC-ის ჩემპიონს, ამერიკელ **ფლოიდ მეივეზერს** სამთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს ყოფილი მეგობარი გოგონას ცემისთვის. გარდა ამისა, პროფესიული კრივის ვარსკვლავს 100 საათი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა მოუწევს და 2.5 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმას გადაიხდის. მეივეზერი ციხეში 6 იანვარს ჩაჯდება. ასე რომ, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა გაზაფხულისთვის დაგეგმილი ბრძოლა ფლოიდსა და ფილიპინელ **მენი პაკიაოს** შორის.

*„დღეების დასათვლელად კალკულატორი საჭირო არ არის,* - განაცხადა სასამართლოს განაჩენის მოსმენის შემდეგ პაკიაოს წარმომადგენელმა. - *მეივეზერს უბრალოდ დრო არ ექნება მენისთან ბრძოლისთვის მოსამზადებლად“.*

თუმცა ამერიკელი მთლად უშანსოდ არ არის. თუ ის ციხეში სამაგალითოდ მოიქცევა და არაფერს დააშავებს, შანსი ექნება, 65 დღეში დატოვოს საპატიმრო.

ამ შემთხვევაში, მეივეზერი 11 მარტს თავისუფალი იქნება. პაკიაოსთან ჩხუბის ზუსტი თარიღი ჯერ დათქმული არ არის. თავდაპირველად დაპარაკობდნენ 5 მაისზე, თუმცა, ამას წინათ, მეივეზერის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბრძოლა ლას-ვეგასში ივნისში გაიმართება.

თითქოს ყველაფერი იქით მიდის, რომ ბრძოლა წელს ნებისმიერ შემთხვევაში გაიმართება, თუმცა შეიძლებოდა ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო. რომ არა ორი დღის მეივეზერის აღიარებითი ჩვენება, ის, შესაძლოა, წელიწადნახევრით ჩაესვათ ციხეში. თუმცა პროკურორს იმედი აქვს, რომ მოკრივეს კიდევ უფრო მკაცრად დასჯიან.

მეივეზერს არაერთხელ ჰქონია კანონთან პრობლემები, რომელთაგანაც ყველაზე უწყინარი იყო გადასახადებისთვის თავის არიდება. გასულ წელს სკანდალურმა მოკრივემ პარკინგის თანამშრომელი გალახა, მაგრამ ჯარიმის გადახდა აკმარეს.

ინციდენტი, რომლის გამოც ფლოიდი ციხეში გაისტუმრეს, 2010 წლის სექტემბერში მოხდა. მოკრივემ შეიტყო, რომ მისი მეგობარი გოგონა - **ჯოზი** სხვა მამაკაცთან ღალატობდა. მეივეზერმა თავდაპირველად შეურაცხყოფა მიაყენა ქალს, შემდეგ კი საქმეზე გადავიდა და ჯოზის რამდენჯერმე სახეში უთავაზა.

*„ის ყოველთვის პოულობს პრობლემებს,* - განაცხადა პროკურორმა **ლიზა ლუზაჩმა**. - *ყველაფერში თავად არის დამნაშავე და მხოლოდ თვითონ შეუძლია გამოძვრეს ამ მდგომარეობიდან. ბევრი შესაძლებლობა აქვს იმის გასაცნობიერებლად, რომ არასწორად იქცევა. ჰქონდა გამოსწორების შანსი, მაგრამ, როგორც ჩანს, მხოლოდ ციხემ შეიძლება შეცვალოს რაღაც მეივეზერის ცნობიერებაში“.*

როცა მოსამართლემ განაჩენი გამოცხადა, მეივეზერი აბსოლუტურად მშვიდად და აუღელვებლად გამოიყურებოდა. *„განაჩენი სამართლიანია,* - თქვა მოსამართლე **მელისა სარაგოსამ**. - *მნიშვნელობა არ აქვს იმას, ვინ ხარ და რას მიაღწიე. ვალდებული ხარ პასუხი აგო შენს საქციელზე და არ უნდა დაუშვა ძალადობა“.*



ჩემპიონი პატიმარი

ჩოგბურთი. ახალი ამბები

# ნადალი სეზონს ვერ იწყებს?

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** 100 ათასი დოლარი შესწირა სერბეთში სასკოლო განათლების განვითარებას.

*„იმედია, ჩემი მხარდაჭერა შეცვლის სერბი ბავშვების ცხოვრებას. განსაკუთრებით ეს ეხება იმათ, ვისაც საკუთარი პოტენციალის რეალიზების ნაკლები შესაძლებლობა აქვს“,* - ამბობს სერბი ჩოგბურთელი.

შეგახსენებთ, რომ ჯოკოვიჩი 2011 წლის შემოდგომიდან სერბეთში UNICEF-ის კეთილი ნების ელჩი გახლავთ.



ჯიმი კონორსი

■ ■ ■

ქალთა ტურის მეორე ნომერი **პეტრა კვიტოვა** ჩეხეთში წლის სპორსტმენად აღიარეს. უიმბლდონისა და წლის შემაჯამებელი ტურნირის ჩემპიონმა გაიმარჯვა გამოკითხვაში, რომელიც ჩეხეთის სპორტულ ჟურნალისტებს შორის ჩატარდა.

მეორე ადგილი დაიკავა კროსში მსოფლიოს ჩემპიონმა **იაროსლავ კულჰავიმ**, მესამეზე კი ციგურებით მორბენალი **მარტინა საბლიკოვა** აღმოჩნდა.

კვიტოვა მეორე ნომინაციაშიც გახდა ლაურეატი. კერძოდ, წლის გუნდი ჩეხეთის ქალ ჩოგბურთელთა ნაკრები გახდა, რომლის ლიდერიც პეტრა გახლავთ და რომელმაც წელს ფედერაციის თასი მოიგო.

■ ■ ■

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **ჯიმი კონორსი** 13-წლიანი შესვენების შემდეგ ვეტერანმა ტურს უბრუნდება. კონორსი მარტში ციურიხის ღია პირველობაში მიიღებს მონაწილეობას.

შეგახსენებთ, რომ კონორსი დღემდე ინარჩუნებს ATP-ის ტურის რამდენიმე რეკორდს: ამერიკელს ყველაზე მეტი ტიტული აქვს - 109, ყველაზე მეტ მატჩში გაიმარჯვა - 1242 და პირველი ჩოგბურთელი გახდა, ვინც „დიდი სლემის“ ტურნირი სამ სხვადასხვა საფარზე მოიგო.

■ ■ ■

ესპანური გაზეთის „მარკას“ ინფორმაციით, მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა**, შესაძლოა, უარი თქვას აბუ დაბიში საჩვენებელ ტურნირში გამოსვლაზე. ამ შეჯიბრების გამართვა 28-31 დეკემბერს არის დაგეგმილი და იქ მონაწილეობას აპირებენ სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი**.

